ივერია

1879

№ 4 აპრილი.

ტფილისი

ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა

1879

I. სევილიელი დალაქი: ბომარშეს კომედია, (თარგმნილი დ. ყიფიანისაგან) 5

II. ვაზის ახალი მტერი, შ. 87

III. *** ლექსი მ. ჯორჯაძისა. 97

IV. ვედრება პატარა გლეხისა, ლექსი ლევ. ცაგელისა . . 98

V. ალი. მოთხრობა ლევ. ცაგელისა. 100

VI. საქართველოს ისტორიის მასალა. 142

VII. შინაური მიმოხილვა

ნუ თუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?—ახალი „საზოგადოება“ წერა-კითხვის გავრცელებისათვის საქართველოში და მისი მომავალი ღვაწლი ჩვენის ცხოვრებისათვის.—რა ურთიერთობა სუფევს ამ საზოგადოებისა და შარშან დაარსებულის („შეუძლებელ-მოსწავლეთა შემწეობისათვის“?—ორიოდე სიტყვა ბანკის თაობაზედ. ქართული თეატრი.—თავად აზნაურთა კრება. 151

VIII. ხმა ბათომიდამ, ი—ა ი—ძე 165

XI. სხვა და სხვა ამბავი. 174

X. დამატება: იზა. რომანი ბუკიესი.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

5976

წელიწადი მესამე.

№ 4.

ტფილისი

ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა.

1879

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Апрѣля 1879 г.

სევილიელი დალაქი

ანუ

ამაოდ გაფთხილება.

ბომარშეს კომედია, 1775-ში დაწერილი.

ფრანცუზულიდამ გადმოთარგმნილი.

და ვიყავ მამა, და ვერ მოვჰკვდი.

ზაირა. მოქმედება II.

მოქმედნი პირნი:

გრაფი ალმავივა, ისპანიის გრანდი, უცნობი მიჯნური როზინასი.

ბართოლო, ექიმი, აპეკუნი როზინასი.

როზინა, ყმაწვილი ქალი, ჩამომავლობით კეთილშობილი, ბართოლოს საპეკო ობოლი.

ფიგარო,—დალაქი სევილიაში.

დონ-ბაზილიო, მეორგანოე, მუზიკისა და სიმღერის ოსტატი როზინასი.

ჭაბუა, მკელი მოსამსახურე ბართოლოსი.

ფხიზელა, მეორე მოსამსახურე ბართოლოსი, მოსულელო და მძინარა ბიჭი.

ნოტარიუსი.

ალკადი, სამართლის კაცი, ან სუდებნი პრისტავი ისპანიაში.

რამდენიმე ალგვაზილი (სამსახურის კაცნი) და მოსამსახურე ყინულიებით.

ტანთ-საცმელი ამათი

ძველი ისპანიური მორთულობის მიხედვით.

გრაფი ალმავივა, ისპანიელი გრანდი (თავადი), როზინას უცნობი მიჯნური. რომ გამოვა პირველს მოქმედებაში, შალვარი და მოკლე კაბა აცვია აბრეშუმის ფარჩისა; მოსასხმელი ასხია მუქი და განიერი; შლაპა შავი, დაბალი, გარს მხიარული ფერის ლენტ შემოვლებული.— მეორე მოქმედებაში გამოვა სალდათის მუნდირით, ულვაშიანი და მაღალ ჩექმებიანი.—მესამეში ბაკალავრად*) მორთული; თმა ირგვლივ შემოკვეცილი; ყელზედ განიერი თეთრი საყელო; მოკლე კაბა, შალვარი, ფეხთ-საცმელი — აბბატური (მღვდლური). მეოთხე მოქმედებაში სადღესასწაულოდ არის მორთული და ისე მდიდრულად, როგორც ისპანიის გრანდს შეეფერება. ზედ ასხია დიდი და განიერი, ისევ მუქი მოსასხმელი, რომელშიაც სულ არის გახვეული.

ბართოლოს, ექიმს, როზინას აპეკუნს, აცვია შავი მოკლე კაბა, ყელამდინ შეღილული; თავზედ დიდი ფარუქი; საყელო და სამაჯურები აწეული; შავი სარტყელი; როდესაც გარეთ გამოვა, გრძელი ჭიაფერი წამოსასხმელი ასხია.

როზინა, ყმაწვილი გვამი, კარგი გვარის შვილი, ბართოლოს სააპეკო ობოლი; აცვია ისპანიური ქალის ტანსაცმელი.

ფიგაროს აცვია ტანსაცმელი ისპანიის მაიორისა. ჟილეტი და ნიფხავი აბრეშუმისა ვერცხლის ხრიკებითა და ღილებით შეღილული; დიდი აბრეშუმის სარტყელი; წვივ-საკრავები გამომაყრუჯული და რგოლებით ჩაკიდებული ორივე წვივიდამ; მოკლე კაბა ისეთი მხიარული ფე-

---

*) ბაკალავრი—ჩვენებურად კანდიდატსა და მაგისტრს შუა ხარისხი.

რისა, რომ ჟილეტის ფერს სულ არ უდგებოდეს; წინდები თეთრი; ფეხ-საცმელი ყომრალი. თავზედ ჰხურავს აბრეშუმის ბადე; შლაპა თეთრი, გარეშემო ფერადი ლენტი; ქალური ყელსახვევი, ძალიან გა-მოშვებული.

დონ-ბაზილიოს, მეორგანოეს და როზინას ოსტატს, თავზედა ჰხურავს შავი, დაბალი და განიერი შლაპა; გძელი კაბა და გძელი მანტო (მოსასხმელი) უსაყელოთ და უსამაჯუროთ.

ქაბუა, ხნიერი მსახური ბართოლოსი.

ფხიზელა, მოსულელო და მძინარა ბიჭი. ორთავე აცვიათ გა-ლიციურად; ჟილეტი აქლემის ფერი; ტყავის განიერი სარტყელი; კაბა ნიფხავი თეთრი, სახლები ყურთმაჯებიანი.

ნოტარიუსი.

ალკალდს გრძელი წკეპლა უჭირავს ხელში.

საქმე სწარმოებს სევილიაში, პირველს მოქმედებაში ქუჩაზედ და-როზინას ფანჯრებ წინ; დანარჩენი სამი მოქმედება დოკტორ ბართო-ლოს სახლში.

მოქმედება პირველი.

თეატრი წარმოადგენს სევილიაში ერთ ქუჩას, სადაც ფანჯრები ყველ-გან დარკინულია, რკინის რიკულით.

გამოსვლა პირველი.

გრაფი, მარტო, განიერი მუქი წამოსასხმელი ასხია და დაბალი შლაპა ჰხურავს. საათს დაჰხედავს და დადის.

ᲒᲠᲐᲤᲘ. დღე ჯერ ისე არ არის მიწურული, როგორც მეგონა. ფანჯარას რომ მოადგება ხოლმე, ჯერ კიდევ გვიან არის ის დრო. მაგრამ ისევ ადრე მოსვლა ჰსჯობია, რომ იმის დანახვის წამი არ გამომეპაროს. სასახლეში რომ მიმიხვდებოდეს ვინმე, რომ მადრიდი-დამ ოთხას ვერსზედა ვარ და ყოველ დილას ისეთი ქალის ფანჯრებ წინა ვდგევარ ხოლმე, რომ ხმაც არსად გამიგონია ჯერ იმისი, ჩემსას იტყოდა, ეს ძველი, იზაბელას დროს ისპანიელი არის ვინმეო.—რა-ტომ არა? ყველა თავისს ბედნიერებასა ნატრულობს. ჩემი აქ არის, როზინას გულში. მაგრამ რა? სევილიამდინ ქალს გაეკიდოს კაცი, როდესაც მადრიდი და სასახლე ყოველ ნაბიჯზედ ყოველ გვარ გაუ-ჭირვებელ სიამოვნებას წარმოუდგენენ?—კიდეც ამას გამოვექეც მე იქიდამა. დავიღალე იმდენი გამარჯვებისაგან, რასაც აგრე გვიადვილებს ზოგან გამოსარჩენი, ზოგან ჩვეულება და ზოგან ამაოთა მოყვარება. უკეთესი რა იქნება, რომ ქალის გულში შენი სიყვარული ენთოს სა-

კუთრად შენთვის და არა რისამე მიხედულობით. ამის დაჯერებას რომ შევიძლებდე... ეს ვიღა მოეხეტება...

გამოსვლა მეორე.

ფიგარო და გრაფი დამალული.

ფიგარო. (ზურგზედ განიერი ლენტით გიტარა ჰკიდია, ხელში ქაღალდი და ყარანდაში უჭირავს და მხიარულად მოიმღერის:)

რას მიქვიან!... შორს ჩვენგან,
სევდა ხარ, თუ ნაღველო:
ღვინოვ, შენ გენაცვალე
ჩვენო გამახარებელო!
შენ რომ არ გაჰსჩენოდი,
კაცს რა ეშველებოდა?
იცხოვრებდა ტუტუცად
უდროვოდ ჩაკვდებოდა.
აქამდის გვარიანათ მოდის, ჰქენ, ჰქენ.
უდროვოდ ჩაკვდებოდა.
ღვინო და უსაქმობა
ჩემს გულზედა ცილობენ
არა; ცილობენ კი არა, მშვიდობიანათ ერთათა ჰყოფილობენ..
შუა იყოფენ ჩემს გულს.

ხომ ითქმის იყოფენო?... ან მე რას ვამბობ, კაცმა შკითხოს. ჩვენი ოპერის მთხზველები აგრე კი არ უკვირდებიან საქმესა. დღეს, — თქმათ არა ღირს, მართალია, მაგრამ — იმღერიან:

(იმღერის)

ღვინო და უსაქმობა
შუა იყოფენ ჩემს გულს.

მინდა ისეთა რითიმე დავაბოლოვო, კარგი რამ იყოს, ელვარე, ბრწყინვალე, თითქო აზრიც გამოდიოდეს რამე.

(ერთი მუხლით იჩოქებს, იმღერის და სწერს)

შუა იყოფენ ჩემს გულს:
ერთი ჩემი სატრფოა,
მეორეს უძღვნი ჩემს სულს.

ოჰ, ეს სულ არ ვარგა; ერთი ერთმანეთის შესადარი, შესწორონი უნდა იყოს რამე:

ერთი ჩემი სატრფოა,
მეორე....

მეორე? რა? ჰო, დიალ,
მეორე მხლებელია.

ძალიან კარგი. ბარაქალა ფიგარო...

(მღერის და სწერს)

ღვინო და უსაქმობა
ორივ სანატრელია:
ერთი ჩემი სატრფოა,
მეორე მხლებელია,
მეორე მხლებელია,
მეორე მხლებელია.

ჰენ, ჰენ, საკრავსაც რომ მივაყოლებთ, ზოგა მაშინა ვნახოთ! შეთქმულო ხატონებო, რასაც ვამბობ მცოდნია თუ არა. (გრაფს დაინახავს) ეს აბბატი მინახავს სადღაც. (ადგება)

გრაფი. (ცალკე) ეს კაცი როგორღაც მეცნობა.

ფიგარო. არა, აბბატი არ არის. შეხედულობა მედიდური, დიდ-კაცური...

გრაფი. რაღაც სასაცილო მიხი-მოხი...

ფიგარო. არა, შემცდარი არა ვარ; სწორედ გრაფი ალმავივაა.

გრაფი. მე მგონია ეს მაღალი ფიგაროა.

ფიგარო. სწორედ ის გახლავთ, ბატონო.

გრაფი. უვარგისო! კრინტი თუ ამოგიღია...

ფიგარო. დიაღ, გიცანით, ბატონო! აი ის თქვენებური ლაპარაკი, რომელიც ყოველთვის ყურს მიტკბობდა ხოლმე.

გრაფი. მე კი ვერ გიცანი. დამსხვილებულხარ, გასუქებულხარ...

ფიგარო. სიღარიბეს რა არ შეუძლია, ბატონო!

გრაფი. საწყალი ბიჭი. აქ სევილიაში რას აკეთებ? აგი ადგილი გიშოვე სადღაც სასამართლოში.

ფიგარო. გახლდით, ბატონო, და ისეთი დავალებული...

გრაფი. ბატონობით ნუ მახსენებ. ლენდორი მიწოდე. ამ ჩემი ტანსაცმლით ვერ მიჰხვდი, რომ მინდა უცნობათ დავრჩე.

ფიგარო. მაშ მე გიახლებით.

გრაფი. სულაც არა. მე აქ ერთ რასმე ველი და სადაც ორნი მუსაიფობენ, იქ ისეთ ეჭვს ვერავინ აიღებს, როგორც მარტო დამავალზედ აიღებენ. ჩვენც ვითამ ვმუსაიფობთ. — მერე, თანამდებობაში რომ იყავი...

ფიგარო. თქვენი პატივისცემისათვის მინისტრმა მაშინვე აფთექრის თანაშემწეობა მიბოძა. —

გრაფი. მხედრობის საავათმყოფოში?

ფიგარო. არა, ანდალუზიის ჯოგებში.

გრაფი. (სიცილით) კარგი დასაწყისია!

ფიგარო. ადგილი არ გახლდათ ცუდი. — იქ კაცსაც ბევრს ვამლევდი ცხენის წამალსა...

გრაფი. რომლითაც ხელმწიფეს ყმებს უხოცდი!...

ფიგარო. საყოველთაო წამალი სად გახლავს; მაგრამ მაინც გარჩენდი ხან-და-ხან გალიციელებს, კატალანებსა და ოვერნელებს.

გრაფი. მაშ რაღათ დაანებე თავი?

ფიგარო. მე კი არ დავანებე, დამაბეზღეს და დამანებებინეს. შემშურდა ხელთა სიმარდე და ფერის უცვალებლობა...

გრაფი. კარგია, კარგია! დამეხსენ ღვთის გულისათვის! ლექსების გამოთქმაც გისწავლია? დაგინახე, მუხლზე სჯღაბავდი რაღასაცა და ამ დილითვე იმღერდი.

ფიგარო. სწორედ ეგ არის ჩემი უბედურების მიზეზი, თქვენო ბრწყინვალებავ. მინისტრს რომ მიართვეს ჩემი გამოთქმული, და შემიძლია ვთქვა, ლამაზათ გამოთქმული, თაიგულები; რომ მოახსენეს, გაზეთებშიაც აბეჭდინებს ზოგის საკიცხავსა და ზოგის საქებარს ლექსებსაო; ერთის სიტყვით, რომ შეიტყო, რო ვსწერდი და ვიბეჭდებოდი,— ტრაგედიურათ განრისხდა და თანამდებობიდამ გადამაყენა, აქაო და მთხზველობა და სამსახურის თანამდებობა ერთათ ვერ მოთავსდებიანო.

გრაფი. ძლიერ მართალია. და შენ ის აღარსად წარმოგიდგენია?

ფიგარო. მეტად ბედნიერად მიმაჩნდა ჩემი თავი, რომ იმისგან დავიწყებული ვიყავი, რადგან ვიცი, რომ დიდი-კაცისაგან ჩვენთვის ისიც დიდი სიკეთე არის, რომ ცუდს არას შეგვამთხვევდეს.

გრაფი. ყველას არ ამბობ. მე მახსოვს, ჩემ სამსახურში კარგა ცუღლუტი რამ იყავი.

ფიგარო. ეჰ, ბატონო, ეგ ის არის, რომ საწყალ კაცს ნაკლებობა არა ჰქონდეს რაო.

გრაფი. სიზარმაცე, დაუდევრობა...

ფიგარო. რასაც ღირსებას მსახურისაგან გამოელიან, თქვენი ბრწყინვალება ნეტა ბევრს იცნობს ისეთ ბატონსა, რომ მოსამსახურობის ღირსი იყოს?

გრაფი. კაი სიტყვაა? და შენ ქალაქს მოატანე?

ფიგარო. არა, მაშინვე არა.

გრაფი. (შეაყენებს.) ერთი წამს... მეგონა გამოიხედა მეთქი... შენ შენი თქვი, მე ყურს გიგდებ.

ႴႨႢႠႰႭ. მადრიდს რომ დავბრუნდი, მინდოდა ისევ ჩემი მწიგნობრობის ნიჭი გამომეყენებინა და ვთქვი ჩემ გუნებაში, თეატრი იქნება მეთქი საპატიო ასპარეზი...

ႢႰႠႴႨ. ღმერთო შენ შემიწყალე!

ႴႨႢႠႰႭ. (ამის ლაპარაკში გრაფი ხშირად ფანჯრებისაკენ იყურება.) სწორე მოგახსენოთ, კარგათ არ ვიცი რა მიზეზი იყო, რომ ვერ დავწინაურდი; პარტერი ჩინებული გამრჯელი ხალხით გავავსე; ხელები ჰქონდათ... რა სატყაპუნებელა იქნებოდა უკეთესი. ხელთათმანები, წკეპლები, რაც კი ტაშს აყრუებს, ყველა აკრძალული მქონდა და წარმოდგენის წინათ ყავახანაც არ მიშლიდა თავისებურ მასპინძლობას; მაგრამ შეთქმულებმა იმდენი იოსტატეს...

ႢႰႠႴႨ. რომ უჯალი ავტორი ძირს დასცეს.

ႴႨႢႠႰႭ. როგორც სხვანი; რატომ არა? იმათ მისტვინეს; მაგრამ რომ შევიძლებდე და თავს მოუყრიდე...

ႢႰႠႴႨ. მოაწყენდი და იმით გადაახდევინებდი.

ႴႨႢႠႰႭ. როგორ გადავახდევინებდი, რომ იცოდეთ.

ႢႰႠႴႨ. იმუქრები? შენ არ იცი, რომ სასამართლოში ოც-და-ოთხი საათის მეტი ვადა არა ვისა აქვს, რომ მოსამართლეზედ სამდურავი განაცხადოს?

ႴႨႢႠႰႭ. თეატრში ოც-და-ოთხი წელიწადიც არის. სიცოცხლე მეტათ მოკლეა, რომ იმისთანა ჯავრი გულში ჩაიქროს კაცმა.

ႢႰႠႴႨ. შენი სასაცილო რისხვა მაცინებს. მაგრამ მადრიდს რაღამ დაგანებებინა თავი, ამას კი აღარ მეუბნები.

ႴႨႢႠႰႭ. ჩემმა მცველმა ანგელოზმა, თქვენო ბრწყინვალებავ, რადგან იქამდინ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პირველი ბატონი გიპოვეთ. მადრიდში მწიგნობრები სწორეთ მგლებსა ჰგვანან, ყოველთვის ერთი-ერთმანეთს უტევენ და ერთმანეთსა სწეწენ; ისე არიან ერთმანეთზედ გადაკიდებული, რომ როგორც ყოველი მწერი, ბუზანკალი, კოღო, კრიტიკოსი, კრაზანა, მეშურნე, მეფურცლე, მეწიგნე, ცენზო-

რი, ყველა, რაც რამ საზრალო მწიგნობრის განს ეტანება, აფრინდება და უკანასკნელს წვენსა სწოწნის,—ისე ქხვევიან და ისე ირევიან ერთმანეთში; მწერლობით დაქანცული, თავის-თავისაგან მობეზრებული, სხვებისაგან გულ-გაფუჭებული, ყელამდის ვალში ჩაფლული და ჯიბე დაცარიელებული, და ბოლოს ამისი დამჯერებელი, რომ უბრალო სამართებლის საშოვარი მწერლის საშოვარზედ ბევრათ უმჯობესია,— გამოვედი მადრიდიდამ; ბარგი-ბარხანა ზურგზედ გადავიჯვარედინე, ფილოსოფურად გამოვიარე ორივე კასტილია, ლამანჩა, ესტრამადურა, სიერრა-მორენა, ანდალუზია,—ერთ ქალაქში შეწყნარებულმა, მეორეში დამწყვდეულმა, და ყოველგან გადანახადის თავს-გადამვლებმა; ზოგთაგან ქებულმა, ზოგთაგან გინებულმა; კარგის დამყოლმა, ავის ამტანმა; სულელის დამცინმა, ბოროტის გამკიცხმა; ჩემი სიღარიბის მასხარად ამგდებმა, სხვისის სიმდიდრის არაფრად ჩამგდებმა, მოვატანე, როგორც იყო ამ სევილიას, აქ დავბინავდი და ახლა მზათ გახლავარ რომ ისევ თქვენს სამსახურს შევუდგე და, რასაც მიბძანებთ და დამსაქმებთ, შევასრულო.

გრაფი. რამ გასწავლა მაგისთანა მხიარული ფილოსოფია?

ფიგარო. უბედურობის შეჩვევამ. ვეშურები ყველაფერზე ვიცინო, რომ ტირილმა არ დამასწროს. რას შესცქერით აგრე მანდეთ?

გრაფი. არიქა, თავს უშველეთ!

ფიგარო. რატომ?

გრაფი. გამოსწიე მეთქი, შე საცოდავო, თორემ დამღუპავ. (იმალებიან).

გამოსვლა მესამე

ბართოლო, როზინა. (მეორე სართულის ფანჯარა გაიღება და ორნი მოადგებიან.)

როზინა. ოჰ, რა საამოა წმინდა ჰაერი. ათასში ერთხელ თუ ეღება ეს ფანჯარა...

ბართოლო. ეგ რა ქაღალდი გიჭირავს?

როზინა. ეს გუშინ ოსტატმა მომცა, ამაო გაფთხილე-ბის შაირი.

ბართოლო. ამაო გაუთხილება რას მიქვია?

როზინა. ახალი კომედიაა ერთი.

ბართოლო. ახალი რამ დრამა *) კიდევა; ახალი რამ სისუ-ლელე კიდევა.

როზინა. იქნება, მე რა ვიცი.

ბართოლო. ეჰ, ეჰ! ჟურნალები და მთავრობა შეგვატყობი-ნებენ. ბარბაროსობის დროა...

როზინა. ყოველთვის ამ ჩვენს საბრალო დროს ემდურით.

ბართოლო. ნურას უკაცრავათ;—და აბა რა წარმოადგინა საქებარი? ყოველ-ნაირი სისულელე: თავისუფალი მზრახველობა; მიმ-ზიდველობა, ესე იგი, ატტრაქცია; ელვაობა, ესე იგი, ელექტრიზმო; ტოლერანტიზმო, ესე იგი—თმენა ყოველი რჯულისა; ინოკულაცია, ესე იგი, ყვავილის აცრა, ქინაქინა, ენციკლოპედია და დრამა...

როზინა. (ქაღალდი ვარდება ხელიდამ.) ოჰ! ჩემი ლექსი, ლექ-სი გამვარდა თქვენს ლაპარაკში. არიქა, გაიქეცით, გაიქეცით, თორემ დამეკარგება.

ბართოლო. ეს რაღა ჭირია; რაც გიჭირავთ, გეჭიროთ ბა-რემა. (ქვეით ჩადის.)

როზინა. (გარეთ იყურება და ქუჩაში ხელს ანიშნებს.) სტ, სტ. (გამოჩნდება გრაფი). საჩქაროთ აიღეთ და თავს უშველეთ. (გრაფი მიაფრინდება, აიტაცებს ქაღალდსა და გავა.)

ბართოლო. (გამოვა ქუჩაში და ეძებს.) რა იქნა, ვერსადა ვჰხე-დავ.

როზინა. მანდ უნდა იყოს, კედლის ძირას.

---

*) ბართოლოს დრამა არ უყვარდა; ვინ იცის იქნება სიყმაწვილეში ტრა-გედიაცა ჰქონიყოს.

ბართოლო. ეს კარგი საქმე დამსაქმეთ! მაშ გაუვლია ვისმე.

როზინა. მე არავინ დამინახავს.

ბართოლო. (თავისთვის.) მეც რო ვეძებ! ბართოლო! კაი სულელი ბძანდები, მეგობარო! ამან მაინც გასწავლოს, რომ ქუჩის ფანჯარა არას დროს არ გააღო (შინ შევა).

როზინა. (ისევ ზევით.) ჩემი ბოდიშის მომხდელი უბედურებაა ჩემი. მარტოდ მარტო, გამოკეტილში და საზიზღარი ბერიკაცის ხელში მყოფისათვის ვითამ შეცოდება იყოს, რომ ტყვეობიდამ გამოსვლასა ცდილობდეს?

ბართოლო. (ფანჯარას მოადგება.) შინ შემობძანდით, ქალბატონო! სწორეთ ჩემი ბრალია, რომ ლექსი დაკარგეთ, მაგრამ ეს უბედურება მეორეთ აღარ დაგემართებათ. ჯი ჩობას გამლევთ. (ჰკეტს ფანჯარას).

გამოსვლა მეოთხე.

გრაფი, ფიგარო. (ფთხილად შემოდიან.)

გრაფი. ახლა რა რომ შინ შევიდნენ, გავშინჯოთ ეს ლექსი, საიდუმლო რამ უნდა იყოს. ბარათი ყოფილა.

ფიგარო. ამაო გაფთხილება რას მიქვიაო, კითხულობდა.

გრაფი. (საჩქაროთ კითხულობს). „თქვენი მეცადინეობა ცნობის
„სურვილს მიღვიძებს; ჩემი აშეკუნი რომ შინიდამ გავა, თქვენ დაუ-
„დევნელათ დაამღერეთ ამ შაირის ხმაზედა და ისეთი რამე მოს-
„თქვით, რომ შევიტყო როგორმე სახელი, მდგომარეობა და წადილი
„მისი, რომელიც თითქო მოუცილებლად გამოჰკიდებია უბედურს რო-
„ზინას.“

ფიგარო, (როგორც როზინა ამბობდა იმ ხმით:) ოჰ, ჩემი ლექსი, ლექსი გამვარდა; არიქა, გაიქეცით, გაიქეცით. (იცინის) აჰ, აჰ, აჰ, აჰ!

ოჰ, ქალებო! თუ გინდათ რომ გულ-წრფელი გააეშმაგოთ, კარი უნ-და გამოუკეტოთ.

გრაფი. ჩემი სატრფო როზინა?

ფიგარო. თქვენი ეგ ტანისამოსი აღარ მაკვირვებს, ბატონო. არშიყობას დასდგომიხართ აქა.

გრაფი. ახლა იცი; მაგრამ თუ წამოგცდენია სადმე...

ფიგარო. მე, ბატონო? მე აქ ამ მძიმე სიტყვას არას ვიტყვი, რჯულისასა და პატიოსნებისას, რასაც სხვანი ყოველ-დღე ხმა-რობენ; ჩემი სათქმელი ერთია: ჩემი საკუთარი სარგებლობა არის ჩემი თავდები თქვენთან; ამას შეუწონეთ ყველა და...

გრაფი. დიალ, კარგი. მაშ ესეც შეიტყე: რომ პრადოს შევ-ჰხვდი, ექვსი თვეა მას აქეთ, ერთ ყმაწვილ-ქალსა, ისეთ მშვენიერ-სა...აგი შენი თვალითა ნახე! მთელს მადრიდში ვეღარსად მივაგენით. რამდენიმე დღეა რაც შევიტყე, რომ სახელათა ჰქვია როზინა, კარგი გვარის-შვილია, ობოლი და ცოლი ერთის აქაური მოხუცი აქიმისა, რომელსაც ეწოდება ბართოლო.

ფიგარო. ლამაზი ჩიტია, ღმერთმანი, ბუდიდამ ძნელი გამო-საყვანი; მაგრამ აქიმის ცოლიაო ვის მოუხსენებია?

გრაფი. ყველანი ამბობენ.

ფიგარო. ეგ იმისი მოგონილია, მადრიდიდამ რომ მოვიდა, მთხოვნელები თავიდამ მოიცილოთ. თორემ ჯერ ისევ სააპეკოთა ჰყავს; ამ ცოტა ხანში კი...

გრაფი. (სისწრაფით.) არას დროს! ეს რა შევიტყე! გადაწყვე-ტილი მქონდა უთუოთ უნდა ჩემი მწუხარება შემეტყობინებინა და თურმე გაუთხოვარი ყოფილა. დროს დაკარგვა აღარ შეიძლება; უნდა თავი შევაყვარო და გამოვიხსნა უღირსისა ხელისაგან. მაშ ამ აპე-კუნს იცნობ შენა?

ფიგარო. როგორც დედა ჩემს.

გრაფი. როგორი რა კაცია?

ფიგარო. კაი მსხვილი, დაბალი ახალგაზრდა ბერიკაცი, ყომრალი, გაქნილი, წვერ-მოპარსული, რომელიც კიდეც უვლის, კიდეც ჭყარაულობს, კიდეც უფთხილდება, კიდეცა ჭუტუქსავს და კიდეც თავს ევლება, ზედ დასჭკანკალებს.

გრაფი. ეჰ, ვნახე მე. შენ იმისი ხასიათი მითხარი.

ფიგარო. ბრიყვი, ძუნწი, მოარშიყე და მეტის-მეტად იჭვნეული, — ქალისათვის კი ჭირივით საჯავრელი.

გრაფი. ასე რომ თავის მოსაწონებლად...

ფიგარო. სულ არა გააჩნია რა.

გრაფი. ეგ უკეთესი. პატიოსნება?

ფიგარო. სწორეთ იმდენი, რამდენიც კაცისთვის საჭიროა, რომ არ ჩამოახრჩონ.

გრაფი. ეგ უკეთესი. მაცთურის დასჯა და თავის ბედნიერება...

ფიგარო. ორნაირი სიკეთე იქნება, ერთისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ჩინებული რამ იქნება ზნეობისათვის, ბატონო!

გრაფი. შენ ამბობ, რომ უმაწვილი კაცების შიშმა ამოაკეტინა კარებიო?

ფიგარო. ამოგლესავსაც რომ მოახერხებდეს...

გრაფი. ეგ ხომ უარესია. შენ? შეგესვლება იქა?

ფიგარო. როგორ თუ შემესვლება! ჯერ ერთი ესა, რომ სადაც მე ვდგევარ, დოქტორისაა ის სახლი და მუქთათ ვდგევარ.

გრაფი. ოჰო!

ფიგარო. დიაღ! და მე ამის სამაგიეროდ წელიწადში ათ ოქროსა ვპირდები, — ამასაც მუქთათ, რასაკვირველია.

გრაფი. მაშ იმისი მდგმური ყოფილხარ.

ფიგარო. უფრო მეტიც, დალაქიც ვარ იმისი, ექიმიც, აფთექარი; ვერცა ვინ სამართებელს ახლებს იქ ხელსა, ვერც [illegible] თუ არ თქვენი ერთ-გული მოსამსახურე.

გრაფი. (გადაეხვევა) ოჰ! ჩემო კარგო ფიგარო! მაშ შენ უნ-და იყო ჩემი მხსნელი, ჩემი მფარველი, ჩემი ხელის-შემწყობი.

ფიგარო. უყურეთ, სარგებლობამ როგორ მალე დაგვაახლოვა! კიდევ მითხარით რამე მოარშიყეებისა!

გრაფი. ბედნიერო ფიგარო! ჰნახავ ხოლმე ჩემს როზინასა, ჰნახავ ხოლმე! გესმის შენ ეგ ბედნიერება თუ არა?

ფიგარო. მე რა? მე ხომ არ ვეტრფი იმასა? ჩემმაგიერად რომ თქვენ იყოთ, არ ემჯობინება?

გრაფი. ოჰ, ყველა ჯაშუშების ჩამოცლა რომ მოხერხდებო-დეს?

ფიგარო. მეც მაგასა ვფიქრობ.

გრაფი. ერთ ათიოდ საათს მაინცა!

ფიგარო. კაცს ოღონდ თავისი საქმე აკეთებინე და ის აღა-რავის დაუშლის.

გრაფი. უეჭველია; მაგრამ?...

ფიგარო. მე ამასა ვფიქრობ, ერთი უბრალო რამ წამალი არა გამოდგება რა?...

გრაფი. ღვთის მტერო!

ფიგარო. იმათთვის ავი კი არა მინდა რა, ჩემი ხელობა იმათ ყველასა სჭირდება. საქმე ის არის რომ ყველას ერთად უქიმო.

გრაფი. მერე თითონ აქიმმა რომ ეჭვი აიღოს?

ფიგარო. ისე ჩქარა უნდა ვიაროთ, რომ ეჭვის ასაღები დრო აღარა რჩებოდეს. ერთი ფიქრი მომივიდა. მემკვიდრის პოლკი შემო-დის ამ ქალაქში.

გრაფი. პოლკოვნიკი ჩემი მეგობარია.

ფიგარო. კარგი. პოლკის მუნდირით შედით დოქტორის სახლ-ში და დაყენების ბარათი მიუტანეთ; უნდა დაგაყენოთ თავის სახლში, მეტი რა ღონე აქვს; — სხვა ჩემ კისერზედ იყოს.

გრაფი. დიაღ კარგი.

ფიგარო. არც ის იქნება ურიგო, რომ ცოტა ნაღვინეობა გეტყობოდეთ.

გრაფი. —ეგ რისთვის?

ფიგარო. რომ ეჭვი სულ ვერა ჭიდოს რა და თავის გუნებაში სთქვას, ამას ძილის მეტი არა ენდომება რაო!

გრაფი. ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ თითონ შენ კი რატომ არ მიხვალ?

ფიგარო. ჰო, დიაღ, მე. საკვირველი ბედნიერები არ ვიქნებით, რომ თქვენ ვერ გიცნოს, თქვენა, თავის-დღეში რომ არ უნახავხართ! მერე, მერე როგორღა შეგიყვანოთ?

გრაფი. მართალს ამბობ.

ფიგარო. მაგრამ, ძნელია; იქნება ვერ მოახერხოთ... სალდათობა... ღვინო-ნასვამობა...

გრაფი. რას მასხარაობ! როგორ თუ ვერ მოვახერხო. (თავს იმთვრალებს.) გაიგონე, შენ ეი! დოკტორი ბართოლოს სასახლე ეს ხომ არ არის?

ფიგარო. ცუდი არ იყო, მხოლოდ უნდა სთქვას გაცმე. ცოტა მუხლებს კი უფრო უნდა ეტყობოდეს ნაღვინობება. (უფრო მოთვრალებით) ესსს ხომ არრრ არი სა-სახლე?...

გრაფი. ფუ! ეგ ხომ სულ მდაბალი ლოთი გამოგყავს.

ფიგარო. ეს არის კარგი, ასე უნდა...

გრაფი. კარს აღებენ.

ფიგარო. თითონ ჩვენი კაცია. გავშორდეთ, მანამდის სულ წავიდოდეს.

გამოსვლა მეხუთე

გრაფი და ფიგარო (დამალულები). ბართოლო.

ბართოლო. (გამოდის სახლიდამ და უკან მიილაპარაკება.) მე ეხლავე დავბრუნდები. შინ არავინ შეუშვათ. ის რა უგუნურება მომი-

კიდა, რომ ჩამოვედი! რომ მაჩქარებდა, ამაზე მაინც რატომ ვერ მიუხვდი... ამ ბაზილს რაღა დაემართა, რომ არ მოდის! იმან უნდა მომიხერხოს ყოველივე, რომ ხვალ ჩუმათ დავიწეროთ ჯვარი და ჯე-რაც არა ვიცოდეთ რა იმისი. წავიდე, შევიტყო, რას შეუგვიანებიათ.

გამოსვლა მეექვსე

გრაფი, ფიგარო.

ᲒᲠᲐᲤᲘ. ეს რა გავიგონე? ხვალ აპირებს ჩუმათ ჯვარის წერას როზინაზედ?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ბატონო, სადაც გაწირვებაა, გაბედვაც იქ არის.

ᲒᲠᲐᲤᲘ. ეს ბაზილ ვიღა არის, ჩუმათ ჯვარის წერას რომ უხერხებს?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ერთი გლახაკი მაწანწალა, რომელიც ქალს მუსიკას ასწავლის, თავისი ხელობით მოტრაბახე, მატყუარა, მათხოვარა, ოქროსათვის თუნდ დაგიჩოქებს; ძალიან ადვილი გადმოსაბირებელი, ბატონო! (ფანჯრებისკენ იყურება) აი აგერ! აი აგერ!

ᲒᲠᲐᲤᲘ. ვინა, ვინა?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ქალი! აგერ ფანჯარასთან! ნუ უყურებთ, ნუ უყურებთ.

ᲒᲠᲐᲤᲘ. რატომ, რა ქნა?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ არ მოგწერათ იმღერეთ დაუდევნელად, ვითომ ისე იმღერეთ, თითქო სხვა არა გინდოდეთ რა, თუ არ მღერა, რა! აი, აი!

ᲒᲠᲐᲤᲘ. რადგან ჩემის ყურადღება მომაქცია, ისევ ასე ლმნ-დორად დავრჩე და გამარჯვებას თუ ველირსე უფრო სასიხარულო იქნება (როზინამ რომ ჩაუგდო იმ ქაღალდსა ჰშლის) მაგრამ რა დავამღერო ამ ხმაზედ, რომ არ ვიცი!

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. რაც უნდა ხელს უკრათ ძალიან კარგი იქნება,

ტონრო, სიყვარულში. გულს როდი უჭირდება გონივრული ნაყოფის გამოღება... ეს გიტარა აიღეთ.

ᲒᲠᲐᲤᲘ. მერე რა უყო მაგ გიტარას? რა კარგი დამკვრელი მე ვარ?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ვითამ რა უნდა იყოს ისეთი, რომ თქვენისთანა კაცმა არ იცოდეს? ხელის ზურგით; ბრომ, ბრომ, ბრომ... სევილია-ში უგიტაროთ იმღერეთ და მაშინ მიხვედრა ძალიან გაჭირდება მე ვიცი ვინცა ხართ. (ფიგარო ფანჯარას ქვეშ კედელს აეყუდება).

ᲒᲠᲐᲤᲘ. (სიმღერით მიდი მოდის და გიტარასაც აყოლებს.)

პირველი ხანა.

თქვენ გნებავთ ჩემი სახელის ცნობა;
უცნობმა გკადრეთ იაყვანი, ტროფობა;
სახელი რომ ვჴსთქვა, რამ მაიმედოს?
მაგრამ ხამს ბატონს ყმა ემორჩილოს.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. (ხმა დაბლა) ძალიან კარგი, ძალიან კარგი. უფრო გაბედვით, ბატონო..

ᲒᲠᲐᲤᲘ. მეორე ხანა.

მე ვარ ლენდორი, დაბალ გვარისა,
და გული მიძგერს უმაწვილ კაცისა,
რატომ არა მაქვს ყოვლის შეძლება
რომ ფეხთ დაგიგოთ ქვეყნის დიდება.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. მაგაზედ უკეთესს მეც ვერ მოვახერხებ, მე, მომღერლობაზედ თავი რომ მომაქვს.

ᲒᲠᲐᲤᲘ. მესამე ხანა.

აქ ყოველ დილას თქვენ, ჩემს სატრფოსა,
გიმღერთ სიყვარულს უიმედოსა;
გული ჴსჯერდება მარტო თქვენს ხილვას,
მანამ ღირს მყოფდეთ გაცემას ხმისას.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ეს ხომ არა! (შივა და კალთაზედ აკოცებს პატივისცემით)

ᲒᲠᲐᲤᲘ. ფიგარო?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ბატონო!

ᲒᲠᲐᲤᲘ. როგორა გგონია, მიგდებდნენ ყურსა?

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ (შიგნით იმღერის.)

მე მწამს რომ ლენდორ ღირსია
ჩემის მარადის ტრფობისა.

(ისმის რომ, ერთი ფანჯარა ძლიერ ბრახუნით მოხურეს)

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ახლა თქვენ როგორა გგონიათ, გიგდებდნენ ყურსა თუ არა?

ᲒᲠᲐᲤᲘ. ფანჯარა მოხურა; უთუოთ შევიდა ვინმე.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. საბრალო ყმაწვილი ქალი! როგორა კანკალებდა, რო იმღერიდა. გაბმულია, ბატონო!

ᲒᲠᲐᲤᲘ. მჯერა, რომ „ლენდორ ღირსიაო!“ რა მშვენივრათა ჰსთქვა, რა მარილიანათ!

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. რამდენი ეშმაკობა და რა სიყვარული?

ᲒᲠᲐᲤᲘ. როგორა გგონია, ფიგარო, დამნებდება?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. მაგას ისე ვერ გადუდგება, როგორც ამ რაგულში *) ვერ გამოძვრება.

ᲒᲠᲐᲤᲘ. მაშ გათავდა! ჩემი როზინასი ვარ სამარადისოდ.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. გავიწყდებათ, მგონია, ბატონო, რომ იმას თქვენი-აღარ ეყურება.

ᲒᲠᲐᲤᲘ. უფალო ფიგარო! ერთი ესლა მაქვს შენთვის სათქმელი: უნდა შევირთო; და თუ მომეხმარები, რომ ჩემი ვინაობა არ შეიტყოს... გესმის?... ხომ მიცნობ?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. გნებდებით. ახლა, ფიგარო, იფრინე შენდისკენ, შვილოსა.

---

*) la jalousie, ja grijje, Рѣшетка, — უჯრა, ჩარჩო, რიკული.

გრაფი. წავიდეთ, ეჭვი არავინ რა აიღოს.

ფიგარო. მე, აქ შევალ, სადაც ჩემი ხელობის ძალით, ერთი წკეპლის დაქნევით, მღვიძარებას დავაძინებ, ტრფიალებას გავაღვიძებ, ეჭვიანობას გზას დაუბნევ, ეშმაკობას გავაცრუვებ და ყოველს დაბრკოლებას ჩამოვიცილებ. თქვენ, ბატონო! ჩემს სადგომს სალდათის ტანსაცმელი, სახლში დაყენების ბარათი და ჯიბეებში ოქრო.

გრაფი. ოქრო რიღასთვის?

ფიგარო. ოქრო, ღმერთო ჩემო! ოქრო, მაცოცხლებელი ძარღვია ყველაფრისა.

გრაფი. ნუ ჯავრობ, ფიგარო! ოქროს ბევრს წამოვიღებ.

ფიგარო. (მიმავალი) მალე მოგნახავთ.

გრაფი. ფიგარო?

ფიგარო. რა გნებავთ.

გრაფი. შენი გიტარა?

ფიგარო. (გამობრუნდება) გიტარა დამავიწყდა. რამ გამომაშტერა ასე? (მიდის.)

გრაფი. შენი სადგომი? მართლა გამოშტერებულო!

ფიგარო. (გამობრუნდება). სწორეთ რაღაც არის ჩემს თავს. ჩემი დუქანი ოთხიოდ ნაბიჯის აქედამ; ცისფრათ შეღებილი; ჩარჩოები ტყვიის ფერათ; ფიცარზედ გამოხატული თვალი, Consilio manuque, ფიგარო.

(გაიქცევა.)

მოქმედება მეორე

თეატრი წარმოადგენს როზინას ოთახს. ბოლოს შუაზედ რკინის რიკულიანი ფანჯარა.

გამოსვლა პირველი

როზინა მარტო სანთელი უჭირავს. სტოლზედ ქაღალდს აიღებს და საწერად დაჯდება.

როზინა. მარსელინა ავათ არის. სხვა კერძობა თავ-თავისს საქმეს ადგია და ვინ დამინახავს რო ვსწერ. არ ვიცი ამ კედლებს ასხია თვალ-ყური, თუ ჩემს ქოთავსა აქვს ისეთი წყეული ნიჭი, რომ ყველაფერსა ტყობილობს! ისე სიტყვას ვერ ვიტყვი და ნაბიჯს ვერსად გადავადგამ, რომ მაშინვე არ მიმიხვდეს. ოჰ, ლენდორ! (თავის წერილსა ჰკეცს.) არ ვიცი როდის და როგორ გადავსცემ, მაგრამ მაინც დავჰკეცოთ. ფანჯრის რიკულიდამ თვალი მოვჰკარ, დალაქ ფიგაროს ელაპარაკებოდა. კარგი კაცია ფიგარო და რამდენჯერმე დამანახვა, რომ გული შესტკივა ჩემთვისა, ვებრალები. ამას მაინცა ვნახავდე ერთ წამსა.

გამოსვლა მეორე.

როზინა, ფიგარო.

როზინა. (გაკვირვებული). ოჰ! უფალო ფიგარო, როგორ მიამა თქვენი ნახვა რომ იცოდეთ.

ႴႨႢႠႰႭ. ხომ კარგათა ბძანდებით, ქალბატონო!

ႰႭႦႨႬႠ. ვერა ვარ კარგათა, უფ. ფიგარო. მოწყენილობა მკლავს.

ႴႨႢႠႰႭ. ოღონდაც. ვის მოუხდება თუ არ სულელსა.

ႰႭႦႨႬႠ. ვის ელაპარაკებოდით ქვევითა? არა გამიგონია რა, მაგრამა...

ႴႨႢႠႰႭ. ერთი ყმაწვილი სტუდენტი გახლდათ, ჩემი ნათესავი, ძალიან საიმედო, ჭკუით სავსე, კეთილის გრძნობითა და ნიჭიერებითა; ამასთან საკვირველი მოხდენილი რამ არის.

ႰႭႦႨႬႠ. სწორეთ, სწორეთ! სახელათ?...

ႴႨႢႠႰႭ. ლინდორ; არა გააჩნია რა; მაგრამ მადრიდიდამ რომ უცბათ არ გამოსულიყო, კარგ ადგილს იშოვიდა რასმე.

ႰႭႦႨႬႠ. იშოვის, უფ. ფიგარო, იშოვის. ისეთი ყმაწვილი კაცი, როგორათაც თქვენ ის გამოხატეთ, რათ იქნება ისე დაბადებული, რომ თავი მალე არ ისახელოს.

ႴႨႢႠႰႭ. (თავისთვის) კარგი ნიშანია. (მაღლა) მაგრამ ერთი ისეთი რამ დიდი წუნი აქვს, რომ ძალიან ავნებს იმისს დაწინაურებასა.

ႰႭႦႨႬႠ. წუნი, უფ. ფიგარო, წუნი? სწორეთ იცით ეგა?

ႴႨႢႠႰႭ. სწორეთ. სიყვარულის ცეცხლი აქვს მოდებული.

ႰႭႦႨႬႠ. სიყვარულისა? მერე მაგას არქმევთ წუნსა?

ႴႨႢႠႰႭ. სწორეთ! იმის მდგომარეობას სულ არ შეჰფერობს.

ႰႭႦႨႬႠ. ეგეც ბედის უსამართლობა! მერე, ამბობს ვინ უყვარს? რა მეკითხება, მაგრამ...

ႴႨႢႠႰႭ. თქვენ სულ უგანასკნელი ბძანდებით ქალბატონო, ვისთანაც მე ამ გვარ საქმეში გამოტეხას გავბედავ.

ႰႭႦႨႬႠ. რატომ, უფ. ფიგარო? მერწმუნეთ რომ პირშენახული ვარ, ჩემს უმაწვილი კაცი თქვენი ყოფილა და იმიტომ მინდა იმისი ამბავი... თქვით და რაღა...

ႴႨႢႠႰႭ. წარმოიდგინეთ ერთი მშვენიერთ მშვენიერი პაწაწა ტიკინი, მშვიდი, წყნარი, ნაზი, ნარნარი, საკურველი პირწყლიანი და პირში წყლის მომყვანი; ფეხ მოპარვით მავალი, ტანად ისეთი რომ აგერ, აგერ წელში გადატყდებაო; მკლავებ-მსუქანი, ბაგე ლალ-ვარდი; ახლა თათები იმისი? ახლა ლაწვები? კბილები? ოჰ, კბილები! თვალები? ვაჰ, ვაჰ, თვალები!...

ႰႭႦႨႬႠ, ამ ქალაქშია?

ႴႨႢႠႰႭ. ამ უბანში.

ႰႭႦႨႬႠ. იქნება ამ ქუჩაშიაც.

ႴႨႢႠႰႭ. ჩემგან ორ ნაბიჯზედ.

ႰႭႦႨႬႠ. ოჰ, რა Სასიამოვნოა... უფალი თქვენი ნათესავისათვის. და ეს ქალი არის...

ႴႨႢႠႰ. მე სახელი არ მიხსენებია?

ႰႭႦႨႬႠ. მაგას გარდა არა დაგვიწყებიათ რა, უფ. ფიგარო. თქვით ეგეცა, თქვით მალე, თორემ თუ შემოვიდა ვინმე ვეღარ შევიტყობ...

ႴႨႢႠႰႭ. უთუოთა გნებავთ, ქალბატონო? მაშ კარგი. ეს ქალი არის... თქვენი აპეკუნის... სააპეკო...

ႰႭႦႨႬႠ, სააპეკო?

ႴႨႢႠႰႭ. დოკტორი ბართოლოსი! დიაღ, ქალბატონო.

ႰႭႦႨႬႠ. (შეშფოთებული) ოჰ, უფალო ფიგარო!... მე თქვენი არა მჯერა, მერწმუნეთ.

ႴႨႢႠႰႭ. იმასაც ეგა სწვამს, რომ თითონა ჰსურს თავის პირით დაგაჯერებინოთ.

ႰႭႦႨႬႠ. თქვენ სულ ამათრთოლეთ, უფ. ფიგარო.

ႴႨႢႠႰႭ. ათრთოლება დიაღ ვერ არის კარგი ანგარიში, ქალბატონო! როდესაც ფორტოტების შიშს დაუვარდებიან, თითონ ამ ში-

შენს ზუროტებსა ჰგრძნობენ. მერე მე იმისთვისა ვარ აქ მოსული, რომ მინდა ხვალამდის ყოველი თვალყურის დევნება აგაცილოთ.

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. მე თუ შეგყვარვარ ამითი დამიმტკიცოს, რომ ყოვლითურთ მშვიდობიანათა და წყნარათ იყოს.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ეჰ, ქალბატონო! სიყვარული და დასვენება ერთს გულში როგორ მოთავსდებიან. საბრალო ყმაწვილობა დღეს ისეთი უბედურია, რომ აუცილებლად უნდა ორში ერთი ირჩიოს: ან სიყვარული და დაუსვენებლობა, ან დასვენება და უსიყვარულობა.

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. (თვალების დაშვებით) უსიყვარულო დასვენება... მგონია...

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ... ძალიან საწყალი უნდა იყოს. მართლა ისე გამოდის, რომ დაუსვენარს სიყვარულს უკეთესი სახე აქვს; და ჩემა თავათ, მე რომ ქალი ვყოფილიყავ...

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. (გაჭირვებით) მართალია, ყმაწვილი ქალი პატიოსან კაცს ვერ დაუშლის პატივისცემასა...

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ჩემს ნათესავსაც თქვენი პატივისცემა აქვს დაუბოლოებელი, განუსაზღვრელი.

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. მაგრამ თუ წინ-დაუხედაობას ჩაიდენს რასმე, უფრო ფიგარო, ხომ დაგვღუპავს.

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. (თავისთვის). დაგვღუპავსო. (მაღლა) მაგას ცოტა რამ ბარათით რომ დაუშლიდეთ... მოგეხსენებათ, წერილს დიდი ძალა აქვს.

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. (იმ ბარათს აძლევს, რომელიც დასწერა.) დრო არა მაქვს რომ ხელახლა დავიწყო ესა; და ამას რომ აძლევდეთ, თქვენ უთხარით... კარგათ უთხარით... (ყურს უგდებს თითქო მოდიოდეს ვინმე.)

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. არავინ არის, ქალ-ბატონო.

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. რომ წმინდა მეგობრობით უთვლი ამასა?

ᲤᲘᲒᲐᲠᲝ. ეგ რასაკვირველია; განა არ ეტყობა: სიყვარული სულ სხვა რიგათ გამოითქმის.

როზინა. წმინდა მეგობრობითა, გესმით? მე მარტო ამისი ფიქრი მაქვს, რომ დაბრკოლებას რასმე თუ შეუშინდა...

ფიგარო. დიაღ, სასათვლაოს ნათელსა, მაგალითად. ნუ დაივიწყებთ, ქალ-ბატონო, რომ რომელიც ქარი სანთელს აქრობს, ის ცეცხლს უფრო აძლიერებს და ჩვენ სწორეთ ეს ცეცხლი გვიკიდია. ცარიელი ლაპარაკი გვახურებს ისე, რომ მე ცივება მემართება, მე, რომელიც აქ არაფერში ურევივარ.

როზინა. ღმერთო! აპეკუნის ფეხის ხმა მესმის. აქ რო გნახოთ... აიმ კაბინეტში შედით და იქიდამ როგორც შეგეძლოთ ისე ნელა ჩადით.

ფიგარო. ნუ გეშინიათ. (ცალკე, ბარათი რომ უჭირავს ხელში.) აი ყოველი ჩემი სიფთხილის ფასი. (შედის კაბინეტში).

გამოსვლა მესამე.

როზინა მარტო.

მანამდინ ის თავს დააღწევდეს, მე შიშითა ვჰკვდები. ოჰ! როგორ მიყვარს მე ეს კეთილი ფიგარო! ძალიან პატიოსანი კაცია, კარგი მონათესავე. ოჰ! აგერ ჩემი მტარვალი; ჩემი ხელ-საქმეავიღო. (სამთელს აქრობს, და ქარგას უჯდება.)

გამოსვლა მეოთხე.

ბართოლო, როზინა.

ბართოლო. (განრისხებული) ოჰ! წყეული, ღვთისგან შეჩვენებული, ჩვენი მოსახრჩობი ავაზაკი ფიგარო! გაგონილა! ერთი წამს ვერ გავიდეს კაცი გარეთა, რომ შინ...

როზინა. ვის გაუჯავრებიხართ აგრე, ბატონო?

ბართოლო. ვისა და ამ შეჩვენებულს დალაქ—ფიგაროსა, მთელი ჩემი ჯერძობა რომ ერთი ხელის აქნევით დაუქანცავს;

ერთისათვის მიუცია დასაძინებელი წამალი; მეორესთვის ცხვირ-საცე-მინებელი; მარსელინასთვის ფეხში სისხლი გაუღებინებია; აღარავინ დარჩენილა ჩემ ჯორამდინ, რომ... ჰმ! დაბრმავებული პირუტყვისათვის თვალებზე მალამო დაუკრავს! ჩემი რო ჰმართებს ასი ოქრო, თავის ფიქრით კითამ წამლებში უნდა გამომიბაროს! ვნახოთ ერთი! არავინ ხორციელი დერეფანში! და აქამდინ, ამ ოთახამდინ ისე მოდის კაცი, თითქოს ყაბახი იყოსო.

როზინა. თქვენს გარდა მაინც ვინ შემოვა აქ სხვა, ბატონო?

ბართოლო. ისევ უმიზეზო შიში მირჩევნია გაუფთხილებ-ლობას. ქალაქი სავსეა გათამამებული თავხედი ხალხითა. დღეს დი-ლას არ იყო ლექსი მოგტაცეს, ამოსატანად რომ ჩამგზავნეთ. ოჰ! მე...

როზინა. განა არა, შეიძლება სულ უბრალო საქმე ძლიად გაზ-ვიადდეს. განა არ შეიძლება ქარს გადაეგდოს ქაღალდი და მერე პირ-ველს გამვლელს ვისმე ეპოვოს, მე რა ვიცი...

ბართოლო. ქარი, პირველი გამვლელი... არ გახლავს ქა-რი, ქალ-ბატონო, არც პირველი გამვლელი ქვეყანაზედა; ყოველთვის ისე გამოდის, რომ განგებ იცდის ვინმე, მაშინვე ხელი გსტაცოს ქა-ღალდსა, რომელიც ქალს ეტყობა ძირს უნდა დაუშვასო.

როზინა. ქალს ეტყობა ძირს უნდა დაუშვასო?

ბართოლო. დიაღ, ქალ-ბატონო! ქალს ეტყობა.

როზინა. (ცალკე) ოჰ! ბოროტო ბერიკაცო!

ბართოლო. ეს ამას იქით აღარ მოხდება; მინდა ამ ფან-ჯარას ბეჭედი დავასვა.

როზინა. უკეთესს იზამთ; სულ ერთიანად ამოაშენებინეთ ფანჯრები. თუნდ საპყრობილეში ყოფილა ადამიანი, თუნდ ჯურღმულ-ში, სულ ერთია.

ბართოლო. რაც ქუჩას გადაჰყურებს, რკინებით არ იყოს ცუ-დი... ეს დალაქი მაინც არ შემოსულა აქა?

როზინა. როგორა? ეჭვი იმაზედაცა გაქვთ?

ბართოლო. ყველა ერთია.

როზინა. დიაღ შესაბამი პასუხია!

ბართოლო. ყველას ენდეთ და ჰნახავთ თუ არ შემოგეხვევიან — მოახლე, რომელიც გატყუებთ, კარგი მეგობრები, რომელნიც ქმჯს აქეზებენ და კარგი მსახურები, რომელნიც იმას ეხმარებიან.

როზინა. როგორა? აღარც ამასა ნებულობთ, რომ ფიგაროსაგან მოტყუებას არ ველოდეთ?

ბართოლო. რომელს ეშმაკს ესმის ქალების უცნაური ჟინი, — ან ვისგან რას გამოელიან — ვინ ახსნის; რამდენი მინახავს, რომ...

როზინა. ეჰ! ბატონო! თუ იმის მეტი საჭირო არა არის რა რომ ადამიანი კაცი იყოს, რომ ქალმა მოიწონოს, მაშ რისგან არის, რომ თქვენ აგრე ახირებულად მაძულებთ ფიგაროს?

ბართოლო. (გაოცებული.) რისგანა?... რისგანაო?... მე რასა გკითხავთ, — თქვენ რა პასუხს მეუბნებით! დალაქისასა გკითხავთ მე!

როზინა. მკითხავთ და დიაღ, ეს კაცი შემოვიდა ჩემთან; მე ვნახე, ველაპარაკე. არც ამას დაგიმალავთ, რომ იმისი ყოფა-ქცევა მომეწონა. ახლა, მოკვდებით ჯავრითა? (გავა.)

გამოსვლა მეხუთე.

ბართოლო მარტო.

ბართოლო. ეჰ! თქვე ურიებო და ძაღლებო ჩემო მსახურებო! ჯაბუა შეჩვენებულო, ფხიზელავ, შე წყეულო!

გამოსვლა მეექვსე.

ბართოლო, ფხიზელა.

ფხიზელა. (შემოდის მთქნარებით, ძილ მოკიდებული.) ააჰ! ააჰ! აჰ! აჰ!...

ბართოლო. სად იგდე შე ჭირ-მოსადებო შენა! დალაქი რო შემოვიდა აქა?

ფხიზელა. ბატონო, მე გახლდი... აჰ, ააჰ, აჰ!..

ბართოლ. ეშმაკობასა და ცუღლუტობაში იყავ განა?... ის კი არ გინახავს?

ფხიზელა. როგორ არ მინახამს, ამ ნიშნითა რომ ავათა ხარო მეუბნეოდა, ეტყობა მართალსაცა ბძანებდა, — ყველა სახსრებში დამიწყო ტკივილი, იმან რო მითხრა... ააჰ! ააჰ!

ბართოლო. (გამოჯავრებით.) იმან რომ მითხრა... ააჰ, ააჰ!.. ჭაბუა სადღა ჯანაბასა გდია? ამ პატარა ბიჭის უჩემოთ წამლობა!! არა! აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს.

გამოსვლა მეშვიდე.

ისინივე და ჭაბუა (ბერიკაცივით კომბალზე დაყუდებული შემოდის და წამ-და-უწუმ ცხვირს აცემინებს.)

ფხიზელა. (ისევ მთქნარებით) ჭაბუა?

ბართოლო. შენ კვირასაც გამოიცხიკვინებ, მე ვიცი.

ჭაბუა. აგერ ორმოც-და-ათჯერ... ორმოც-და-ათჯერ... ამ ერთ წამ... ერთ წამში... მოვკვდი.

ბართოლო. ამათ უყურეთ! მე თქვენა გკითხავ, ორთავე, აქ როზინასთან იყო ვინმე თუ არა მეთქი, და თქვენ კი არ მეუბნებით რომ დალაქი...

ფხიზელა. (ისევ მთქნარებით) უკუ. ფიგარო ვინმე რათ იქნება, ააჰ, ააჰ!

ბართოლო. ვისაც უნდა დავენაძლევები რომ ესეც ამასთან არის.

ფხიზელა. (გულმოჯდომითა ტირის) მე... მახსოვს.

ჭაბუა. (ცხვირ-ცემინებით) ეჰ, ბატონო... სად ა... სად არის... ხამა... სამართალი?...

ბართოლო. სამართალი? კარგი რამ იქნებოდა სამართალი! მე ბატონი ვარ თქვენი, მე, და მართალიც ყოველთვის მე ვარ.

ჭაბუა. (ისევ ისე) თუ საქმე მართალია?...

ბართოლო. თუ საქმე მართალია? მე თუ არ მინდა რომ მართალი იყოს, ჩემი ნებაა, რომ არ იყოს მართალი. მიეცით ყველა ამ კერპებს ნება სიმართლე იქონიონ, და მთავრობას რა დაემართება, ჰნახავთ მაშინა.

ჭაბუა. (ისევ ისე) მე უნდა დამითხოვოთ. აღარ შემიძლია; ეს სამსახური კი არ არი, ცოცხლივ ჯოჯოხეთია!

ფხიზელა. (ტირილით) საწყალ ადამიანს პირუტყული გულისხვაც აღარა აქვს აქა.

ბართოლო. გადი და რაღა, საწყალო ადამიანო! (აჯავრებს) ანცხი, ანცხა! ერთი ჩემ ცხვირ-წინ აცემინებს ცხვირსა, მეორე ზედ მამთქნარებს.

ჭაბუა. ოჰ, ბატონო, ღმერთმანი, ყმაწვილი ქალ-ბატონი რომ არა, აქ გაძლება არავის არ შეეძლებოდა. (გავა ცხვირ-ცემინებით.)

ბართოლო. უყურეთ ერთი რა უქნია ამათთვის იმ ფიგაროსა! ცხადია, ვალის გადახდას ისე მიმწერებს, რომ ქისის პირიც არ გაუხსნას...

გამოსვლა მერვე.

ბართოლო, დონ-ბაზილიო; ფიგარო (კაბინეტიდამ ხან-და-ხან თავს გამოჰყოფს და ვითამ ყურს უგდებს.)

ბართოლო. ოჰ, დონ-ბაზილიო, იმისთვის მოხვედით რომ როზინას მუზიკა ასწავლოთ განა?

დ. ბაზილ. ყველაზედ უფრო ნაკლებ-საშური ეგ არის.

ბართოლო... თქვენთან ვიყავი, მაგრამ შინ არ დამიხვდით.

დ. ბაზილ. თქვენი საქმეებისათვის წავედი გარეთ. ამბავი უნდა შეგატყობინოთ, ძალიან საწუხარი.

ბარტოლო. თქვენთვის?

ბაზილ. არა, თქვენთვის. გრაფი ალმავივა აქა ყოფილა.

ბარტოლო. დაბლა ილაპარაკე. მთელს მადრიდში რომ როზინას დაეძებდა, ისა?

ბაზილიო. ბინა დიდ-უაბანზე ჰქონია და ყოველ-დღე სხვა-და-სხვა ნაირათ ჩაცმული გამოდის გარეთ, არავინ მიცნოსო.

ბარტოლო. უეჭველია, ეს მე შემეხება. როგორ ვქნათ?

ბაზილ. უბრალო ვინმე რომ ყოფილიყო, თავიდამ მოცილება ადვილი იქნებოდა.

ბარტოლო, დიახ, საღამოთი ჩაუსაფრდებოდით სადმე შეიარაღებულნი, შეჭურვილნი.

ბაზილ. Bone Deus *). ფავის გაუპატიურება რა სათქმელია! სავნებელი საქმე აღუდგინოთ, ეს სხვა არის; — და მანამდისინ საქმე შიშინებდეს, ოსტატურად ვიტყოდეთ ცილის-წამებასა, concedo **).

ბარტოლო. ახირებული რამ ყოფილა ადამიანის ხერხი კაცის მოსაცილებელი!

ბაზილიო. ცილის-წამება, უფალო! მაშ არა გცოდნიათ, რასა სწუნობთ. მე თვითონ საპატიო კაცები მინახავან იმისაგან დათრგუნულები; დამიჯერეთ, რომ არ არის ისეთი ცუდი ბოროტება, ისეთი სამაგლობა, ისეთი უცნაური ზღაპარი, რომ დიდ ქალაქში მცხოვრებნი არ მოეწყვერებოდნენ და დასაჯერი არ იყოს, თუ როგორც მოიქცნენ. ჩვენ ხომ გვყავან ამ გვარ საქმეში დახელოვნებულები... ჯერ ერთი მსუბუქი ხმა, მერცხალ-ჩიტის პირზედ ისე დამავალი, როგორც ქუხილ-წინეთ მერცხალი, — ნელა-ნელა ჩურჩულ-ჩურჩულს და ყურადღებას, და მიაწნევს საწამლავსა თავისს დაშხამულს გისზედ. ზოგიერთი ბაგე ჩურჩულთა აიკრეფს და გულხილად და ფართხილად გაჩაღებს ყურში. საქმე გაკეთდა; ბოროტება დაითესა, ამოვიდა, გაიზარდა, გზას გაუდ-

*) სახიერო ღმერთო!

**) თანხმა ვარ.

გა და პირიდამ პირამდინ ჯანაბამდინ მიდის შეუფენბელი; მერე უეცრად, არ ვინ იცის როგორ, თითქო თვალითა ჰხედავთ, ცილის-წამება აიმართა, ზეზე წამოდგა, დაისისინა, განზე გაიწია, გასივდა, მაღლა ავიდა. ახლა მიირყევა, ფრთებსა ჰშლის, მიფრინავს, ბუქივითა ჰზმუის, ყველასა ჰგლეჯს, ყველასა ჰსწეწავს, ჰგრგვინავს და სჭექავს და იქცევა საქვეყნო ხმოვანებად, საზოგადო ღრიალად, და გეგონებათ ეს არის სამსოფლიო სიმულილი და შეუბრალებელი მრისხანებაო! წინ დაუდექით თუ შეგიძლიათ.

ბართოლო. რა ბორანში იმყოფებით, ბაზილიო, ნეტავი შემატყობინა! ეგ თქვენი ახირებული piànocrescendo (ხმა მდაბალ-მაღალი) რაში მიუდგება ვითამ ჩემს მდგომარეობასა?

ბაზილიო. როგორ თუ რაში? რასაც ყოველგან ჩადიან, რომ მტერი მოიშორონ, აქაც ის უნდა ჩაიდინოთ, რომ თქვენი მტერი ვერ მოგიახლოვდეს.

ბართოლო. მომიახლოვდეს! მე როზინაზედ ჯვარი მინდა დავიწერო, მანამდისინ შეიტყობდეს, რომ ეს გრაფი არსებობს სადმე.

ბაზილიო. ჰმ ერთი წამიც არ უნდა დავკარგოთ.

ბართოლო. მერე ვიზედ არის საქმე შემდგარი? აკი თქვენ მოგანდეთ რომ ყველაფერი მომზადდეს.

ბაზილიო. დიაღ მართალია, მაგრამ თქვენ ხარჯს ერიდებით; და საქმის კეთილად წარმართვისათვის ცოლ-ქმრობა შეუფერებელი, მსჯელობა უკანონო და უფლების ბოროტად-მოხმარება ცხადი, — ისეთი წინაღმდეგობაა, რომელსაც ყოველთვის ჩამოცილება უნდა და ჩამოცილება რას შეუძლია თუ არ ოქროს?

ბართოლო. (ფულს აძლევს.) აჰა, დახარჯეთ როგორც იცოდეთ, ოღონდ საქმე კი გავათავოთ.

ბაზილიო. ეგ ცალიერი ლაპარაკია! — ხვალ ყველა გათავებული იქნება; თქვენ კი ისე უნდა მოიქცეთ, რომ დღეს ობოლმა ვერა გაიგოს რა.

ბართოლო. ეგ მე მომანდეთ. ამაღამ ხომ მოხვალთ კიდევაც, ბაზილიო?

ბაზილიო. ნუ მელით. მთელ დღეს თქვენი ქორწილის საქმეს მოუნდები; ნუ მელით.

ბართოლო. (აცილებს) იყავნ ნება თქვენი.

ბაზილიო. ნუ სწუხდებით, დოკტორო, ნუ სწუხდებით.

ბართოლო. არაფერია. რომ გახვალთ ქუჩის კარი მინდა გამოვიკეტო.

გამოსვლა მეცხრე.

ფიგარო. (მარტო, კაბინეტიდამ გამოდის) ოჰო! კაი გაფთხილებაა? დაკეტე, კარგა დაკეტე ქუჩის კარი. მე კი რომ გავალ გრაფისთვის უნდა გავაღო. ძალიან გაქნილია ეს უკეთური ბაზილიო, მაგრამ კარგა რომ სულელიც არის. ცილის-მწამებელს ადგილი უნდა ეჭიროს რამე, ცოლ-შვილის პატრონი უნდა იყოს, სახელი უნდა ერქვას, ხარისხი რამ ჰქონდეს, ზურგ-მაგარი იყოს, რომ თავისი ცილის-წამება გაიყვანოს. და ვიღაც ბაზილიოს, რაც უნდა სწამოს, ვინ რას დაუჯერებს.

გამოსვლა მეათე.

როზინა შემოდის, ფიგარო.

როზინა. როგორ, ისევ აქა ხართ, უფალო ფიგარო?

ფიგარო. ბედი თქვენი, ქალ-ბატონო, რომ აქავე ვარ. აქ თქვენ აპეკუნსა და მუზიკის ოსტატს მარტო ეგონათ თავი, და მოურიდებლად მუსაიფობდნენ...

როზინა. თქვენ კი ყურს უგდებდით, უფ. ფიგარო? არ იცით, რომ ცუდია ეგა?

ფიგარო. ყურის გდება? ქვეყანაზედ უკეთესი არა შეიძლება

რა, ვისაც საქმის მეტყობა უნდა. ახლა იცოდეთ რომ ხვალ ჯვარის წერას აპირებს თქვენზედ თქვენი აპეკუნი.

როზინა. ოჰ! ღმერთო დიდებულო!

ფიგარო. ფიქრი ნუ გაქვთ; ჩვენ იმდენ საქმეს გაუჩენთ იმასა, რომ მაგაზედ ცარიელი ფიქრისათვისაც აღარა ჰქონდეს დრო.

როზინა. აგერ მოდის. პატარა კიბეზე ჩამოიარეთ. მე ლამის შიშით მოვკვდე. (ფიგარო გავა.)

გამოსვლა მეთერთმეტე.

ბართოლო, როზინა.

როზინა. აქ იყო ვინმე თქვენთანა, ბატონო?

ბართოლო. დონ-ბაზილიო, ეს არის გავაცილე. იქნება გერჩივნათ რომ ფიგარო ყოფილიყო?

როზ. ჩემთვის ორივე ერთია, გარწმუნებთ.

ბართ. ნეტავი შემატყობინა, აგრე საშური სათქმელი რა ჰქონდა თქვენთან?

როზ. ხუმრობას გაშვებით ვილაპარაკოთ? მასწავლებლის ამბავი მიამბო, რომელიც ვერ არის თურმე კარგათა.

ბართოლო. ამბავი გიამბოთ? ვისაც უნდა დავენაძლევები, რომ ბარათი ექნებოდა ვისგანმე გამოტანებული.

როზინა. მაინც ვისგან, თუ ინებებთ?

ბართოლო. ოჰ, ვისგან? ერთ-ერთი იმათგანისაგან, რომლისაც სახელს ქალები არ ამხელენ ხოლმე. რა ვიცი მე, იქნება პასუხი იყო ფანჯრის ბარათისა.

როზინა. (ცალკე) ეს და [illegible] (მაღლა) სწორედ ღირსი ხართ, რომ აგრე ყოფილიყო.

ბართოლ. (ხელზე უყურებს), აგრეც არის: თქვენ გიწერიათ.

როზინა. (შეშინებით) სასაცილო იქნება, რომ მართლა გინდოდეთ ეგა მაკისრებინოთ.

ბარტოლო. (მარჯვენა ხელს დაუჭერს.) მე. სულაც არა. თქვენს თითს კი აჩნია მელანი! ჰა! მცბიერო სინიორა!

როზინა. (ცალკე) დაგწყევლოს ჩემმა გაჩენმა.

ბარტოლო. (ხელი ისევ უჭირავს.) ქალი როცა მარტოა, რა მიშავს, ვინ რას გამიგებსო, ამბობს თავისს გუნებაში.

როზინა. ეჰა! უეჭველად... კარგი საბუთია!... ჩაათავეთ ერთი, ხელი მეტკინა. — თითი დავიწვი ამ სანთელს რო ვასწორებდი და გაგონილი რომ მქონდა, დამწვარს მელანი მოუხდებაო, მაშინვე წავისვი და ეს არის.

ბარტოლო. მაშინვე წაისვით და ეგ არის. აბა ვნახოთ, მეორე მოწამე დაამტკიცებს პირველის ჩვენებასა თუ ვერა? — სტოლზედ ერთი რვეული ქაღალდი იდვა და მე ბეჯითად ვიცი, რომ ექვსი თაბახი იყო იქა. ყოველ-დღე ვთვლიდი და დღეს დილასაც დავთვალე.

როზინა. (ცალკე) ჰმ! დახავსებულო!

ბარტოლო. (სთვლის.) — სამი, ოთხი, ხუთი...

როზინა. მეექვსე...

ბარტოლო. კარგათა ვხედავ რომ მეექვსე აღარ არის.

როზინა. (თვალებს დაუშვებს.) მეექვსე? ფიგაროს პატარა გოგოს მე კანფეტები გაუგზავნე და იმაში გავახვიე.

ბარტოლო. ფიგაროს პატარა გოგოსა? კალამი რომ ახალი გამოჭრილი იყო, წვერი იმას რაღამ გაუშავა?

როზინა. (ცალკე) ამ დამჩაჩებულს სწორეთა ჰქონია გრძნობა იჭვნეულებისა. (მაღლა) კალამი? ჟილეტს რომ გიკერავთ ყაისნაღითა, ერთი ყვავილი წაიშალა და კალმით ის მოვაცხოველე.

ბარტოლო. ძალიან კარგათ მოდის. მაგრამ რომ დაგიჯერო, შვილოჯან, როდი უნდა გაწითლდებოდე ხოლმე სიმართლის დამალვაზედ. ვისი ბრალია, რომ ჯერ ეს არ იცი?

როზინა. ვინ არ გაწითლდება, როდესაც ამისთანა უბრალო საქმიდამ მაგისთანა ბოროტი ეჭვები გამოჰყავთ?

ბართოლო. მართლა, მე ვარ დამნაშავე. ადამიანმა თითი დაიწვას, მელანი წაიცხოს, ფიგაროს გოგოსათვის გასაგზავნი კანფეტი ერთ თაბახ თეთრ ქაღალდში გაახვიოს, და ჩემი ჟილეტის წაშლილი ყვავილი კალმით მოაცხოვლოს, ამაზედ უფრო უბრალო და უმანკო საქმე რაღა უნდა იყოს? მაგრამ რამდენნაირმა სიცრუემ უნდა მოიყაროს თავი, რომ ერთად ერთი საქმე დაიმალოს: მარტო ვარ, ვერა ვინა მხედავს და რამდენიც მინდა იმდენს ვიცრუებ. ამასობაში კი თითზე შავი ხალი რჩება, კალმის წვერი მელანში ამოვლებული და ერთი თაბახი ქაღალდი გამქრალი. ყველაზედ როგორ იზრუნოს ადამიანმა? ამას იქით კარგა დარწმუნებული ბძანდებოდეთ, სინიორა, რომ როდესაც მე ქალაქში ვიქნები, ორნაირი კლიტე გამცემს თქვენ მაგიერ პასუხსა.

გამოსვლა მეთორმეტე.

გრაფი, ბართოლო, როზინა.

გრაფი. (სალდათათ, ვითამ ნალვინევათ და იმღერის: ,,მოდი ქალი გავალვიძოთ'' და სხ.)

ბართოლო. ნეტა ამ კაცს რა უნდა ჩვენგან? სალდათია. შინ შებძანდი, სინიორა.

გრაფი. (იმავე სიმღერით როზინასკენ მიდის.) თქვენში ვინ არი, ქალებო, სახელად დოკტორ ბაროლდო? (როზინას ჩუმათ) მე ლენდორი ვარ.

ბართოლო. ბართოლო.

როზინა. (თავისთვის) ლენდორს ახსენებს.

გრაფი. ბალორდო, ბარბალო; რათ მინდა მე ესა; მე მინდა შევიტყო, ვინ არი ამ ორში... (როზინას ქაღალდს უშვერს) გამომართვით ეს ბარათი.

ბართ. ვინარიო! კარგათა მხედავთ რომ მე ვარ. შინ შედითმეთქი როზინა; ამ კაცს ეტყობა ღვინო ჰქონია.

როზინა. კიდეც მაგიტომ, რომ მარტო ხართ. ზოგჯერ ქალს უფრო უნახვენ ხათრსა.

ბართ. შედით, შინ შედით; მე მშიშარა არა ვარ.

გამოსვლა მეცამეტე.

გრაფი, ბართოლო.

გრაფი. ოჰ! მე თქვენ გიცანით, ჯერ თქვენი ნიშნებით.

ბართ. (ფრაფი რომ ბარათს ჯიბეში იდებს) ჯიბეში რომ იმა-ლავთ, რასა ჰმალავთ მაგასა?

გრაფი. იმიტომა ვმალავ, რომ ვერ შეიტყოთ რა არის.

ბართ. ჩემი ნიშნებითა! ამათ ყოველთვის ისე ჰგონიათ, რომ სალდათებს ელაპარაკებოდნენ.

გრაფი. ვითამ და ძალიან ძნელი გეგონოთ თქვენი ნიშნების ანუ სხვა?

ხმა: თავ ცანცარა და მელოტი,
თვალ-პრუწია ბრუტიანი,
სახე ხმელი პირუტყუშლი,
მძიმე და მსხვილ ტანიანი,
მხრები უშნოდ აწოწვილი,
ცხვირი ქოლგის მსგავსიანი,
მუხლები გადაპრანჭული,
დამსხვრეული ბოხ-ხმიანი,—
ყოვლის მძლელი, ყოვლის მცდენ
შიგნით გველი, გარედ გვრიტი, —
ერთის სიტყვით დოკტორებში
ობოლი რამ მარგალიტი.

(ბართოლო სიტყვას აწყვეტინებს სადაც არჩევს).

ბართ. ნეტა რას მიედ-მოედები? იმისთვის მოსულხარ, რომ მე მაწყენინო? ახლავე გადით აქედამა.

ႢႰႠႴႨ. გადითო? ფეი! სადაური ლაპარაკია? კითხვა იცით, დოკტორო ბორბალო?

ႡႠႰႧ. აი, კიდევ ბრიყვული კითხვა.

ႢႰႠႴႨ. ნუ, მაგისთვის ნუ შესწუხდებით, რადგან მე, მაგდენათ რომ თქვენზე ნაკლები დოკტორი არა ვარ...

ႡႠႰႧ. როგორა?

ႢႰႠႴႨ. როგორა და ისე, რომა მე პოლკის ცხენების აქიმოარა ვარ თუ? მაგიტომ დამაყენეს მოძმესას.

ႡႠႰႧ. ჰბედავთ! ბათალი დაადარა...

ႢႰႠႴႨ. (უმღერლად.)

ჰე დოკტორო, რისთვის ჰსწუხები?
განა იმას გეუბნები,
რომ იპოკრატს და მის ჯარსა
ვამჯობინებთ ჩვენ ჩვენს თავსა.

(სიმღერით).

ამხანაგო, ცოდნა თქვენი
უფრო არის მოსახდენი:
თუ რომ სნეულს ვერა ჰკურნებს,
საიქიოს ხომ ისტუმრებს.

ეს ხომ ზდილობიანი იყო, რაც აქ ვთქვი?

ႡႠႰႧ. თქვენ ძალიან გიხდებათ, სალდათო უმეცარო, რომ აგრე ამდაბლებთ უპირველესსა, უდიდესსა და უმარგებელესსა ხელობას.

ႢႰႠႴႨ. უმარგებელესსა მარტო იმათთვის, ვინც მაგ ხელობას ადგიან.

ႡႠႰႧ. ხელობასა, რომელსაც მზე თავსმოწონებით დაჰნათის.

ႢႰႠႴႨ. და რომელსაც ქვეყანა საჩქაროდ ხელს აფარებს, შეცთომა არ გამოაჩნდესო.

ბართ. გეტყობათ, გაუზდელო, რომ სხვა ლაპარაკი არა შეგძლებიათ რა, თუ არ ცხენებთან.

გრაფი. ცხენებთან ლაპარაკი? ოჰ! დოკტორო! გონიერი დოკტორისთვის როგორ შესანიშნავი არ არის, რომ ბათალი თავისს ავათმყოფს ყოველთვის ისე არჩენს, რომ ხმასაც არა სცემს; და თქვენ კი რამდენსა უბედობთ და ავათ მყოფებსაც აუბედებთ...

ბართოლ. და კი ვერ ვარჩენთ, განა?

გრაფი. თქვენვე ამბობთ მაგასა.

ბართოლ. რა ეშმაკმა მოიყვანა აქა ეს წყეული ლოთი, ვიღაც არის.

გრაფი. თქვენ როგორღაც ეპიგრამმებს *) მესვრით, მგონია, საყვარელო!

ბართოლ. აღარ იტყვით ახლა, რა გნებავთ, რას ითხოვთ?

გრაფი. (ვითამ ძალიან გაჯავრებული) ოჰო, ცეცხლს იკიდებს! მე რა მინდა? ვითამ თქვენ თითონ კი ვერა ჰხედავთ?

გამოსვლა მეთოთხმეტე.

როზინა, გრაფი, ბართოლო.

როზინა. (შემორბის) უფალო სალდათო! ნუ ჯავრობთ, ღვთის გულისათვის. (ბართოლოს) ცოტა ტკბილად ელაპარაკეთ, ბატონო: კაცი როცა გონებასა ჰკარგავს...

გრაფი. მართალსა ბძანებთ, გონებასა ჰკარგავს ესა, ჩვენ კი არა. მე გონიერი, თქვენ მშვენიერი... ბოლოს კმარა. სწორე თუ გნებავთ, მე აქ, თუ არ თქვენთან, არავისთან მინდა საქმე მქონდეს.

როზინა. რა შემიძლია თქვენი სამსახურისათვის, ბძანეთ უფ. სალდათო.

*) epi-ზედ, gramma—წერა; ზედ წარწერა. აქ კი ჰნიშნავს მწარე, მჩხვლეტელ სიტყვას.

ᲒᲠᲐᲤᲘ. ცოტა რამ, სულ ცოტა რამ, შვილო ჯან! მაგრამ თუ ჩემი ლაპარაკი ცოტა ბნელი გამოვიდა...

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. აზრს მივხვდები.

ᲒᲠᲐᲤᲘ. (ბარათს დაანახვებს). არა, სწორეთ გაიგეთ, სწორეთა. საქმე ეს არის რომა... პატიოსნებით ვამბობ და დიდის პატივის ცემითა,... რომ ამაღამ აქ დამაძინოთ.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚ. სხვა არაფერი?

ᲒᲠᲐᲤᲘ. მეტი არაფერი. აბა ეს ბარათი წაიკითხეთ, ჩვენი კვარტერმისტრი*) რომა გწერთ.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚ. ვნახოთ (გრაფი ბარათს ინახავს და სხვა ქაღალდსაძლევს) „დოკტორმა ბართოლომ მიიღოს, ასვას, აჭამოს, მოუაროს, და- „აწვინოს...

ᲒᲠᲐᲤᲘ. დააწვინოს.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚ. „მხოლოდ ერთს ღამეს, სახელდებული ლენდორ, „წოდებით მოწაფე, ცხენოსანი... პოლკისა...

ᲠᲝᲖᲘᲜᲐ. ეს ის არის, სწორეთ ის არის.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚ. (საჩქაროთ, როზინას.) რაო? რა იყო?

ᲒᲠᲐᲤᲘ. ახლა მართალი ვარ, თუ არა, დოკტორო ბარბარო?

ᲑᲐᲠᲗᲝᲚᲝ. ამ კაცს თითქო სხვა არა ენატრებოდეს რა, რომ რითაც კი მოხერხდება ზნეობითად დამამახინჯოს. გამეცალე იქითა, ბარბარო, ბორბალო, და თქვენს ბრიყვსა და უმეცარს კვარტერმისტრს ასე უთხარით, რომ, რა რომ მადრიდიდამ დავბრუნდი ჩემი სახლი განთავისუფლებულია ჯარის კაცის დაყენებისაგან.

ᲒᲠᲐᲤᲘ. (ცალკე) ახა ვაითასს! ამას ვინ იფიქრებდა.

ᲑᲐᲠᲗᲝᲚᲝ. ჰე, ჰე, ჩვენო მეგობარო! ეს ამბავი არ გეჭაშნიკათ? მალე მაინც გამოფხიზლდით. ახლა რაღას უყურებთ გაჰკეცალეთ და რაღა?

ᲒᲠᲐᲤᲘ. (ცალკე). ცოტას გაწყდა, კინაღამ თავს ვუმტყუნე.

---

*) marechal du logis—квартиръ-мейстеръ,—ჯარის დამბინავებელი.

(მაღლა) გაგეცალოთ? ჯარის კაცებისაგან თუ თავისუფალი ხართ, სტუმართ მოყვარების კანონებისაგან ხომ არა ხართ თავისუფალი. გამეცალეთო? აბა მაჩვენეთ თქვენი განთავისუფლების წერილი; კითხვა არ ვიცი, მაგრამ ადვილად გავშინჯავ.

ბართოლო. მაგაზე თუ მივარდა... აგერ სტოლში მაქვს.

გრაფი. (მანამდინ ის იქ მივა, საცა დგას იქიდამ ეუბნება როზინას). ოჰ! ჩემო მშვენიერო როზინა!

როზინა. როგორა? ლენდორი ხართ თქვენა?

გრაფი. ეს ბარათი მაინც გამომართვით.

როზინა. ფთხილათ იყავით, თვალი ჩვენკენ უჭირავს.

გრაფი. თქვენი ხელსახოცი ამოიღეთ; მე ბარათს ხელიდამ გავაგდებ. (უახლოვდება).

ბართოლო. წყნარა, წყნარა, უფ. სალდათო! მე არ მეპრიანება, რომ ჩემ ცოლს აგრე ახლო მეჭყურებდნენ.

გრაფი. თქვენი ცოლია?

ბართოლო. მა რა გგონია?

გრაფი. მე პაპის მამა მეგონეთ მაგათი, მამეული, დედეული, გადახწეული. მაგათა და თქვენ შუა სამი თაობა მაინც უნდა იყოს გამოვლილი!

ბართოლო. (ეტრატსა *) კითხულობს) „კეთილისა და სარწმუნო „მოწმობის განხილვით...

გრაფი. (ეტრატს ხელს ამოჰკრავს და გადააგდებს). რაში მეპიტნაკება მე მაგდენი ცრუ პენტელაობა?

ბართოლო. იცით, სალდათო, თუ არა, რომ თუ ჩემს მოსამსახურეებს დაუძახე, ისე მოგეკიდებიან, როგორც შეგეფერებათ?

გრაფი. ჩხუბი? დიაღ კარგი! ჩხუბი! ეგ ხომ ჩემი ხელობაა, ჩემი საქმეა. (დამბაჩას აჩვენებს, წელზე რომ ჰკიდია) აი მტერს რითი

*) ტყავზე ნაწერი.

შუყაური მე თვალებში ამათ! თქვენ იქნება ჩხუბი თქვენ დღეში არ გენახოთ, ქალბატონო?

როზინა. არც მინდა ვნახო.

გრაფი. უკეთესი სანახავი რა იქნება. წარმოიდგინეთ (ბართოლოს ხელს ჰკრავს) რომ მტერი ერთი თხრილის ნაპირზედა დგას და მოყვარე მეორეზედა (როზინას ბარათს დაუნახვებს) ამოიღეთ ხელსახოცი! აი, თხრილი ვითამ ეს არის.

როზინა. თავისს ხელსახოცს ამოიღებს; გრაფი ბარათს გააგდებს.

ბართოლო. (დასწვდება) ოჰ, ოჰ!

გრაფი. (გამოსტაცებს) მოიცა..., მე ჩემი ხელობა რომ მინდოდა თქვენთვის მესწავლებინა... ვერ უყურებთ? სწორეთ პირდაპირ ქალის სამიჯნურო ბარათი ამოუვარდა ჯიბიდამა!!

ბართოლო. მამეცით აქა, აქ მამეცით!

გრაფი. dulciter,*) მამავ! ყველას თავისი: თქვენ რომ ჯულაბის რეცეპტი გაგვარდნიყოთ?

როზინა. (ხელს უშვერს) ჰეე! ვიცი, რაც არის ეგა, უფ. სალდათო! (გამოართმევს ბარათს და თავის პატარა წინა ჯიბეში იდებს.)

ბართოლო. გამეცლებით, თუ არა?

გრაფი. კარგი, გეცლებით, მშვიდობით, დოკტორო, ნურას უკაცრავად. ერთად ერთი მოსახსენებელი, ჩემო გულო: ილოცეთ ჩემთვის რომ რამდენსამე ომში კიდევ დავიწყებული ვჭყავდე სიკვდილსა. ისე არას დროს არ გამტკბობია სიცოცხლე, როგორც ახლა.

ბართოლო. წაბძანდით, წაბძანდით. სიკვდილზე მაგდენი გავლენა რომ მქონიყო...

გრაფი. სიკვდილზედა? აქიმი არა ხართ? იმდენათ ავალებთ თქვენ იმასა, რომ როგორ შეუძლია უარი გითხრას რამეში. (გავა.)

*) ტკბილად, სიტკბოებით.

გამოსვლა მეთხუთმეტე.

ბართოლო, როზინა.

ბართოლო. (მიმავალს უყურებს) ძლივს! (ცალკე) თავი მოვიკატუნოთ.

როზინა. სწორე კი უნდა ითქვას, რომ მხიარული ყოფილა ეს ახალგაზრდა სალდათი. მთვრალი იყო, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ არც ჭკუა ჰკლებია და არც ზრდილობა.

ბართოლ. ბედი ჩვენი, ჩემო საყვარელო, რომ კარგათ გადავრჩით! ნეტავი, არა გეხალისება ერთათ წავიკითხოთ ის ქაღალდი, შენ რომ მოგცა!

როზინა. რა ქაღალდი?

ბართოლ. ვითამ ძირს რომ ეგდო, იმან აიღო და შენ მოგაწოდა, ისა.

როზინა. ჰოო! ეს ჩემი ბიძაშვილის ოფიცრის წიგნი იყო, ჯიბიდამ გამვარდნიყო.

ბართოლ. მე თითქო ისე მგონია, რომ იმან თავის ჯიბიდამ ამოიღო.

როზინა. ძალიან კარგათ ვიცანი.

ბართოლ. რა იქნება ერთი თვალი გადავავლოთ?

როზინა. არაფერი, მაგრამ რა ვქენი, არ ვიცი.

ბართოლ. (პატარა ჯიბეზედ მიუშვერს ხელსა.) აი, აქ მგონ ჩაიდე.

როზინა. ოჰ, ოჰ! გულმავიწყობით.

ბართოლ. სწორეთ, აი, ნახავთ, თუ სისულელე არა იყოს რა.

როზინა. (ცალკე) თუ გული არ მოვაყვავანე, უარი აღარ მოხერხდება.

ბართოლ. ახა, ჩემო გულოჯან!

როზინა. ნეტავი გამაგებინა, რა აზრით დამდგომიხართ აგრე? კიდევ ეჭვები რამე?

ბართოლ. თქვენა? თქვენ რაღა მიზეზი გაქვთ, რომ არ გინდათ მაჩვენოთ.

როზინა. განმეორებით გეუბნებით, უფალო, ჩემი ბიძაშვილის წიგნის მეთქი, გუშინ რომ გახსნილი მომიტანეთ. და რადგან ახლა სიტყვა ამაზედ ჩამოვარდა, გატეხილი უნდა გითხრათ, რომ ამ ნაირი თქვენი უფლება მე ძალიან მეჯავრება.

ბართოლ. არ მესმის რას ამბობთ.

როზინა. რაც თქვენ ქაღალდები მოგდით, მე, ვშინჯავ როდისმე? თქვენ რაღა ნება გაქვთ, რომ რაც მე მომდის თქვენა ჰშინჯოთ ხოლმე? თუ იჭვნეულებით ჩადიხართ ამასა, ეს ხომ შეურაცხებაა ჩემი. თუ უფლება ირღვევა ვისიმე, მე უფრო არ უნდა მაშფოთებდეს ესა?

ბართოლ. როგორ გაშფოთებდეს? თავის დღეში არ გილაპარაკნიათ აგრე ჩემთანა.

როზინა. აქამდინ რომ მოკვდინებით ვიყავი, ამითი ხომ ნება არ მომიცია, რომ დაუსჯელად მაწყენინებდეთ ხოლმე.

ბართოლ. რა გაწყენინეთ მერე აგრეთი?

როზინა. სად გაგონილა, რომ სხვის წიგნის გახსნის ნება ჰქონიყოს ვისმე?

ბართოლ. თავისი ცოლისა?

როზინა. როდი ვარ ჯერა. არ ვიცი მაგისთანა უგვანსა და უღირსს საქმეში ან ცოლს რაღა უნდა ჰქონდეს უპირატესობა?

ბართოლ. თქვენ თითქო მაგიერს მიბრუნებდეთ და იმ ბარათს მავიწყებინებდეთ, რომელიც უეჭველია ახლა საყვარლისაგან ვისგანმე მოგსვლიათ. მაგრამ ვნახავ მე იმასა, გარწმუნებთ.

როზინა. ვერა ნახავთ; და თუ ახლოს მომეკარეთ, გავარდები ამ სახლიდამა და პირველი ვინც შემომხვდება, თავის შესაფარებელს იმასა ვსთხოვ.

ბართოლ. რომელიც არ მიგიღებს.

როზინა. მაგასაცა ვნახავთ,

ბართოლ. საფრანგეთში ხომ არა გგონივართ, სადაც ყოველთვის ქალებს ამართლებენ? — ფიქრათაც რომ აღარ გაფიქროთ ეგა, წავალ და კარს გამოვკეტავ.

როზინა. (მანამდის ის იქ მიდის) ოჰ! ღმერთო! რა ვქნა ახლა! ჩემი ბიძაშვილის წიგნი ჩავიდო საჩქაროთ ჯიბეში ამის მაგიერად და დეე ამოიღოს. (ბიძაშვილის წიგნს ისე იდებს ჯიბეში, რომ ცოტათ ამოჩანს; იმას კი გადაჩქმალავს.)

ბართოლ. (შემომავალი) ახლა კი მაქვს იმედი ვნახო.

როზინა. რა უფლებით თქვენი ნება თუ იქნება ვკითხო?

ბართოლ. იმ უფლებით, რომელსაც ქვეყანა ემორჩილება, — იმ უფლებით, რომელიც უფრო ღონიერსა აქვს.

როზინ. რომ მომკლან, არავის მივსცემ.

ბართოლ. (ფეხს უბრახუნებს) ქალბატონო, ქალბატონო!

როზინ. (სკამზე დაეცემა ვითამ გულშეწუხებული) ოჰ! რა უმსგავსოებაა!

ბართოლ. მომეცი ეგ წიგნი, თუარა მიფთხილდი.

როზინ. (გადაქცეული) ოჰ, უბედურო როზინა!

ბართოლ. რა იყო მერე?

როზინ. ოჰ! რა საშინელება მომელის!

ბართოლ. როზინა!

როზინ. გულის წყრომა მახრჩობს.

ბართოლ. მართლა გული უწუხდება.

როზინ. გული მიმდის; ვკვდები.

ბართოლ. (მაჯას უშინჯავს და ცალკე ამბობს) ღმერთო! წიგნი? ბარემ წავიკითხოთ მანამ გაიგებდეს. (მაჯას ისევ უშინჯავს და წიგნს ართმევს ჯიბიდამ; ცდილობს ისე წაიკითხოს რომ ვერ მიუხვდნენ)

როზინ. (ისევ ისე გადაქცეული) უბედურო ჩემო თავო! ოოჰ!

ბართოლ. (ხელს იღებს მაჯისაგან და ცალკე ამბობს) როგორა ბრაზიანდება გული, როცა საქმეს შეიტყობ, რომლისაც შეტყობა გიჭირდებოდა.

როზინა. ოჰ! საწყალო როზინა!

ბართოლო. სასუნებლების ხმარებამ...... იცის ამ ნაირი გულ-ჭიდება. (მაგიდაზედ ხელი უკიდია და სკამს უკან წიგნსა კითხულობს. როზინა ცოტას წამოიწევს, ეშმაკობით შეჰხედავს, თავს დაიქნევს და ისევ დაეშვება ხმა ამოუღებლად.) ღმერთო ძლიერო! მარტოლა ბიძაშვილის წიგნი ყოფილა. ოჰ წყეულო ეჭვიანობავ! ახლა როგორ დაუმშვიდო გული? ვმას მაინც ნუ შეიტყობს, რომ წაკითხული გვაქვს. (თითქო მხარს ამოუჯდება როზინასა და წიგნს ჯიბეში უდებს).

როზინა. ოოჰ!

ბართ. კარგია არაფერია, შვილოსავ, ცოტა გულს მოგაწვა და გაქრა. შენ მაგას ცვლილების სულაც არა დასტყობია რა. (მიდის სასუნებელი ქილა უნდა მოიტანოს.)

როზინა. (ცალკე) წიგნი ისევ ჯიბეში ჩამიდო!

ბართ. ძალიან კარგი! ჩემო საყვარელო როზინავ! ცოტა სა-სუნებელი!

როზინა. არა მინდა რა თქვენი; თავი დამანებეთ.

ბართ. აღმიარებია, რომ ცოტა სიფიცხე გამოვიჩინე ამ ბა-რათის გამოისობით.

როზინა. ბარათს ვინა ჩივის? თქვენ რომ ესრეთის უზდე-ლობით მეკიდებით, ეს არის ჩემი გულმაშფოთებელი.

ბართ. (დაუჩოქებს.) მომიტევე! მაშინვე ვიგრძენ ჩემი დანაშაუ-ლი, და აი, შენ ფეხთ-ქვეშა მწოლარე შენანებული.

როზინა. ჰო, მომიტევეთ, როცა გეგონათ, რომ ეს წიგნი ჩემი ბიძა-შვილისა არ იყოს.

ბართ. ამისთანა ჯიუტი თუ სწყრება, ამისთვის ახსნა მე. სრულებით არაფერ მინდა რა.

როზინა. (წიგნს აწოდებს). შეხედავთ, რომ ტკბილი ლაპარაკით ყოველი უქეში ადვილადა რიგდება. წაიკითხეთ.

ბართ. ეგ კეთილ-მოსილური მოქმედება ყოველს ეჭვიანობას გააქრობდა, ისე უსინდისო რომ ვყოფილვიყავ, რომ კიდევ შემოწე-ნიყო.

ᲠᲝᲖ. წაიკითხეთ და რაღა, ბატონო!

ᲑᲐᲠᲗ. (უკან დაიწევს) ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე მაგისთანა შენი შეურაცხ-ყოფა განვიზრახო.

ᲠᲝᲖ. ახლა მაგ უარის ყოფით მაჯავრებთ.

ᲑᲐᲠᲗ. მაგის სამაგიეროთ ეს მიიღე ჩემგან, რომ გული ყოვლითურთ დანდობილი მაქვს შენზედა. ახლა საბრალო მარსელინა მინდა ვნახო, ფიგარომ რომ, არ ვიცი რისთვის, ფეხიდამ სისხლი გაუდებინებია. შენც ხომ არ წამოხვალ?

ᲠᲝᲖ. ახლავ ამოვალ.

ᲑᲐᲠᲗ. რადგან გავრიგდით, ნამცეცავ, ხელი მომეცი. ჩემ სიყვარულს რომ შეიძლებდე, ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდი.

ᲠᲝᲖ. (თვალებს დაუშვებს) რომ მომეწონებოდეთ, ოჰ, როგორ მეყვარებოდით!

ᲑᲐᲠᲗ. მოგეწონები, მოგეწონები; გეუბნები მოგეწონები მეთქი. (გავა.)

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔ.

როზინა მიმავალს უყურებს.

ოჰ, ლინდორ! ეს ამბობს მოგეწონებიო... აბა წავიკითხოთ ახლა ეს წიგნი, კინაღამ რომ ახირებული ხიფათი შემამთხვია. (კითხულობს და დაიძახებს.) ოჰ, რა გვიან მომივიდა წაკითხვა. მირჩევს გამოაშკარებით იქონიე აპეკუნთან ჩხუბიო. რა კარგი მიზეზი მქონდა და დავკარგე. წიგნი რომ მივიღე, მაშინვე ვიგრძენ რომ აგენთე. ოჰ, მართალს ამბობს ჩემი აპეკუნი; ძალიან შორს ვყოფილვარ მართლა იმ თავის შემაგრებისაგან, რომელიც ჩვეულებათ თურმე აქვთ ყოველ შემთხვევაში სხვა ქალებსა. მაგრამ ერთი უსვინიდისო კაცს შეუძლია თვითან უმანკოებაც გააეშმაკეულოს.

მოქმედება მესამე

გამოსვლა პირველი

ბართ. (მარტო, იმედ-გადაწყვეტილი.) რა გუნებაზედ არის, რა გუნებაზედ არის! ცოტა კი მშვიდდება ახა ერთი გამაგებინოს ვინ-მე, რა ეშმაკმა დააყენებინა, აღარ მინდა და აღარ მინდა დონ-ბაზილიო ოსტატათო! უთუოთ იცის რომ ჩემ საქმეში ურევია. (კარსა ჰკრავენ) ნუ რას დაიშურებთ ამას იქით, რომ ქალს თავი მოაწონოთ; — თუ ერთი პატარა წერტილი გაუშვით, — ერთად-ერთი... (მეორეთა ჰკრავენ.) ვნახოთ ერთი ვინ არის.

გამოსვლა მეორე

ბართოლო, გრაფი (ბაკალავრად.)

გრაფი. მშვიდობა და სიხარული არსებობდეს მარადის ამ სახლში.

ბართ. (მკვახედ) მაგისთანა დალოცვა სწორეთ გვარგია ახ ა. რა გნებავთ მერე?

გრაფი. ბატონო! მე გახლავართ ალონზო, კურს დასრულებული ბაკალავრი...

ბართ. ოსტატი ჩემთვის საჭირო აღარ არის.

გრაფი. მოწაფე დონ-ბაზილიოსი, დიდი მონასტრის მეორღანოესი, რომელიც ასწავლის ქალ ბატონს, თქვენ...

ბართ. ბაზილი, მეორღანოე, რომელიც... ვიცი, ვიცი მერე?

გრაში. (ცალკე) როგორია?! (მაღლა) უეცრად ავათ გახდა და ქვეშაგებში...

ბართ. როგორა? წევს? კარგათ უქნია რომ შემატყობინა და ამ წამსვე მოვალ იმის სანახავათ

გრაში. (ცალკე) აი, დაეწყევლოს უფალმა, (მაღლა) ქვეშაგები რო გახსენე: ვითამ ეს მინდოდა მეთქვა, რომ შინიდამ ვერ გამოდის მეთქი.

ბართ. სჩანს, შეუძლოთ ყოფილა. წინ გამიძეღით.

გრაში. (საქმე უჭირს.) ბატონო! იმან მომანდო... ხომ არავინ გაგვიგონებს?...

ბართ. (ცალკე) ეს ვიღაც გაქნილი არის ვინმე. (მაღლა) არავინ, ფთხილოთ, უფალოთ, არავინ. ნუ სწუხართ. უშიშრად ილაპარაკეთ, თუ შეგიძლიათ.

გრაში. (ცალკე) წყეული ბერიკაცი! (მაღლა) დონ-ბაზილიომ მომანდო შეგატყობინოთ...

ბართ. ხმა-მაღლა! ცალ-ყურს მაკლია!

გრაში. (ხმა მაღლა) ბატონი ხართ. დიდ-ყაბახზედ რომ იდგა გრაფ ალმავივა...

ბართ. (შეშფოთებული) დაბლა თქვით! დაბლა თქვით!

გრაში. (უფრო მაღლა) ამ დილაზე სხვაგან გადავიდა. რადგან ჩემგანა ჭქონდა შეტყობილი, რომ გრაფი ალმავივა...

ბართ. დაბლა, დაბლა თქვით, გევედრებით!

გრაში. (ისევ ისე) ამ ქალაქში იყო და მე გავიგე რომ სინიორა როზინას იმისთვის წიგნი მიეწერა...

ბართ. იმისთვის მიეწერა? ჩემო საყვარელო მეგობარო, დაბლა ილაპარაკეთ, ღვთის გულისათვის. აბა, დავსხდეთ და მეგობრულად ვიმუსაიფოთ. მე გავიგეო, ამბობთ, რომ როზინას...

გრაში. (სიამაყით) ბევრითად. ბაზილი თქვენთვის შეწუხდა და მე მთხოვა წიგნი თქვენთვის მეჩვენებინა; მაგრამ რადგან ეს ამბავი თქვენ ისე მიიღეთ...

ბართ. ახა ღმერთო! უკეთესად როგორ უნდა მიმეღო! ვითამ კი არ შეგეძლოთ ცოტა უფრო დაბლა ლაპარაკი?

გრაფი. ცალ ყურს მაკლიაო, თქვენ არა ბძანეთ!

ბართ. რა ვქნათ, უნდა მომიტევოთ, უფ. ადონძო, რომ ცოტა ეჭვიანათა და მკვახეთ დაგხვდით; მაგრამ იმდენი გაქნილი ხალხი მახვევია გარსა,—იმდენ მახეს მიგებენ... ამასთან თქვენი შეხედულობა, თქვენი ასაკი, თქვენი იერი... მომიტევეთ, მომიტევეთ!—ახლა! თანა გაქვთ წიგნი?

გრაფი. ეგ კიდო—სულ სხვა არის, უფალო! მაგრამ, მეშინია ყურს არავინ გვიგდებდეს.

ბართ. ეჰ! ვინ უნდა გვიგდებდეს. მოსამსახურეები ყველანი დაქანცულები არიან. როზინა, გაკაპასებული, შეკეტილშია. მაგრამ კიდევაც შევიტყობ... (ფთხილათ შეაღებს როზინას ოთახის კარსა.)

გრაფი. (თავისთვის) ჯავრისაგან სისხლი მიშრება. მოდი და ნუ გამოაჩენ ახლა წიგნსა. მეტი ღონე არ არის, უნდა გავიქცე! მაშ რა მომარბუინებდა!... წიგნი ვაჩვენოთ! როზინას მაინც შევატყობინებდე როგორმე. ოსტატობა კი ძალიანი იქნება რო ვაჩვენო.

ბართ. (მოიპარება) ფანჯარასთანა ზის, ზურგი კარებისკენ შემოუქცევია და თავის ბიძა-შვილის წიგნსა კითხულობს, მე რო გავხსენი.

გრაფი. (აძლევს როზინას წიგნსა) აი, წიგნი! (ცალკე) ის უთუოთ ჩემი წიგნია, რო კითხულობს.

ბართ. (კითხულობს.)

„მას მერმეთ, თქვენი სახელი და თქვენი წოდება რომ შემატყობინეთ!... ოჰ! მუხთალო, მცბიერო!... სწორეთ იმისი ხელია ესა.

გრაფ. (შეშფოთებული.) ახლა თქვენც ხმა-დაბლა ილაპარაკეთ, და.

ბართ. ოჰ! რანაირათა ვარ თქვენგან დავალებული, რომ იცოდეთ!

გრაფი. როდესაც საქმე დაბოლოვდება,—ზოგი მაშინა ბძანეთ.

რასაც ეხლა თქვენთვის დონ-ბაზილიო ერთს კანონის მცოდნესთან საქმეში არის...

ბართ. კანონის მცოდნესთან, ჩემს ჯვარის წერაზედ?

გრაფი. თუ არ ეგ მიზეზი, რათ შეგაყენებდით? მე დამაბარწ, რომ ხვალ დილაზე შეიძლება ყველა მზათ იყოს; და თუ ქალი კიდევ უარზედ იქნება...

ბართ. უთუოთ იქნება უარზედ.

გრაფი. (უნდა გამოართვას წიგნი, ბართოლო აღარ აძლევს) ახლა შემიძლია გამოგადგეთ, აი! ამ წიგნს დავანახვებთ, და თუ საჭირო იქნება (უფრო განდობით) იქამდინაც გავბედავ, რომ ვუთხრა, ეს წიგნი ქალისაგან ვიშოვე მეთქი, რომელზედაც გრაფს თქვენ გაუცვლიხართ მეთქი. ხომ იცით, რომ მოულოდნელი ამბავი, სირცხვილი, წყენა ადამიანს ადვილად დააჯერებინებს...

ბართ. (სიცილით) ცილის წამებასაც. საყვარელო მეგობარო! ცხადათა ვჰხედავ ახლა, რომ ბაზილის გამოგზავნილი ხართ. მაგრამ რომ არ ეტყობოდეს, ეს განგებ მოხერხებული საქმეაო, არ ემჯობინება, რომ ჯერ გაგიცნოსთ ქალმა?

გრაფი. (თავს იმაგრებს დიდის სიხარულისაგან) დონ-ბაზილიოც აგრე ჰფიქრობს. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს... გვიან არის...დრო მაგდენი აღარა რჩე...

ბართ. ვეტყვი, რომ იმის მაგიერათა ხართ ხომ შეგიძლიათ მუზიკის ოსტატობა...

გრაფი. ისეთი რა იქნება, რომ თქვენის სიამოვნებისათვის თავს არ ვიდვა! მაგრამ ამ მოგონებულ ოსტატობაზედ ფრთხილათ უნდა იყოთ, ახალი ამბავი არ არის, კომედიათაც წარმოუდგენიათ და თუ ეჭვი აიღო როგორმე...

ბართ. თითონ მე თუ გაგაცნობთ?—მაინც თქვენ მსახურობის მოსურნე მეგობარს ისე არა ჰგავხართ, როგორც იდუმალათ მოარშიყეს.

გრაფი. გგონიათ, რომ ჩემმა შეხედულობამ უფრო დააჯერებინოს, რასაც უპირებთ?

ბართოლო. ძალიან მახვილი გონება უნდა რომ მიგვიხვდეს. მეტადრე ამაღამ ახირებულ ცუდ გუნებაზედ არის. თქვენ რო გნახოს, მეტი კი არა უნდა რა. ამ კაბინეტშია იმისი ფორტეპიანო. მანამდინ მოვიდოდეს იქ შეექეცით. ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ მოვიყვანო როგორმე.

გრაფი. არამცა და არამც წიგნისა არა უთხრათ რა.

ბართოლო. მანამ საქმე საქმეზედ არ მიდგება, განა? განმეორებით თქმა ჩემთან საჭირო არ არის; არ არის ჩემთან განმეორებით თქმა საჭირო. (გავა.)

გამოსვლა მესამე.

გრაფი (მარტო).

გადავრჩი. უჰ! რა ძნელი ყოფილა ხელით ტარება ამ შეჩვენებული კაცისა! ფიგარო კარგათ იცნობს. ვჰხედავდი რომ ტყუილს ვამბობდი,—და ვერ მომდიოდა კარგათა. ცოტას გამიწყდა, კინაღამ წავახდინე საქმე, ეს წიგნის ამბავი რომ არ მომეხერხებინა. ახა ვაითასს! თითქო ჩხუბობენო! ახლა რომ დაიჟინოს, არ გამოვალო! უფრო დაუგდოთ... უარს ამბობს, არ მინდა, არ გამოვალო! მაშ ტყუილათ ჩამიარა ამდენმა ჩემმა თავისტეხამ. (კიდევ უგდებს ყურს) აგერ მოდის; ჯერ ნუ დავენახვებით. (კაბინეტში შევა).

გამოსვლა მეოთხე.

გრაფი, როზინა, ბართოლო.

როზინა. (თითქო ძალიან გაჯავრებული) რაც უნდა თქვათ, სულ ამაოა, უფალო! საქმე გადაწყვეტილი მაქვს; ხსენებაც აღარ მინდა მუზიკისა.

ბართოლო. გაიგონე, შვილო ჯან; უფალი ალონზოა ესა, დონ-ბაზილიოს შაგირდი და მეგობარი; იმას გამოუგზავნია, რომ ესეც მოწმად დაგვესწრას. მუზიკა გულს დაგიმშვიდებს, მერწმუნე.

როზინა. ოჰ! შეგიძლიათ მაგას თავი დაანებოთ. ვიმღერო და ამაღამა! სად არის ერთი ეგ თქვენი ოსტატი რომ გეშინიათ, არ წავიდესო. მე მინდა ორი სიტყვით გავუსწორო ანგარიში მაგასაცა და ბაზილიოსაც (რომ იცნობს თავის მიჯნურს დაიძახებს) ოჰ!

ბართ. რა იყო, რა მოხდა?

როზ. (ორივე ხელით უჭირავს გული და ძალიან შეშფოთებულია) ოჰ! ღმერთო ძლიერო!

ბართოლ. კიდევ ცუდათ არის, უფალო ალონზო!

როზ ცუდათ კი არა... რომ მოვბრუნდი... ოჰ!...

გრაფი. იქნება ფეხი გადაგიბრუნდათ?

როზ. დიახ ფეხი გადამიბრუნდა და ახირებულათ მეტკინა.

გრაფი. მე მაშინვე შეგატყვეთ.

როზ. (თვალებში შეჰყურებს) გულს მეცა.

ბართ. სკამი, სკამი! აბა თუ ერთი სკამი იყოს აქა! (აქეთ-იქით ეძებს).

გრაფი. ოჰ! როზინა!

როზ. რა უგუნურებაა!

გრაფი. ათასი საქმე მაქვს თქვენთვის სათქმელი.

როზ. თავს როდი დაგვანებებს.

გრაფი. ფიგარო მოვა და მოგვეხმარება.

ბართ. (სკამი მოაქვს) აჰა, პაწაწავ, დაჯექი! არ ეტყობა, ბაკალავრო, რომ დღეს სწავლის გუნებაზედ იყოს. რა გაეწყობა, მერე იყოს. მშვიდობით.

როზ. (გრაფს) არა, მოიცადეთ! ცოტა დამიამდა ტკივილი. (ბართოლოს) ვჰგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ თქვენთანა, ბატონო! და თქვენვე მინდა მოგბაძოთ, რომ ბოდიში ახლავე...

ბართ. რა კარგია ქალის გული! მაგრამ რაც შენ უსიამოვნო-

ზა გამოიარე, მე სულ აღარ მინდა გაიძულო რამე. მშვიდობით, მშვიდობით, ბაკალავრო!

როზ. (გრაფს) ერთ წამს, ღვთის გულისათვის. (ბართოლოს) თქვენ ამას მაფიქრებინებთ, ბატონო, რომ ჩემი დავალება არ გიამებათ, თუ შენანებას იმითი არ დამამტკიცებინებთ, რომ დღევანდელი ჩემი მუზიკის გაკვეთი გავიკვეთო.

გრაფი. (ცალკე ბართოლოს) ნუღარ უშლით, მე დამიჯერეთ.

ბართ. მაშ გათავდა საქმე, ჩემო ტროფიალო! შენს წყენას იქამდინ ვერიდები, რომ ფეხსაც აღარ მოვიცვლი აქედამ, მანამ შენ სწავლაში იქნები.

როზ. არა, არა, ბატონო! მე კარგათ ვიცი, რომ თქვენ მუზიკა არ მოგწონთ.

ბართ. გარწმუნებ, რომ ამაღამ ძალიან მომეწონება.

როზ. (გრაფს ცალკე) სწორეთ შემაწუხა.

გრაფი. (ნოტის ქაღალდს იღებს ხელში) ეს ხომ არ არის თქვენი დასამღერებელი?

როზ. დიაღ, ერთი ნაკვეთია ძალიან სასიამოვნო თხზულებისა, რომელსაცა ჰქვია ამაო გაფთხილება.

ბართ. ისევ ის ამაო გაფთხილება!

გრაფი. ეს არის ახალი რაც არის. გაზაფხულზედ სიცოცხლის განახლებას წარმოადგენს. ერთი, თუ ინებებთ და სცდით...

როზ. (შეჰყურებს გრაფს) დიდის სიამოვნებით; გაზაფხულის სურათი ყოველთვის სასიხარულოა ბუნების გამო-ყმაწვილებაა. ზამთრის დამღევს გული თითქო უფრო და უფრო მგრძნობელობდესო. დიდი ხნის დამწყვდეული ტყვე რომ გამოუშვან საპყრობილედამ, მაშინ თავისუფლების სიამოვნებას, რასაკვირველია, უფრო ცხოვლად იგრძნობს.

ბართ. (დაბლა გრაფს) ყოველთვის სავსე აქვს თავი ყმაწვილური ფიქრებითა.

გრაფი. (დაბლა) ატყობთ, რაზედ მოჰყავს?

ბართ. რა თქმა უნდა. (იმ სკამზე ჯდება, რომელზედაც როზინა იჯდა.)

როზინა. (იმღერის)

ოდეს მინდორს
ტრფიობას მოჰყავს
ზაფხული, —
მიჯნურთა სანატრი, —
ყველა ჰხარობს, —
ყველა მისს ცეცხლს
გულში გრძნობს,
და ყვავილთა სუნში.
ჯოგი გადის
ბაკებიდამ;
ყოველს ბექზედ
ცხვართ ღრიალი
ჰხმოვანებს;
ლაჰხტიან;
ჰხარობენ,
ჰსტკბებიან;
ჰმრავლდებიან.
ბატკანი ჰსძოვს
ახალ ყვავილს;
ძაღლი კი თავს
დასტრიალებს.
მაგრამ ლენდორ
აღგზნებული
სხვას არ ჰფიქრობს,
თუ არ სატრფოს
სიყვარულსა.

იმავე ხმით.

დედისგან შორს
მღერით მიდის

მწყემს-ქალი.

კუდიანი
სატრფოს ასმენს
თავის ხმას.
მაგრამ რა;
სიმღერა
ჭშველის თუ?
სალამური,
ჩიტთ ჭიკჭიკი,
ახალი ხმა,
თხუთმეტ-თექვსმეტ
წელიწადი, —
ყველა ეს
აშფოთებს
საბრალოს; —
აწუხებს
და რა ქნას?
გზას ადგება
და ლენდორი
წინ შეჰხვდება.
იმის ხვევნა
იამება;
მაგრამ თითქო
ჯავრობსო,
რომ დამიყვავოსო.

მეორე მუხლი

ოხვრანი, —
ალთქმანი, —
ალერსი, —

თავს გლებს,
ტიტინი, —
სახმარ არიან.
მწყემს ქალიც
დამშვიდდა,
არ ჯავრობს.
და თუ რომ
ეჭვი რამ
გულს შეეპარათ, —
მაშინვე
ორნივე
დიდად ცდილობენ......
.....თავისი წუხილი
დაჭფარონ როგორმე.

—

ტრფიალებსა
მწუხარებსაც
უძლიერებს
ტრფიალებას.

(ბართოლოს ამ სიმღერის დროს ჩაეძინება. ამასობაში გრაფი იქამდინ გაკადნიერდება, რომ როზინას ხელს ჩამოართმევს და ზედ დაეკონება. ეს შეაშფოთებს როზინასა და ხმას გააგძელებინებს და კიდეც შუაზე გააწყვეტინებს იქ, სადაც ამბობს—დ ი დ ა დ ც დ ი ლ ო ბ ე ნ ო. ორკესტრი რომ მუზიკას ამ სიმღერას აყოლებს, ისიც უფრო და უფრო ნელ-ნელა უკრავს და სადაც სიმღერა გაწყდა, მუზიკაც იქ გაჩუმდება. ხმოვანება რომ ასე შეწყდება, რომელმაც ჩააძინა, ბართოლო მაშინვე გამოიღვიძებს. გრაფი წამოხტება, როზინა და ორკესტრი უცებ ხელახლა იწყებენ თავისს საქმესა. თუ ეს შეწყვეტა კიდევ მოჰხდა, ისევ ის თამაშობა უნდა).

გრაფი. სწორე უნდა სთქვას კაცმა, საუცხოო რამ არის და ძალიან კარგათაც იმღერით.

როზინა. მეფერებით, უფალო! ქება ოსტატს ეკუთვნის.

ბართოლ. (მთქნარებით) მე ცოტა წამძინა მგონია, მანამ ეს საუცხოო რამ გათავდებოდა. ავათ-მყოფები მყავან, მივდივარ, მოვდივარ, ვტრიალებ, და თუ ჩავჯექი, მუხლეში... (წამოდგება და სკამს ფეხსა ჰკრავს).

როზინა. (დაბლა გრაფს) ფიგარო არ მოდის.

გრაფი. დრო გავიყვანოთ როგორმე.

ბართოლ. გაიგონეთ ბაკალ·ვრო, ბერი-კაცი ბაზილიოსთვისაც მითქვამს, არ შეიძლება უფრო მხიარული რამ ხმები ასწავლოთ, ყველა ამ დიდი არიების მაგიერათ, რომელიც მაღლა აგყავთ, დაბლა ჩამოგყავთ, აქეთ-იქით ატრიალებთ, ჰი, ჰო, ჰა, ა, ა,—თითქო მარხავდნენ ვისმეო. აი ის პატარა ხმები, ჩემ ყმაწვილობაში რომ იმღეროდნენ ხოლმე, და ადვილად რომ დაახსომდებოდა ხოლმე კაცსა... მაგალითად... (თავს იქექს, ეგება მოვიგონოო და იმღერის თითების ტკაცუნითა და ბერიკაცულად მუხლების თამაშობითა):

გინდა, როზინეტა,
ითხოვო
მეფისგან ქმარი?...

(გრაფს სიცილით) სიმღერაში ფანშეტა არის და მე როზინეტა დავარქვი, რომ უფრო საამო გამოვიდეს და შემთხვევასაც უფრო მოუხდეს. აჰ, აჰ, აჰ, აჰ! ძალიან კარგია, განა?

გრაფი. (სიცილით) აჰ, აჰ, აჰ! დიაღ, ყველაზედ უკეთესია.

გამოსვლა მეხუთე.

ფიგარო შორს, როზინა, ბართოლო, გრაფი.

ბართოლო. (იმღერის)

გინდა, როზინეტა,
ითხოვო
მეფისგან ქმარი.
მე არა ვარ ტირცის,

მაგრამ ღამით, ჩრდილში,
ფასად კიდევ ვღირვარ;
და როცა ბნელა
ყველა კატა
ყომრალია.

(განმეორებით ამბობს და თამაშობას აყოლებს. ფიგარო თან დასდევს და აჯავრებს.)

მე არა ვარ ტფირცის.

(ამ დროს დაინახავს ფიგაროს) ოჰ! შემობძანდი, უფალო დალაქო; წინ წამოდექით; ძალიან საუცხოო ბძანდებით!

ფიგარო. (თავს უკრავს) უფალო, მართალია, ეგ ერთ ხელ დედაჩემმაც მითხრა; მაგრამ მას აქეთ ცოტა არ არის მოვიშალე. (ცალკე, გრაფს) ბრავო, ბატონო!

(ამასობაში გრაფი ცდილობს როზინას გამოელაპარაკოს; მაგრამ აპეკუნი თვალს აღარ აცილებს და ეს წარმოადგენს ყველა აქტორების მუნჯურ თამაშობას).

ბართ. კიდევ იმისთვის მობძანდებით, რომ ზოგს სისხლი გაართვათ, ზოგს წამალი ასვათ და მთელი კერძოშა დააწვინოთ?

ფიგარო. უფალო! ყოველ დღე ხომ უქმე არ არი; მაგრამ, რასაც ყოველ დღე ვცდილობ, ის რომ არ ვახსენოთ, თქვენი ბედნიერის თვალითა გაქვთ ნახული, რომ როდესაც საჭირო ვარ ვისთვისმე, ჩემი ერთგულება ბძანებას არა დროს არ უცდის ხოლმე...

ბართოლ. თქვენი ერთგულება არ უცდის ხოლმე! რას უბძანებთ, უფალო ერთგულო, იმ უბედურსა, მღვიძარეს რომ ან სულ სძინავს, ან სულ ამთქნარებს. მეორეს, რომელსაც — აგერ სამი საათი მეტია ისე ცხვირს აცემინებს, რომ ლამის თავის ქალა ასძვრეს და ტვინი გადმოედინოს. აბა, იმათ რას უბძანებთ?

ფიგარო. იმათ რას ვეტყვი?

ბართოლ. ჰო!

ႴႨႢႠႰႭ. იმათ ვეტყვი... ნეტა რა ვქნა! ვისაც ცხვირს აცემინებს, იმას ვეტყვი: ღვთის წყალობა და ხეირი მეთქი. ვისაც ამთქნარებს — წადი დაწექი მეთქი. ანგარიშს ამით კი არა მოემატება რა.

ႡႠႰႧ. ღიად არა; მაგრამ სისხლის გაშვებით და წამლებით ხომ მოემატება, მე თუ ვათხოვე ყური. ისიც ერთგულებით იყო, რომ ჩემ ჯორს თვალებზე მალამო დააკარი? აუხელს მერე თვალებსა ეგ თქვენი მალამო?

ႴႨႢႠႰ. თუ ვერ აუხილა, დაბრმავების მიზეზი ხომ მაინც არ იქნება!

ႡႠႰႧႭႪ. აბა, ერთი ანგარიშში ჩაგდებული ვნახო ეგა!... არა მგონია აგრეთი თავხედიც იპოვებოდეს...

ႴႨႢႠႰႭ. ეჰ, უფალო! ვისაც მეტი ღონე არა აქვს, რომ ან სისულელეს დაადგეს, ან უგუნურებასა, სადაც გამოსარჩენს ვერას გამორჩება, მხიარულებას მაინც რაღათ უღალატოს. — მხიარულებას გაუმარჯოს! — ვინ იცის, სამიოდ კვირას კიდევ გასძლებს ქვეყანა, თუ ამასაც ვეღარა!

ႡႠႰႧႭႪႭ. ბევრით უკეთესს იქმოდით, უფალო კეთილმზრახველო, რომ ჩემს ას ოქროს გადმიხდიდეთ, თავის სარგებლით, დაუგვიანებლათ; — გამითვთხილებიხართ, იცოდეთ.

ႴႨႢႠႰႭ. ჩემი პატიოსნების ეჭვი გაქვთ თუ? თქვენი ასი ოქრო! ის არ მირჩევნია, სიკვდილამდინ მემართოს, და უარი კი ერთს წამსაც არა ვთქვა!

ႡႠႦႨႪႨႭ. ჰა, ერთი ეს მითხარით, პატარა თქვენმა გოგომ კანფეტები მოიწონა, თქვენ რომ მიუტანეთ, თუ არა?

ႴႨႢႠႰႭ. რა კანფეტები? რა გინდათ სთქვათ მაგითი?

ႡႠႰႧႭႪႭ. აი ის კანფეტები, დღეს დილას საწერ ქაღალდში რო გაგიხვიეს.

ႴႨႢႠႰႭ. ღმერთმა მკითხოს, თუ...

როზინა. (სიტყვას აშვებინებს.) ეს ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩემმაგიერად უნდა მიგეტანათ, უფალო ფიგარო? დილას არა გთხოვეთ?

ფიგარო. ჰო, ჰო! დღევანდელი კანფეტები! როგორ არა. ნეტა ასე რამ გამომაშტერა! მართლა კინაღამ სულ არ დამავიწყდა! როგორ არა, ქალ-ბატონო! საგანგებო იყო, საგანგებო.

ბართოლო. საგანგებო, საგანგებო! დიაღ, უეჭველია, უფალო დალაქო! ძალიან კარგი ხელობა დაგიჭერიათ, უფალო, ძალიან კარგი!

ფიგარო. მაინც?

ბართოლო. ისეთი ხელობა, რომ სასიქადულო სახელი შეგძინოსთ, უფალო!

ფიგარო. ვეცდები ღირსი გავხდე.

ბართოლო. ღირსი გახდეთ კი არა, აიტანოთ.

ფიგარო. როგორც თქვენი ნება იყოს, უფალო!

ბართოლო. თავი მაღლა მოგაქვთ, უფალო! მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ მე თუ სულელ-პრანჭიას ვებაასები ვისმე, არას დროს არ ვუთმობ!

ფიგარო. (ზურგს შეაქცევს) ამაში ერთმანეთს ვერა ვგვანებივართ; მე ყოველთვის ვუთმობ ხოლმე.

ბართოლო. ჰა? რაო, ბაკალავრო, რა თქვა?

ფიგარო. ისა, რომა თქვენა გგონიათ, სოფლელ დალაქს ელაპარაკებოდეთ ვისმე, სხვა არაფრის ხმარება რომ არ იცის, თუ არ სამართებლისა?? ეს იცოდეთ უფალო, მე კალამიც მიხმარია მადრიდში, და შურის მძიებლები რომ არ...

ბართოლო. მაშ რატომ იქ არ დარჩით, რომ ხელობის გამოსაცვლელად აქ არ მოსულიყავით?

ფიგარო. ვისაც რა შეუძლია, იმას ადგება. თქვენა ყოფილიყავით ჩემ ადგილას!

ბართოლ. დიაღ არა, თქვენმა მზემ. აი თუ სისულელეებს ვიტყოდი მაშინა!

ფიგარო. ცუდათ არ იწყებთ, უფალო, საქმესა, აი! მე, აი ამ თქვენ მოძმესა ვჰგევარ, იქ რომა ჰზოდავს.

გრაფი. (გონებაზედ მოდის.) მე... მე არა ვარ მოძმე...

ფიგარო. არა! რჩევაში რო გნახეთ აქა, მეგონა, ორნივ ერთ საქმეს ადექით.

ბართოლო. (გაჯავრებით) ახლაო იტყვით ახლა, რისთვისა ხართ მოსული? წიგნი გაქვთ რამე კიდევ ქალ-ბატონის მისართმევი? თქვით დაჰ! თუ მე გავიდე!

ფიგარო. რა მგუხეთ ეკიდებით საწყალ ხალხსა! რისთვისა ვარ მოსული და თქვენი წვერისთვისა, უნდა მოგპარსოთ. სხვა რა საქმე უნდა მქონდეს. დღეს არ არი თქვენი რიგი?

ბართოლ. მეორეთ უნდა მოხვიდეთ.

ფიგარო. ო, დიაღ, მეორეთ! ხვალ დილაზე მთელი ქალაქის ჯარი წამალსა სვამს. ჩემმა მფარველებმა საქმე მე გამირიგეს და ახლა თქვენ იფიქრეთ, მოცალება რამდენი მექნება. შინ შებძანდებით?

ბართოლ. არა, არ შევბძანდებით. არა... ვინ გვიშლის მერე რომ აქ მოვიპარსო?

როზინა. (გაჯავრებით.) ძალიან ზდილობა იქნება! რატომ ჩემს ოთახში არ შებძანდებით?

ბართოლ. ჯავრობ? ნუ, შვილოჯან! შენ შენს გაკვეთილს ათავებ და მანამდინ შენი ხმა მესმის, არ მინდა ამ სიამოვნებას მოვაკლდე.

ფიგარო. (დაბლა გრაფს) აქედამ რაღა გაიყვანს! (მაღლა) აბა, ჰე! ფხიზელა! ჭაბუა! ტაშტი, წყალი, ყველა, რაც საჭიროა!

ბართოლ. რასაკვირველია, დაუძახეთ! დაღალულები, დაქანცულები, მერე თქვენგანაც დამსხვრეულები, არ დაწვებოდნენ, მაშ რას იქმოდნენ!

ფიგარო. კარგი, მაშ მე წავალ და მოვძებნი ყველაფერსა. თქვენს ოთახშია ხომ? (დაბლა გრაფს) მინდა გარეთ გავიტყუო.

ბართოლო. (წელზედ შეიხსნის ასხმა გასაღებებს, შეფიქრდება და იტყვის) არა, არა, მე თვითან წავალ. (დაბლა გრაფს) ჯმათზე ყური გეჭიროთ, გეჯედრებით.

გამოსვლა მეექვსე.

ფიგარო, გრაფი, როზინა.

ფიგარო. კინაღამ მახეში არ გაგაბით, ეკ! თავის გასაღებებს მე მაძლევდა და ფანჯრის გასაღებიც ხომ იქ არის?

როზინა. ის ყველაზე უფრო ახალია.

გამოსვლა მეშვიდე.

ბართოლო, ფიგარო, გრაფი, როზინა.

ბართოლო. (მობრუნებული ცალკე.) შეც რასა ვშვრები, ერთი კაცმა მკითხოს, რომ ამ წყეულ დალაქს აქ ვუშვებ. (ფიგაროს) დამიჭირეთ. (გასაღებებს აძლევს) ჩემ კაბინეტში, სტოლ ქვეშ; მაგრამ ხელი არას ახლოთ.

ფიგარო. (მიმავალი, ცალკე) ჭხედავთ, ტრფიალებს ღმერთი როგორ ეწევა!

გამოსვლა მერვე.

ბართოლო, გრაფი, როზინა.

ბართოლ. (დაბლა გრაფს.) ეს იყო, გრწამს რომ წიგნი მოუტანა.

გრაფი. (დაბლა) ეტყობა, გაქნილი რომ უნდა იყოს.

ბართოლ. მე კი ვეღარ მომატყუებს.

გრაფი. იმაზე მეტს რაღასა იქს.

ბართოლ. ეს რომ ყველა წარმოვიდგინე, ვთქვი, უმჯობესი იქნება ჩემს ოთახში შევეგზავნო, მანამ ქალთან გაუშვა მეთქი.

გრაფი. სიტყვას როგორ ატყუოდა, რომ მესამეს მე არ გამეგონა.

(აქ შიგნიდამ ხმა მოისმის, თითქო დაიმსხვრა რაღაცაო).

ბართოლ. (ყვირილით) ეს რა მესმის! ყველა კიბეზე გადაჩეხა უთუოთ ამ წყეულმა დალაქმა. (გავარდება).

გამოსვლა მეცხრე.

გრაფი, როზინა.

გრაფი. გამოვიყენოთ ეს ერთი წამი, ფიგაროს მოხერხებამ რომ მოგვანიჭა. შემთხვევა მომეცით, ღვთის გულისათვის, რომ მოვილაპარაკო თქვენთან, თუ როგორ შეიმუსროს საპყრობილე, სადაც თქვენ ახლა ტყვედ იმყოფებით.

როზინა. ოჰ, ლინდორ!

გრაფი. შემიძლია, თქვენს ფანჯარამდინ ამოვიდე; და დღეს დილას რომ თქვენი წიგნი მომივიდა, ის კი იძულებული ვიყავი...

გამოსვლა მეათე.

როზინა, ბართოლო, ფიგარო, გრაფი.

ბართოლო. შემცთარი არა ვყოფილვარ; ყველა დამტვრეულა და ყველა დამსხვრეულა.

ფიგარო. აი დიდი უბედურება მოკლე გზისათვის. ამ კიბეზე თვალში რომ ჩხირი ატკო, კაცი ვერას გაიგებს. (გრაფს ფანჯრის გასაღებს აჩვენებს) მე რომ ამოვდიოდი, გასაღები გამოვკლე!

ბართოლო. უნდა იცოდნენ, რასაც შვრებიან; გასაღები გამოკდეთ? დახელოვნებული კაცი ყოფილხართ.

ფიგარო. რა ქნათ, უფალო! სხვა უფრო გამოცდილი მოძებნეთ.

გამოსვლა მეთერთმეტე.

ისინივე და დონ-ბაზილიო.

როზინა. (შეშინებული, ცალკე) დონ-ბაზილიო!...

ბრაში. (ცალკე) ახა კაი ფასსა!...

ფიგ. (ცალკე) დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა!

ბართოლო. (მიეგებება) ოჰ, ბაზილიო, ჩემო მეგობარო, მშვიდობა თქვენს მოსვლასა! თქვენს შემთხვევას ღვთით მავნენი არა შესდგომია რა? სწორე უნდა გითხრათ, რომ უფალმა ალონზომ ცოტა არ არის შემაშინა თქვენს მდგომარეობაზედ; ვკითხეთ იმასა, მაშინვე დავაპირეთ თქვენთან წამოსვლა, იმას რომ არ შეეყენებინე...

ბაზილიო. (გაოცებული) უფალი ალონზო?...

ფიგ. (ფეხს დააბრაკუნებს) რა ღვთის რისხვაა! კიდევ რაღაც ხრიკი! ორ საათს უნდებოდეს კაცი ერთს რაღაცა წვერსა, — ძაღლის ხელობაა!

ბაზილიო. (ყველას უყურებს) კეთილ - ინებეთ ერთი, ბატონებო, მომახსენეთ...

ფიგ. ამას მაშინ ელაპარაკეთ, როცა მე წავალ.

ბაზ. მაინც რა უნდა რომ...

ბრაში. ის უნდა რომ თქვენ გაჩუმდეთ. გგონიათ ისეთი რამ უამბოთ უფალსა, რომ ჯერ არ იცოდეს? მე ყველა უამბე, რაც დამაბარეთ, თქვენ მაგიერად რომ მოგზავნილით მუზიკის მასწავლებლათ.

ბაზ. (უფრო გაოცებული) მუზიკის მასწავლებლათ... ალონზო!...

როზინა. (ჩუმათ, ბაზილიოს) გაჩუმდით, ვაჰ!

ბაზ. ესეცა!

გრაფი. (ჩუმათ ბართოლოს) ჩუმათ უთხარით რაღა, რომ უვე-ლჯ მოლაპარაკებული გვაქვს.

ბართოლ. (ბაზილს, ცალკე) არა თქვათ, ბაზილიო, ჩემი შე-გირდი არ არის თქო, თორემ საქმეს წავგიხდენთ.

ბაზ. ჰო, ჰო!

ბართოლ. (ხმა-მაღლა) სწორე უნდა სთქვას კაცმა, ბაზილიო, რომ ძალიან ნიჭიერი ყოფილა ეს თქვენი მოწაფე!

ბაზ. (გამოშტერებული) ჩემი მოწაფე... მე იმისთვის მოვედი შეგატყობინოთ, რომ გრაფს ბინა უცვლია.

ბართოლ. (ჩუმათ) ვიცი, ვიცი, გაჩუმდი ერთი.

ბაზ. (ჩუმათ) ვინ გითხრათ?

ბართოლ. (ჩუმათ) იმანა, სხვა ვინ მეტყოდა!

გრაფი. (ჩუმათ ბაზილიოს) მე, რა ეჭვი უნდა: გამიგონეთ...

როზინა. (ჩუმათ ბაზილიოს) ჰმ, სულ გამოყრუებულა.

ბაზ. ვის ეშმაკს ატყუებენ აქა, ნეტავი; ყველანი გათქმულნი არიან.

ბართოლ. მერე, ბაზილიო, რაო თქვენმა კანონის მცოდ-ნემა?...

ფიგ. მთელი საღამო თქვენი არ არი? რომ მაგ კანონის მცოდ-ნეზედ ილაპარაკოთ?

ბართოლ. (ბაზილიოს) ერთად-ერთი სიტყვა: კმაყოფილი ხართ იმისი თუ არა?

ბაზ. (გზა და კვალ დაბნეული) კანონის მცოდნესი?

გრაფი (ღიმილით) მაშ ვერა ნახეთ, კანონის მცოდნე?

ბაზ ვერა, ვერა ვნახე, კანონის მცოდნე.

გრაფი (ბართოლოს ცალკე) როგორ გინდათ, რომ აქ ილაპა-რაკოს, თქვენს ქალთან? დაათხოვეთ ახლა.

ბართოლ. (ჩუმათ გრაფს.) მართალს ამბობთ (ბაზილიოს) მე-რე რა გემიზეზებოდათ, რომ ა[illegible] [illegible] ჩამხდარიყავით ავათა?

ბაზ. (გაჯავრებული) მე თქვენი სულ არა გამეგება რა.

ბრაში. (ცალკე ერთს სავსე ქისას აძლევს ხელში) დიაღ: ყვა-ლი გკითხავთ თქვენა, ვითამ აქ რაღათ მოდიოდით, რადგან ავათა ყოფილხართო?

ფიგ. ერთი უყურეთ, მკვდრის ფერი არა სცხვს!

ბაზ. ჰო, მესმის...

ბრაში. წადით დაწექით, დაწექით, ჩემო საყვარელო ბაზილიო: კარგათ ვერა ხართ და აქ ყველას შიშით გვხოცთ. წადით, დაწე-ქით.

ფიგ. პირის-სახე სულ მოშლილი აქვს. წადით დაწექით,

ბართოლ. რა თქმა უნდა, ციებას შორიდამა ჰგრძნობს. წადით დაწექით.

როზ. მაშ რაღათ გამოხვედით? ხომ უფრო გაგიძნელდებათ. წადით დაწექით.

ბაზილ. (დიდის გაკვირვებით) მე წავიდე დავწვე?

სხვა ყველანი. (ერთად) დიაღ, რასაკვირველია!

ბაზილიო. (ყველას შეჰყურებს) მართლა, რომ ცუდი არ იქნე-ბა აქედამ მოვშორდეთ, კარგათა ვგრძნობ, რომ მე ჩემს ქერქში ვერა ვარ.

ბართ. ხვალამდინ, თუ უკეთ შეიქნებით.

ბრაში, ბაზილიო, მე ძალიან ადრე გამოგივლით.

ფიგარო. მე დამიჯერეთ, კარგა დაიხურეთ, და თბილად იწე-ქით.

როზინა. ღამე მშვიდობისა, უფალო ბაზილიო!

ბაზილიო. (ცალკე) ეშმაკმა წაიღოს, თუ მე აქ მესმოდეს რამე. ეს ქისა რომ არა...

ყველანი. ღამე მშვიდობისა, ბაზილიო, ღამე მშვიდობისა...

ბაზილ. (მიმავალი) მაშ ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა. (სიცილით აცილებენ ყველანი).

გამოსვლა მეთორმეტე.

ყველანი ბაზილიოს გარდა

ბართ. (გადაწყვეტილობით) ეს კაცი სრულებით ვერ არის კარგათ.

როზინა, თვალები როგორღაც დასნეული აქვს.

გრაფი. ქარმა კი არ დაჰკრას.

ფიგარო. დაინახეთ, მარტო რომ ლაპარაკობდა? ჩვენ რომ გართ, გართ. (ბართოლოს) აბა, ახლა მაინც გაბედეთ. (სკამს უდგამს გრაფიდამ ძალიან შორსა და სადალაქო გადასაფარებელს მიართმევს.)

გრაფი. მანამდინ გავათავებდეთ, ქალბატონო, ერთი სიტყვა უნდა გითხრათ, არსებითად საჭირო იმ ხელოვნებისათვის, რომელსაც მე ახლა გასწავლით. (დაუახლოვდება და უჩურჩულებს).

ბართ. (ფიგაროს) თქვენ როგორღაც განგებ შვრებით, მე მგონია, აგრე ახლო რომ მოხვალთ და წინ მიდგებით, გითამ და ველარა დავინახო რა...

გრაფი. (ჩუმათ როზინას) ფანჯრის გასაღები მე მაქვს და მუსადამისას მოვალთ აქა.

ფიგარო. (ჩარსავს ახვევს ყელზე ბართოლოს) რა არი სანახავი, რაჭ? ტანცაობა ხომ არ არი რო საყურებელი იყოს; მუზიკა რა!... აჰი, აჰი!

ბართ. რა იყო, რა დაგემართა?

ფიგარო. თვალში ჩამივარდა რაღაცა. (თავი ზედ ბართოლოს თვალებთან მიაქვს.)

ბართ. ნუ ისრესთ; ნუ!

ფიგ. მარცხენა თვალია! აბა ერთი სული შემიბერეთ, კარგა-მაგრათა.

ბართ. (ფიგაროს თავს ხელებს მოჰხვევს, ზევიდამ გადიხედავს, უცებ წამოხტება და ფრფიალით უკან მოექცევა, გნახოთ ერთი რას ლაპარაკობენ).

გრაფი. (ჩუმათ როზინას) და რაც თქვენს წიგნს შეეხება, დღესვე

გაჭირებაში ვიყავ, რომ ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, თუ...

ფიგ. (შორიდამ უხველებს გავაფთხილოთ).

გრაფი. ამ ტანისამოსის გამოცვლამ კიდევ არ ჩამიაროს ტყუილათ მეთქი...

ბართოლ. (იმათ შუა ამოჰყოფს თავსა) ტანისამოსის გამოცვლამა?...

როზინა. (შეშინებული) ჰა!

ბართოლო. ძალიან კარგი, ქალბატონო! რათა სწუხდებით! ჩემ თვალ წინ მიბედვენ ამისთანა შეურაცხებასა?

გრაფი. რა დაგმართვიათ, უფალო?

ბართ. აი შე გაქნილო ალონძო!

გრაფი. უფალო ბართოლო, მაგ ზნის გამოჩენა, რაც მე ახლა შემთხვევითა ვნახე, — თუ ხშირათ გემართებათ, სრულებით აღარ მიკვირს, რომ უმაწვილი ქალს ასე შორს უჭირავს თქვენი შერთვა.

როზინა. შერთვა! მე? ჩემი დღენი ეჭვიან ბერიკაცთან გავატარო, სხვა ბედნიერებას რომ არას მექადის, თუ არ საზიზღარ ტყვეობასა?!

ბართ. ეს რა მესმის?

როზინა. დიახ, ხმა მაღლა ვამბობ: ჩემს გულსაც იმას ვუძღვნი და ხელსაც იმას მივაწოდებ, ვინც ამ საზარელი საპყრობილედამ გამომიხსნის, სადაც მეცა და ჩემი საცხოვრებელიც ყოვლის სიმართლის წინააღმდეგათ არის დაწყვდეული. (გავა).

გამოსვლა მეცამეტე

ბართოლო, ფიგარო, გრაფი.

ბართ. ჯვარი მახრჩობს.

გრაფი. მართლად რომ დიდად ძნელია, უფალო, უმაწვილი ქალისათვის...

ფიგ. დიალ, სწორეთ ეშმაწვილი ქალი და დიდი ხნიერება არის, რომ ტვინს უბნელებს ზოგიერთ ბერიკაცსა.

ბართ. როგორა? საქმეზედ რომ მოვასწარ! წყეულო დალაქო! ავბედო ერთი...

ფიგ. მე მივალ, სულ გადირია.

გრაფ. მეც. სწორეთ გადირია.

ფიგ. გადირია, გადირია. (გავლენ.)

გამოსვლა მეთოთხმეტე

ბართოლო (უკან მისდევს) მე გადვირიე! თქვე უსირცხვილოებო, გარყვნილებო, ეშმაკთ მოციქულებო, თქვენა, ეშმაკების მწირველებო თქვენა! იმათამც წაუღია თქვენი თავი! მე გადვირიე!... ჩემი თვალითა ვნახე, როგორც ჯამ სტოლსა ვხედავ და მქვე დამდგომიან უოვლად ნამუს გაწყვეტილებმა... აა! ბაზილიოს მეტი ვინ ამიხსნის მე ამასა! დიაღ! დავიბაროთ! ეჰეი! ვინა ხარ მანდა!... მავიწყდება, რომ აღარავინ არის. აბა მეზობელი ერთი გამვლელი ვინმე, ვინც იყოს! მართლა რომ შეიძლება ჭკუიდამ შეიშალოს კაცი, ჭკუიდამ!

(ანტრაქტში თეატრი დაბნელდება; დიდი ავდრის ზუზუნი ისმის და მუზიკა უკრავს, რაც ოპერაში არის აქ დასაკვრელი.)

მოქმედება მეოთხე.

სცენაზედ ბნელა.

გამოსვლა პირველი

ბართოლო, დონ-ბაზილიო. (ხელში ქაღალდის ფარანი უჭირავს.)

ბართოლო. როგორ თუ ვერ იცნობთ იმასა, ბაზილიო? გჯერათ მერე რასაც ამბობთ?

დ. ბაზილიო. ათასჯერ რომ მკითხოთ, მაინც იმასვე ვიტყვი: თუ მართლა როზინას წიგნი მოგიტანათ, უეჭველია გრაფის გამოგზავნილი ყოფილა ვინმე. მაგრამ რაც მე იმან მაჩუქა, უნდა ვიფიქრო, რომ თვითონ გრაფი იყო.

ბართოლ. რითი ეტყობოდა? მაგრამ, მართლა, ეგ საჩუქარი მომაგონდა. რათ მიიღე?

ბაზილ. თქვენ ყველას გეტყობოდათ, თითქო თანხმად იყავით; მე სრულიად არა მესმოდა რა; და ასე გაჭირებულ ყოფაში, როდესაც არ იცი, აქეთ იფიცრო, თუ იქით, — ერთი გატენილი ქისა მე ყოველთვის ისეთ საბუთად მიმაჩნია, რომ იმისი წინააღმდეგი აღარა ითქმოდეს რა. ამას გარდა, ანდაზათაც არის ნათქვამი: რაც ასაღებად ვარგაო...

ბართოლ. მესმის, ვარგაო.

ბაზილ. შესანახათაც ვარგაო.

ბართოლ. (გაჰკვირებს) ოჰ, ოჰ!

ბაზილ. დიაღ, მე ბევრი ამისთანა ანდაზა მაქვს დაწერილი; მაგრამ ისევ საქმე ვილაპარაკოთ. რას აპირებთ ახლა?

ბართ. თქვენ რომ ჩემი ყოფილიყავით, ვითამ ყოველ ღონეს არ მოიხმარებდით, რომ ქალი გეშოვნათ?

ბაზილიო. დიდი არა, დოკტორო! ყველაზედ უმცირესი ადგილი შოვნას უჭირავს. შოვნა კი არა, სარგებლობაა ნაშოვნისა, რაც კაცს ბედნიერათა ჰხდის. ჩემის ფიქრით თუნდ ქალი შეგირთავს, რომელსაც არ უყვარხარ, თუნდ თავი ჯალათისთვის გაგიშვერია...

ბართოლ. თავ გადასავალის ფიქრით, რაღა?

ბაზილ. ეჰ, ეჰ: უფალო!... მართალია ცოტა ნახულა ამ წელს; გულს აღარ შეგიწუხებთ.

ბართოლ. ნურას უკაცრავად, ბაზილიო, დეე იმან იტიროს, რომ მე ვეყოლები, მანამ მე ვიტირო, რომ ის არ მეყოლება.

ბაზილ. მაშ სიცოცხლეზე ყოფილა საქმე მივარდნილი? შეირთეთ, დოკტორო შეირთეთ.

ბართოლ. მაინც აგრე ვიქ, და ამაღამვე.

ბაზილ. მაშ მშვიდობით. გახსოვდეთ, როდესაც იმათზე ქალს ლაპარაკს დაუწყებთ, ყველანი ისე შავათ გამოიყვანოთ, რომ ჯოჯოხეთის ფერი ედვათ.

ბართოლ. მართალს ამბობთ.

ბაზილ. ცილის წამება, დოკტორო, ცილის წამება! იმისთანა რა იქნება! ყოველთვის იმას უნდა მივმართავდეთ.

ბართოლ. აი ეს როზინას წიგნი, ამ ალონზომ რო მომიტანა და უნებურად დამანახვა, თუ როგორ უნდა გამოვიყენო ქალთანა.

ბაზილ. მშვიდობით. ოთხ საათზე მოვალთ აქ ყველანი.

ბართ. უფრო ადრე რატომ არა?

ბაზილ. შეუძლებელია; ნოტარიუსს არა სცალია.

ბართ. სხვაგან არის სადმე ქორწილი?

ბაზილ. დიაღ, ფიგაროსას; დის წულს ათხოვებს, თუ ძმის წულს, არ ვიცი.

ბართ. იმას რომ არც დისწული ჰყავს და არც ძმის წული!

ბაზილ. ნოტარიუსს აგრე უთხრეს და მე რა ვიცი.

ბართ. ის ეშმაკი უთუოთ კიდევა სწამხავს რასმე: დასწყევლოს ღმერთმა.

ბაზილ. როგორა! თქვენა ჰფიქრობთ რომ?...

ბართ. იმისთანა კაცი რის მომქმედი არ არის. უნდა გამოვიტყდე ჩემო მეგობარო, რომ როგორღაც მეშინია. მიდით კიდევ ნოტარიუსთან და ეცადეთ ახლავე წამოიყვანოთ.

ბაზილ. ისეთი ავდარია, რომ ძაღლი არ გაიშვება გარეთა; მაგრამ თქვენი გულისთვის მე ვერა შემაყენებს რა.— თქვენ რაღასა შვრებით?

ბართ. მინდა გამოვაცილო. ჩემი კერძობა ყველა ამ ფიგაროს არ დაამახინჯებინეს? სულ მარტო ვარ ახლა.

ბაზ. მე ჩემი ფანარი მაქვს.

ბართოლ. აჰა, ეს გარეთი კარის მეორე გასაღები წაიღეთ თანა! გიცდით, იცოდეთ; ვინც უნდა მოვიდეს, თქვენსა და ნოტარიუსს გარდა, ხორციელი ვერავინ შემოვა ამაღამ.

ბაზ. მაგ თავ-და-რიგით რიღასი ფიქრი უნდა გქონდეთ!

გამოსვლა მეორე.

როზინა, (მარტო, თავის ოთახიდამ გამოვა.) თითქო ლაპარაკი მესმოდა აქ ვიღასიცა. შუაღამისა დარეკეს და ლინდორ ჯერაც არსად არის. ეს საშინელი ამინდი საქმეს უფრო გაუადვილებდა მეთქი, მეგონა; ვინ შეუხვდებოდა წინა!! ოჰ! ლინდორ! თუ მომატყუეთ?... ეს რა ხმა მესმის?... ღმერთო! ჩემი აპეკუნი! შევიდეთ.

გამოსვლა მესამე

როზინა, ბართოლო.

ბართ. (სანთელი უჭირავს) როზინა? ჯერ რადგან თქვენს ოთახ-ში არ შესულხართ...

როზინა. ეს არის ეხლა მივალ.

ბართ. ამ საშინელი ამინდის მიზეზით ვერ მოისვენებთ და მე ძალიან საჭირო საქმე მაქვს თქვენთვის სათქმელი.

როზინა. რა გნებავთ ჩემგან, უფალო! რაც დღისით ტანჯვა გამოვიარე, იმას აღარ მაკმარებთ?

ბართ. როზინა! ყური დამიგდეთ.

როზინა. ხვალ დაგიგდებთ ყურსა.

ბართოლ. ერთ წამს, ღვთის გულისათვის.

როზინა. (ცალკე) რო მოვიდეს?

ბართოლ. (იმას წიგნს აჩვენებს) ამ წიგნს იცნობთ თუ ვერა?

როზინა. (რომ იცნო) ღმერთო დიდებულო!...

ბართ. ჩემი განზრახვა ის კი არ არის, როზინა, რომ გისა-ყვედუროთ; — თქვენის ხნის ქალი ადვილად მოტყუვდება. არა, მე მე-გობარი ვარ თქვენი და მე გამიგონეთ!

როზინა. აღარ შემიძლია.

ბართ. ეს წიგნი რომ გრაფ-ალმავივას მისწერეთ...

როზ. გრაფ ალმავივასა?

ბართოლ. აი როგორი საშინელი კაცია გრაფი! მიიღია თუ არა, მაშინვე სატრაბახოთ გაუხდია. ერთი ქალისაგან ვიშოვე, რომ-ლისათვისაც იმას თვითონ გადაეცა.

როზ. გრაფ ალმავივას!...

ბართოლ. ამ უშვერი საქმის დაჯერება გიჭირსთ განა? გა-მოუცდელობა არის, როზინა, მიზეზი, რომ თქვენი სქესი ადვილად ენ-დობა ადამიანსა და ადვილად უჯერებს; — მაგრამ უნდა შეიტყოთ, რა

მახეს გიგებდნენ. იმ ქალმა ყველაფერი წამომიშალა, იმ ანგარიშით რასაკვირველია, რომ თქვენისთანა საშინელი რაიმე თავიდამ მოშოროს როგორმე. მე თვითან მათრთოლებს ეს ამბავი. საზარელი შეთქმა ალმავივასი, ფიგაროსი და ამ ალონძოსი, ბაზილის შაგირდობას რომ ამბობდა და სხვის სახელს იჩემებდა, თვითან კი ალმავივას შემოჩენილი თურმე იყო, — ამათი შეთქმულობა იმაზე ყოფილა, რომ თქვენ ისეთს ჯურღმულში უნდა ჩაეთრიეთ, საიდამაც ამოსვლა შეუძლებელიღა იქნებოდა.

როზ. ოჰ, რა ბინძურობაა!... როგორ... ლინდორი!... როგორ? ის ყმაწვილი?...

ბართოლ. (ცალკე) ჰო! ეს ლინდორი ყოფილა!

როზ. გრაფ ალმავივასათვის?... სხვისთვის?...

ბართოლ. ეს მიამბეს, თქვენი წიგნი რომ მომცეს.

როზ. (ცეცხლ-მოკიდებული) ოჰ! რა უშვერი, რა საზიზღარი საქციელია? უნდა დაისაჯოს!...უგვალო! თქვენ გინდოდათ მე შეგერთეთ?

ბართოლ. კარგათ იცი რომ გულითა მსურდა.

როზ. თუ ცოტა რამ კიდევა გაქვთ სურვილი, თქვენი ვარ;

ბართოლ. მაშ კარგი და ნოტარიუსიც ამაღამვე მოვა.

როზ. ეს კიდევ არაფერი! ღმერთო! იქამდინა ვარ დამდაბლებული!?... იცოდეთ, რომ ამ მოკლე ხანში ის მაცთური ამ ფანჯარაში ამოსვლასა ჰზბედავს, — ისე მოახერხეს, რომ გასაღებიც იშოვეს თქვენგანა.

ბართოლ. (თავის გასაღებებსა ჰშინჯავს) ოჰ! წყეულნი და შეჩვენებულნი! შვილო, მე შენ აღარ მოგცილდები.

როზ. (შეშინებული) ოჰ, ბატონო! იარაღით რომ მოვიდნენ?

ბართოლ. მართალს ამბობ, იფიქრე როგორღა გადავასხლე-ვინებ. მარსელინას ოთახში ადი და ორჯელ იშეკეტე კარი. მე წავალ, ჯარს მოვნახავ, და სახლთან დავაყენებ, რომ ხელი სტაცონ,

როგორც ქურდებსა. იმათაც მაგიერი გადახდებათ მაშინა და ჩვენც გა-დავრჩებით. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემი სიყვარული აგაცილებს განსაც-დელსა...

როზ. (სასო-წარკვეთილებით) ოღონდ ჩემი შეცთომა დაივიწ-ყეთ! (ცალკე) ოჰ! როგორა მხდება!

ბართოლ. (მიმავალი) ახლა ჩაუსაფრდეთ. ძლივს არ ვიგდე ხელში! (გავა.)

გამოსვლა მეოთხე.

როზინა მარტო.

ამისი სიყვარული ამაცილებს განსაცდელსა!... უბედურო ჩემო თავო! (ცხვირსახოცს ამოიღებს და თავისუფლად იწყებს ტირილს) რა ვქნა?.. ხომ მოვა ეხლა! მინდა დავრჩე, და ვეთვალთმაქცო იმასთან, რომ ერთს წამს მაინც კიდევა ვშინჯო სრული სიწყვდიადე *) იმისი. ჩემი ამისგან დამფარველი იქნება საკვიცხავობა იმის ყოფა-ქცევისა. ოჰ! სა-ჭიროა, ძალიან საჭიროა ეს ჩემთვის კეთილ-მობილური სახე, ტკბი-ლი შეხედულობა, ხმა ნარნარი, ალერსიანი,—აღმოჩნდა კი, რომ სა-ძაგელი გამრყვნელის გამოგზავნილი თურმე იყო. ოჰ, უბედურო, უბედურო ჩემო თავო!... ღმერთო! ფანჯარას აღებენ. (გარბის.)

გამოსვლა მეხუთე.

გრაფი, ფიგარო, (მანტოში გახვეული მოადგება ფანჯარას.)

ფიგ. (გარეთ ქუჩიდან) ვიღაც გარბის და შევიდე?

გრაფი. (გარედამ) ვაცა?

ფიგ. ერა.

გრაფი. ამ როზინას ყოფილა და სწორეთ შენს ფრანცუზ შე-ხედულობას შეუშინდება.

*) შავი სიბნელე.

ფიგ. (ოთახში ჩამოხტება) აგრე იქნებოდა, უშველია... ძლივს არ მოვედით, ძლივს არ გამოვატანეთ ამ წვიმასა და ელვა-ჭექასა.

გრაფი (გრძელ მანტოში გახვეული) ხელი მომაწოდე. (ისიც ჩამოხტება) გამარჯვება ჩვენია.

ფიგ. (თავის მანტოს იქით მიაგდებს) ძვლებამდის არ ჩამოგვატანა? მშვენიერი ამინდია, საბედნიეროდ მგზავრობისათვის. ბატონო, თქვენ რასა ბძანებთ, როგორი ღამეა?

გრაფი. ტრფიალისათვის უკეთესი არ შეიძლება.

ფიგ. მაგრამ ხელის შემწყობთათვის?.. მერე, რომ მოგვასწროს ვინმე აქა?

გრაფი. ჩემთანა არა ხარ? მე სულ სხვა მაწუხებს: ვაყაბულებინებ, რომ ახლავე გამომყვეს თუ ვერა?

ფიგ. თქვენ გახლავსთ სამი გრძნობა, ქალებისათვის რომ შეუდლის-შემძლებელნი არიან: სიყვარული, სიმდიდრე და სიფთხილე.

გრაფი. (სარკმელში იყურება) უეცრად როგორ შევატყობინოთ, რომ ჩვენ შეუძლებლად ნოტარიუსი შენსა მიელის? დიდ გაბედულებად მიიღებს ხომა და მეტად კადნიერი ყოფილაო, ჩემსას იტყვის.

ფიგ. იმან თუ თქვენი თქვა, კადნიერი ყოფილაო, თქვენ იმისი თქვით, უწყალო ყოფილა-თქო. ქალებს ძალიან უყვართ, როცა უწყალოს ეძახიან. ამას გარდა, იმას თუ მართლა ისე უყვარხართ, როგორც თქვენა გსურსთ, უთხარით ვინცა ხართ და მაშინ თქვენს გრძნობაზედ ეჭვი სულ აღარა ექნება რა.

გამოსვლა მეექვსე.

გრაფი, როზინა, ფიგარო.

ფიგარო აანთებს ყველა სანთლებს, რაც სტოლზეა.

გრაფი. როზინა, მშვენიერო როზინა!..

როზ. (ცოტა რამ შეშინებული ხმით) მე მგონია, უფალო, რომ მოსვლას აღარ აპირებდით.

გრაფი. მშვენიერი იჭვნეულებაა!... მე შესაბამად არა ვრაცხ შემთხვევით ვისარგებლო და გთხოვოთ რომ უცნობი კაცის ბედნიერების და უბედურების მოზიარედ შეიქნეთ; მაგრამ, თქვენ რაც უნდა თავის შესაფერებელი არჩიოთ, ჩემს პატიოსნებასა გეფიცავ...

როზ. უფალო! ჩემი ხვეწნის მიცემა რომ ჩემს გულის გრძნობას არ ჰმოწმობილიყო, თქვენ ახლა აქ არ იქნებოდით. ჩემმა გაწირებამ უნდა გაამართლოს თქვენს თვალში ეს ახლანდელი ჩვენი ფარული გარეშეთი შეხვედრა და საუბარი.

გრაფი. თქვენ, როზინა, მეუღლე ვიღაცის უბედურისა, უმამულოსი, უგვაროსი!...

როზ. გვარი, შეძლება, დავახებოთ თავის სიტყვებს, რომელიც შემთხვევას ეკუთვნის. და თუ დარწმუნდებით რომ თქვენი განზრახვა წმინდა არის და შეუგინებელი...

გრაფი. (მუხლებზედ დაეშვება) ოჰ! როზინა! თაყვანსა გცემ...

როზ. (განრისხებული) მაინც მიკადრებთ, უკადრისო, როგორა ჰბედავთ?... თაყვანსა გცემო!... გადი, გამეცალე! შენ აღარა ხარ ჩემთვის მოსარიდებელი. მე ამ სიტყვას მხოლოდ იმისთვის ველოდი შენგან, რომ საზიზღრად გადაქცეულიყავი. მაგრამ მანამდისინ მე შენ შენი სინიდისის ქენჯნას მიგანებებ (ტირილით) შეიტყე, რომ მიყვარდი; შეიტყვე რომ თავს ბედნიერად ვრაცხდი, რომ ჩემს ბოროტ სვეს მეც გავაზიარებდი. ბედ-კრულო დღეო! ყველაზედ ხელსა ვაძლევდი, რომ შენ შემოგდგომოდი მაგრამ შენმა სილაღემ სიცრუემ ჩემი გულის სიწმინდის მაგიერად, ურცხვად საძაგლობამ, რომელსაც წარმოადგენს ერთი ხსენება სახელის გრაფ ალმავივასი, ალმავივასი, რომელსაც ესხად მიცემს მიბაძებელი, ამასთანა საზარელი საქმეებმა ხელში ჩამივარდა ეს საბუთი ჩემის უძლურობისა ამ წიგნსა სცნობ თუ გრაფ?

გრაფი. (სიწრფით) თქვენმა აპეკუნმა, რომ მოგცათ?

როზ. (ამაყად) დიახ!... ...

გრაფი. ღმერთო ძლიერო! გმადლობ ამ ბედნიერებისათვის...

ჩემგანა ჰქონდა იმასა. გუშინ რომ აღარა გამეწყობოდა რა, ეგ ვიხმარე, რომ იმის გული მომეგო; მაგრამ წამი ვეღარ ვიხელთე, რომ თქვენთვის შემეტყობინებინა. ოჰ! როზინა, მაშ მართალია, რომ ჩემი სიყვარული გქონიათ?!

ფიგარო. ბატონო! ქალს ეძებდით, რომ საკუთრად თქვენი სიყვარული ჰქონიყო და არა თქვენის...

როზინა. ბატონოო?... ეს რაღას ამბობს?

გრაფი. (წამოსასხმელს გადიგდებს და დიდებულად მორთული გამოჩნდება) ოჰ! ყოვლად უსატრფოესო ქალთა შორის! დრო აღარ არის თქვენის მოტყუებისა: ბედნიერი კაცი, რომელსაც თქვენ ფეხთ-წინ დასცქერით ახლა, ლინდორი არ არის: მე ვარ გრაფი ალმავივა, თქვენის სიყვარულით ცეცხლ-მოდებული და აგერ ექვსი თვეა თქვენი მძებნელი...

როზინა. (ხელებში ჩაუვარდება გრაფს) ოოჰ!...

გრაფი. (შეშინებული) ფიგარო!

ფიგარო. ნუ გეშინიათ, ბატონო! სიხარულის ტკბილ აშფოთებას არას დროს სამწუხარო არა დაჰყვება რა. აგერ, აგერ ახელს თვალებსა! ღმერთო! რა მშვენიერია მართლა!

როზ. ოჰ! ლინდორ!... ოჰ! ბატონო, როგორი დამნაშავე ვარ! კინაღამ ამაღამვე ჩემი აპეკუნი შევირთე.

გრაფი. თქვენ, როზინა!

როზ. დაჰხედეთ ჩემს წამებას. მთელი სიცოცხლე თქვენის სიძულვილით უნდა გამეტარებინა. სიძულვილზედ უმეტესი წამება რაღა უნდა იყოს, სადაც ჰგრძნობენ, რომ სიყვარულისთვის იყვნენ გაჩენილი?

ფიგარო. (ფანჯარაში იყურება) ბატონო! ჩვენი დაბრუნება აღარ შეიძლება; კიბე წაუღიათ.

გრაფი. წაუღიათ?

როზ. (მწუხარებით) დიაღ, ეგ მე... დოკტორის. აი ნაყოფი ჩემის ნდობისა. მომატყუეს. მე ყველა უამბე, ყველა გავეცი. იცის

იმან, რომ თქვენ აქა ხართ და უთუოთ ჯარს მოიყვანს.

ფიგარო. (კიდევ იყურება), ბატონო! გარეთ კარს აღებენ.

როზ. (ისევ გრაფს ჩაუვარდება) ოჰ, ლინდორ!...

გრაფი. (მტკიცედ) როზინა! თქვენ გიყვარვართ; მე არავისი მეშინია; ცოლი იქნებით ჩემი. მაშ მექნება სიამოვნება, რომ ჩემებურად დავსაჯო საძაგელი ბერი-კაცი.

როზ. ნუ, ნუ, შეიბრალეთ, ლინდორ! ჩემი გული ისე სავსეა, რომ შურის-ძიებას ადგილი აღარა აქვს.

გამოსვლა მეშვიდე.

ნოტარიუსი, დონ-ბაზილიო და წინანი.

ფიგარო. ბატონო! ეს ჩვენი ნოტარიუსია.

გრაფი. და მეგობარი ბაზილიოც იმასთან.

ბაზ. ოჰ, ამას რასა ვჰხედავ?

ფიგარო. საიდამ, როგორ მეგობარო?...

ბაზ. თქვენ რა შემთხვევით, უფალნო?...

ნოტარიუსი. ესენი არიან შესაუღლებელნი?

გრაფი. დიაღ, უფალო! თქვენ უნდა შეგვეუღლებინეთ, სინიორა როზინა და მე, ამაღამ, დალაქ ფიგაროსას: მაგრამ ჩვენ ეს სახლი ვამჯობინეთ; მიზეზს მერე შეიტყობთ. ჩვენი კონტრაკტი თანა გაქვთ?

ნოტარიუსი. მე მაქვს, სჩანს, პატივი ლაპარაკისა მისს ბრწყინვალებას ბატონს გრაფ ალმავივასთან?

გრაფი. ბეჯითად.

ბაზ (ცალკე) თუ სახლის გასაღები იმისთვის მომცა...

ნოტარიუსი. თან ორი კონტრაკტი მაქვს ქორწინებისა, თქვენო ბრწყინვალებავ! არ უნდა შევშალოთ. აი ეს თქვენი; და ეს სინიორ ბართოლოსი და სინიორა... ესეც როზინა? ეტყობა დები ყოფილან, რომ ორთავე ერთი სახელი ჰრქმევიათ.

გრაფი. ჩვენ მაინც მოვაწეროთ ხელი. დონ-ბაზილიო გვეთილ-ინებებს, რომ მეორე მოწმად დაგვესწრას. (ხელს აწერენ.)

ბაზ. თქვენო ბრწყ! მე არ მესმის...

გრაფი. ოსტატო ბაზილიო! სულ არაფერი საქმეს გიძნელებთ, და სულ ცოტა რამ გაგვირვებთ.

ბაზ. ბატონო!... დოკტორი რომ...

გრაფი. (ქისას მიუგდებს.) ყმაწვილობთ. მოაწერეთ და რაღას უყურებთ!

ბაზილ. (გაკვირვებული) ოჰ, ოჰ!...

ფიგარო. რა გიძნელებს მერე ხელის მოწერასა?

ბაზილ. (ქისას იწონის ხელით) არარაფერი, მხოლოდ ეს კი, რომ როდესაც—მსუბუქ პირობას მივსცემ ვისმე, გატეხას კაი მძიმე მიზეზი უნდა ხოლმე. (ესეც აწერს ხელსა.)

გამოსვლა მერვე და უკანასკნელი

ბართოლო, ალკადი, ალგვაზილები, მოსამსახურეები ჭინჭლილებით და წინანდელი აქტორები.

ბართოლო. (ჰხედავს, რომ გრაფი ხელს ჰკოცნის როზინას, და ფიგარო ეხვევა ბაზილიოს და ყვირილით ნოტარიუსს მივარდება და ყელში სწვდება ხელსა),

როზ. ამ უკეთურებთან! დაიჭირეთ ყველანი; მე აგერ მიჭირავს ერთი.

ნოტარიუსი. თქვენი ნოტარიუსი!

ბაზილ. თქვენი ნოტარიუსია. ნეტავი რას მასხარაობთ?

ბართ. დონ-ბაზილიო! თქვენ როგორა ხართ აქა?

ბაზილ. უფრო თქვენ როგორ არა ხართ აქა?

ალკადი. (ფიგაროზედ მიიშვერს ხელს) ერთ წამს! ეს მეცნობა მე. რა გინდა შენ ამ სახლში, ამ უდროო დროს?

ფიგარო. უდროო დროს? კარგათა ჰხედავთ უფალო, რომ ეს

დრო ქალისთანაც ისე ახლოა. როგორც სასამართლოსთან. ამას გარდა მე აქ ვახლავარ მისს ბრწყინვალებას ბატონ გრაფს ალმავივას.

ბართოლო. ალმავივასა!

ალკად. მაშ ესენი ქურდები არ არიან?

ბართოლ. დავანებოთ ამას თავი. ყოველგან სხვაგან, უფალო გრაფო, მე ვახლავარ მოსამსახურე თქვენის ბრწყინვალებისა; მაგრამ თქვენ თვითონ უნდა გრძნობდეთ, რომ აქ ხარისხის უპირატესობას ძალა არა აქვს. გთხოვთ თუ თქვენი ნებაც იქნება, გაბძანდეთ აქედამ.

გრაფი. დიაღ, ხარისხს აქ ძალა არ უნდა ჰქონდეს; მაგრამ დიდი ძალა აქ იმასა აქვს, რომ ქალმა თქვენზედ უპირატესობა მე მომანიჭა, და თავის ნებით მომეცა.

ბართ. როზინა! ეს რას ამბობს?

როზ. მართალსა. რად გიკვირთ? ამაღამვე არ უნდა შური მეძიებინა მაცთურისათვის და ჩემი მოტყუებისა გადამეხდევინებინა? გადავახდევინე და გავათავე.

ბაზილ. აკი მოგახსენებდით, რომ თვითონ გრაფი ბძანდება მეთქი, დოკტორო!

ბართოლ. მე რას დავეძებ სამასხარაო ქორწინებასა. მოწმები სად არიან?

ნოტარიუსი. სრულიად არა აკლია რა. ეს ორნი უფალნი დამესწრნენ.

ბართოლ. როგორ, ბაზილიო? მოაწერეთ?

ბაზილ. რა მექნა? ამ ეშმაკ კაცს ჯიბეები ყოველთვის გამოტენილი აქვს დაურღვეველი საბუთებით.

ბართ. მე სულ არაფრად მიმაჩნია ეგ თქვენი საბუთები. მე ჩემს უფლებას მოვიხმარებ.

გრაფი. თქვენი უფლება გადაჭარბებით თქვენვე გააუქმეთ

ბართ. ქალი ჯერ მცირე წლოვანია.

ფიგარო. ახლა თავისუფალია.

ბართ. შენ ვინ გელაპარაკება, ოსტატო უკეთურო!

გრაფი. ქალი არის კეთილშობილი და მშვენიერი: მე ვარ კაცი ხარისხოვანი, ყმაწვილი და შეძლებული; ეს ახლა ჩემი ცოლია. რადგან ეს წოდება ეკუთვნის, ჩვენ ორივესათვის საპატიო, ნუ თუ დავას მიპირებდეს და ვინმე.

ბართ. თავის დღეში ვერა ვინ გამომაცლის მე მაგას ხელიდამ.

გრაფი. თქვენს უფლებას ქვეშე აღარ არის. მე ვაყენებ კანონთ უფლებას ქვეშე; და ეს უფალი, თვითან თქვენ რომ მოიწვიეთ, დაიფარავს იმ ძალისაგან, რომლისაც მოხმარებას თქვენ განიზრახავთ. სამართლის მომსახურენი არიან შეიწროებულთა და ჩაგრულთა მომხმარენი და დამცველნი.

ალკად. უეჭველია. და ეგ დიდად სასიქადულო ქორწინებას უსარგებლო წინააღმდეგობა საკმაოდ ამტკიცებს რომ შიში არის ბოროტ-მოქმედებისა და ობლის საცხოვრებლის დაგლეჯისა, რაზედაც თავის დროზედ პასუხის გება მოეკითხება.

გრაფი. ახლა გვეთანხმოს და მე სრულიად აღარაფერს არ მოვკითხავ.

ფიგარ. ჩემი ასი ოქროს ბათილამას გარდა. თავს კი ნუ დავივიწყებთ.

ბართოლ. (განრისხებული) ყველა ჩემი წინააღმდეგი ყოფილა; ჩხანს თავი ბუზანკლის ბუდეში შემიყვია.

ბაზილ. რა ბუდეში? ცოლი თუ ვერ შეირთეთ, იანგარიშეთ, დოკტორო, რომ ფული მაინცა გრჩებათ; — დიაღ, ფული გრჩებათ.

ბართ. ეჰ! თავი დამანებეთ ერთი ბაზილიო! თქვენ, თუ არ ფულს, სხვას არასა ჰფიქრობთ. ძალიან გსწუხვარ ფულისათვის, მე! ვინახავ, რასაკვირველია? იქნება მართლა გეგონოთ, რომ ეს მაზედვინებდეს. (იღებს კალამსა და ხელს აწერს).

ფიგარო. (სიცილით) აჰა, აჰა, აჰა, ბატონო! ერთი გვარისანი ყოფილან!

ნოტარიუსი. მე, უფალნო, სრულებით არა მესმის რა. მაშ ქალები ორნი არა ყოფილან ერთი სახელის მქონნი?

ფიგარო. არა, უფალო, მარტო ერთი ყოფილან.

ბართ. (იმედ გადაწყვეტით) კიბე ავაცალე, — ქორწილი რომ უფრო ბეჯითად მომხდარიყო. ოჰ! გაუფთხილებლობამ დამღუპა, გაუფთხილებლობამ.

ფიგარო. უგუნურობამ. მართალი ვთქვათ, დოკტორო. როდესაც სიყმაწვილე და სიყვარული ერთათ არიან, რომ ბერი-კაცი მოატყუონ, სხვებმა რაც უნდა ქნან იმათი ხელის შესაშლელი, მაინც ის გამოვა, რასაცა ჰქვია ამაო გაფთხილება.

დიმ. ყიფიანი.

10 აპრ. 1879 წ.

ვაზის ახალი მტერი.

მთელს დედა-მიწის ზურგზედ იმისთანა ქვეყანა არ არის, როგორც საფრანგეთი, მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ამ ქვეყანას ისეთი ჭირი ეწვია, რომელიც მთელს საფრანგეთს ვენახების გაწყვეტას უქადის. ეს ჭირი ისეთი ჭირია, რომ შეუძლიან რამდენსამე ათასს ვერსტზედ გადმოისეირნოს და ერთს უბედურს დილას ჩვენს ვენახებშიაც ამოჩნდეს. მე მინდა ამ წერილში მკითხველს ამ ვაზის ავათ-მყოფობაზედ მოველაპარაკო და ვუჩვენო, შესაძლებელია თუ არა, რომელიმე ღონისძიებით ამ ავათ-მყოფობის თავიდამ აცილება.

1865 წელს სამხრეთის საფრანგეთში ქალაქის ავინიონის ახლო ერთს ვენახში ვაზებს ფოთოლი დაუყვითლდათ და სხვა ვაზებს ზრდაში უკან ჩამოურჩნენ. პატრონებმა ამას ჯერ ყურადღება არა ათხოვეს რა; ეგონათ, უბრალო მიზეზი იქნება რამე და მალე თავისთავათ გაივლისო; მაგრამ ეს იმედი ტყუილი იმედი იყო. იმავე წელიწადს იმისთანა ავათ-მყოფობა ვაზებს საფრანგეთის მეორე კუთხეშიაც დაეტყოთ. ამ ორის ადგილდამ ეს ავათ-მყოფობა თან-და-თან გავრცელდა სამხრეთის საფრანგეთში, პირველს წელიწადში ვაზები უღონოთა ჭკნებოდენ და მეორეში კი ხმებოდენ მთლად, ძირიანად. ბევრი ეძებს ამ ახალის ჭირის მიზეზი, ბევრი იცეს თავში, ბევრი ივიშეს და ივაგლახეს, ავათ-მყოფი და გამხმარი ვაზებიც ბევრი დაამრეს, ფოთლებიც გაუშინჯეს, რქებიც, ფესვებიც, ბევრი ძებნეს, მაგრამ 1868 წლამდე ვერა გამოძებნეს რა.

ამ წელიწადში კი ერთმა საფრანგეთის სწავლულმა პლანშონმა გამხმარი ვაზების მაგიერათ ახლად დაზიანებული ვაზები დააძრო და იმათ ფესვებს შინჯვა დაუწყო. ამ ვაზებს წვრილის ფესვების ბოლო აბურცებული ჰქონდათ და ბუნებითი ყვითელი ფერის მაგივრად სიშავე შეჰპაროდათ. ფესვებზედ ამ სწავლულმა რამდენიმე ჭია იპოვნა, რომელნიც იმათ ისე დაჰკროდენ, თითქო (წებოთი) დაწებებულნი არიანო. ეს ჭია არის სწორედ ამ ავათ-მყოფობის მიზეზი.

რა კი იმოდენა ვენახების აოხრებაზედ ვლაპარაკობდი, შეიძლება მკითხველმა იფიქროს რომ დიდს აოხრებას დიდი მიზეზიც უნდა ჰქონდესო და ეს ჭია თუ არ კამბეჩისა, თხუნელას ტოლი მაინც უნდა იყოსო. ამ შემთხვევაში ჩვენს მკითხველსაც იმისთანა საქმე დაემართება, რა საქმეც ბევრს ფრანცუზს დაემართა ერთხელ პარიჟში. იქ ერთი პროფესორი პარიჟის სორბონის დიდს ზალაში მრავალს მსმენელს ამ ჭიის ცხოვრებას უხსნიდა და თან ერთს დიდს ფიცარზედ დახატულს უშველებელს ჭიაზედ უთითებდა. იმის თქმა კი დაავიწყდა, რომ ისე დიდათ განგებ იყო გამოსახული ცხადათ საჩვენებლად და ამ ლექციიდამ ბევრი გამოვიდა გულ-დაჯერებული, რომ ეს ჭია ერთი ახირებული დიდი ქმნილება უნდა იყოსო.

ამ გვარი შეცდომის ასაცილებლათ მე ახლავე ვიტყვი, რომ ეს ჭია რწყილზედ უფრო პატარაა, ასე რომ თუ კაცს დიდათ მაჩვენებელი მინა არა აქვს, ხეირიანათ ვერც კი დაინახავს. მართალია პატარაა, მაგრამ ასეთი გამრავლება იცის, რომ ერთი დედისაგან შეიძლება ერთს წელიწადში რამდენიმე მილიონი ჭია მოეშენდეს.

ამ ჭიას სახელათ დაარქვეს ფილოქსერა. ფერათ არის ყვითელი, აქვს ექვსი ფეხი, ორი ულვაში და ზოგიერთებს ოთხი ფრთა. ზოგერთ ფილოქსერას აქვს აგრეთვე ხორთუმი; ხორთუმში ნესტრებია, რომლებითაც ვაზის ფესვების კანსა სჩხვლეტს. ზამთარში ფილოქსერა გაბრუებულია და თითქმის სრულებით არ იძვრის; სითბო რომ დადგება, მაშინ იწყობს მოძრაობასაც და გამრავლებასაც. დედალი ჭია დაუპეპლავათ ჰსდებს ერთს ჯერობაზედ 30—40-ს კვერცხს, რო-

მელთაგანაც რვა დღის უკან წვრილი ჭია გამოდის. ეს წვრილი ჭია ოცის დღის განმავლობაში იზრდება, სამჯერ იცვლის კანსა და შემდეგ თვითონაც სდებს კვერცხებს, ასე რომ თვისა და თვის თავზედ ჭიის უწინდელი რიცხვი 30 ჯერ და 40 ჯერ მრავლდება. კვერცხიდამ ახლად გამოსული მწერი ჯერ მოძრაობს; ეძებს დასაბინავებელს ალაგს და როცა იპოვის, უძრავათ ეკვრის. ეს ჭიები, რომლესაც ვაზის წვრილს ფესვებს მორჩებიან, მაშინ მსხვილებზედ გადინადირებენ ხოლმე და იქამდისინ არ დაანებებენ ვაზს თავსა, ვიდრე ძირიანად არ გაახმობენ; მაშინ მეორე საღს ვაზზედ გადადიან და იმათგან თავ-დანებებული ვაზი ხმება. ფესვები ულპება და ფუტუროსავით იფხვნება. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ გამხმარის ძალიან დაზიანებულის ვაზის ფესვებზედ ფილოქსერას პოვნა ძნელია და ამ მიზეზითვე ეს ჭია მთელი სამი წელიწადი დამალული იყო.

აგვისტოში ზოგიერთს ფილოქსერას ფრთები ამოსდით და მაღლა დედა-მიწაზედ ადიან. ამ ფრთიანს ფილოქსერას ხორთუმი არა აქვს, რომლითაც უფრთონი თავიანთ საზრდოსა სწოვენ ვაზის ფესვებიდამ. ცხადია, რომ ფრთიანები მხოლოდ ფილოქსერას გასამრავლებლათ ყოფილან დანიშნულნი და არა საზრდოს მისაღებლათ.

არავინ არ იცის ეს ფრთიანები თითონ მიფრინავენ სხვა უცხო მხრისაკენ, თუ ქარს გადააქვს. ეს არის მხოლოდ ნამდვილი, რომ იმათის წყალობით ფილოქსერამ ბევრი ალაგები დაიჭირა, რომელნიც იმისაგან დაზიანებულს ალაგებზედ განცალკევებულნი იყვნენ. სჩანს რომ ფილოქსერა არამც თუ მიწაში გადასვლითა მრავლდება, ჰაერშიაც დაჰფრინავს და იმისთანა ალაგებს აზიანებს, რომელნიც იმის დაცემას აგრე მალე არ მოელოდნენ.

ამ ცოტაოდენის მეტი ჯერ-ჯერობით თითქმის არავინ რა იცის ამ პაწია ჭიის ცხოვრებისა. იმისი ჩვეულება და თავს-გარდასავალი ბნელით არის მოცული. მხოლოდ ეს იცის ყველამ რომ დიდ ძალი ვენახები ამოაგდო ამ უცნაურმა ჭიამ და თუ ასე გავრცელდა შემდეგშიაც, როგორც აქამდის ვრცელდებოდა, ამ ცოტას ხანში მთელი

საფრანგეთის ვენახები ამოგდებულები იქმნებიან, თუ რიგიანი საშუალება არა იხმარეს რა ამ ჭირის მოსაშორებლად. შარშან 400,000 ჰექტარი (ჰექტარი 2,196 კვადრატული საჟენია ანუ ორს დღიურზედ ცოტა ნაკლები) ვენახი იყო საფრანგეთში ამ ჭირისაგან სრულიად გაოხრებული, ე. ი. მთელი საფრანგეთის ვენახების მეექვსედი; ცოტაოდნად დაზიანებულებს კი ვიღა იანგარიშებს.

უეჭველია რომ ესეთი უეცარი უბედურება დიდს ალიაქოთს ასტეხდა ფრანციუზებში. თითქმის ყოველ-დღე რომელსამე ალაგას ყრილობა არის და სჯა იმის თაობაზედ, თუ როგორ დაიხსნან გადარჩომილი ვენახები ამ დაუპატიჟებელი სტუმრისაგან. ბევრი სხვა-და-სხვა საშუალება იხმარეს, მაგრამ დღემდისინ ვერავის შეუძლიან სთქვას ეს საშუალება უებარი წამალია ამ ავათ-მყოფობისაო. ყველაზედ უკეთესი წამალი ფილოქსერას წყლით დახრჩობაა. ამის გამო ბევრგან საფრანგეთში, სადაც კი ვენახებში წყლის მიგდება შესაძლებელია, ვენახებს გარშემო მიწის თხრილები (ВАЛЪ) გაუკეთეს და ზამთარში წყალს უგდებენ ისე რომ წყალი დედა-მიწის ზევით ერთს მტკაველზედ მაინც იდგეს. ეს წყალი ორმოც დღემდე შეუწყვეტლივ ვენახში უნდა იდგეს, რომ ნიადაგს კარგათ გაუჯდეს და სადაც კი ფილოქსერას ბუდეა, მისწვდეს. ეს საშუალება, მართალია, კარგია, მაგრამ ისე ძვირათ ჯდება, რომ ყველასთვის შესაძლებელი არ არის. წყლის დაგუბება ვენახში ყოველ წელიწადს უნდა მოხდეს და ეს ხშირათ ძალიან გასაჭირია. თუნდა ესეც არ იყოს, ბევრგან ვენახები იმისთანა ალაგას არიან, რომ იმათში წყლის დაგუბება შეუძლებელია.

მეორე უმთავრესი საშუალება არის ვენახებიდამ მიწის ამოღება და ვაზის ძირებში ქვიშის დაყრა. ქვიშა ფილოქსერას უშლის მოძრაობას და ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს საშუალება შეაჩერებს ფილოქსერას გავრცელებასაო. ესეც მართალია, მაგრამ ვენახებიდან მიწის ამოღება და იმის სამაგიეროთ ქვიშის დაყრა ისეთი ფასი ჯდება, რომ თუ არ საგანგებო ვენახებში სხვაგან პატრონს ზარალის მეტს არას მისცემს.

ამ უკანასკნელს დროს აღმოაჩინეს ერთი ნივთეულობა, რომე-ლიც ფილოქსერასათვის საწამლავია და ვაზს კი არას ავნებს. ეს ნივ-თეულობა როდესაც შეხვდება ჭაერს, ჰბადავს ორნაირს ჭაერ-გვარს... რომელნიც მყრალნი ძრიელ და ყოველის ცხოველის მომწამლველნი არიან. თუ ფილოქსერამ ისინი შეისუნთქა, კეთილს არც იმას დაა-ყრიან. ეს ნივთეულობაც ძალიან ძვირათ ჯდება და თუ იმის წარ-მოება გაიაფდა, მაშინ შეიძლება ის მართლა უებარს წამლათ გარ-დაიქცეს.

ერთი საშუალება არის კიდევ, რომლისაც დიდი იმედი აქვთ და რომლის თაობაზედაც შარშან ზაფხულს საფრანგეთის ერთს ქალაქში —მონპელიეში— მთელი კონგრესი შეიყარა. ეს საშუალება არის ამე-რიკის ვაზების გადმორგვა ანუ მყნობა ევროპის ვაზებზედ და შემ-დეგ ხელმეორეთ ევროპის ვაზების მყნობა ამერიკის ვაზებზედ.

იქნება ზოგმა იფიქროს, რომ ეს გადამყვან-გადმომყვანობა წყლის ხანჯლით ჭრასა ჰგავსო, მაგრამ ეს ისეთი სისულელე არ არის, რო-გორც კაცს პირველის შეხედვით ეგონება. ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ ფილოქსერა ევროპაში ამერიკულს ვაზებს შემოჰყოლია; რადგან ევროპაში ეს მწერი პირველად გამოჩნდა იქ, სადაც ამერიკული ვა-ზები იყვნენ შემოტანილნი. ვინ იცის რამდენი ხანია, რაც ფილოქ-სერა ამერიკაში გაჩენილა, მაგრამ მომეტებულს ნაწილს იქაურის ვა-ზებისას კი ვერას აკლებს. იქ უფრო ვაზის ფოთოლს ეტანება, რად-გან ფესვებს ძალიან მაგარი კანი აქვთ. ფოთოლს იქ თავის ნეშ-ტრით სჩხვლეტს და ნაჩხვლეტი ადგილი სივდება. მეწუკსავითა ხდება, შიგ ფილოქსერა ბუდეს აკეთებს და კვერცხებს სდებს. ამ გვარი მოვ-ლენა ევროპაშიაც არის შემჩნეული, მაგრამ ისე ხშირათ არა, რო-გორც ამერიკაში. შესანიშნავი ის არის, რომ ამერიკაში იქაური ვა-ზები სრულებით არ ეპოებიან ფილოქსერას და ევროპის ვაზი კი იქ სრულებით არა ხარობს. ამან ბევრს აფიქრებინა ევროპის ვაზების მყნობა ამერიკულს ვაზებზედ. ისინი ამბობენ, რომ ამ საშუალებით ვაზს ფესვები ამერიკული ვაზისა ექნებაო, რქები ევროპიულისაო, და

ფილოქსერა მაშინ შეუდარავერს გვიზამსო. საფრანგეთს ხმარობენ ეხლა ამ საშუალებას ფილოქსერისაგან დაცემულს ქვეყნებში და იმედიც დიდი აქვთ, რომ შედეგი კარგი მოჰყვება, მაგრამ დარწმუნებით კი ჯერ ვერავინ ვერას იტყვის.

ეს ყოველივე ღონისძიება ამისთანა ქვეყნებისათვის არის მოგონილი, რომელთაც ფილოქსერა დასცემიათ. იმ ქვეყნების მცხოვრებთ რაღა უნდა ჰქნან, რომელთაც ჯერ ეს ჭირი არ შეჰყრიათ? ამ კითხვაზედ პასუხის მიცემა ადვილია. ისინი უნდა ყოველის ღონისძიებით სცდილობდენ ეს ჭია არამცა და არამც არ შეაყოლონ თავიანთ ქვეყანაში. სულ თუთხმეტი წელიწადი არ არის, რაც საფრანგეთში ფილოქსერა გამოჩნდა, მაგრამ ზოგიერთი ისეთი რამ შენიშნეს, რომ შეიძლება ჩვენის ვენახების დასახსნელად გამოვიყენოთ.

შემჩნეულია, რომ ფილოქსერა მხოლოდ გასწვრივ მრავლდება და თუ ახალს ადგილას ამოჩნდება სადმე, იქ ან სნეული ვაზი უნდა იყოს შეტანილი, ან ჰაერს გადმოუტანია იქ ფრთიანი ფილოქსერა. ამ უკანასკნელს შემთხვევაში ძველად დაზიანებულს მხარესა და ახლად ფილოქსერა დაცემულს შუა დიდი მანძილი არ არის ხოლმე. სჩანს რომ ფილოქსერას თავისით შორს წასვლა არ შეუძლიან, თუ განგებ არ გადაიყოლებს უცხო ქვეყნიდგან შეტანილს ვაზებს. ეხლა მრავალს ევროპის ქვეყანაში არის ეს მწერი გამოჩენილი: ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში; თითქმის ყველგან დამტკიცებულია, რომ ამ ქვეყნებში ფილოქსერა შორიდგან მოტანილს ვაზებს თან მოჰყოლია. მაგალითად შვეიცარიაში ჟენევის ახლო 1874 წ. გამოჩნდა ფილოქსერა; მალე შეიტყვეს, რომ 1869 წ. ხუთის წლის წინეთ საფრანგეთიდამ ვაზის რქები შემოეტანათ და ეს ჭიაც თან მოჰყოლოდა; შუა ქვეყნის ზღვაში მდებარე კუნძულს კორსიკას, როგორც ყოველს კუნძულს გარეშემო ზღვა არტყია, და ფილოქსერასაგან შიში არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ აქაც ამავე 1869 წელიწადში შეუტანიათ საფრანგეთის დაზიანებული ვენახებიდამ რქები

და ოთხის წლის შემდეგ აქაც დაატყობია ვენახებს ფილოქსერას კვალი.

ამ მიზეზების გამო ჯერეთ არ დაზიანებული ქვეყნები ისე ერიდებიან საფრანგეთიდამ ანუ სხვა ფილოქსერა-დაცემულის მხარიდამ ვაზების შემოტანას, როგორც ხოლერიანის კაცის მიკარებას. მაგალითად ალჟირში არამც თუ ვაზისა და ხეხილისა, ვაშლისა და მსხლის შეტანაც კი აკრძალულია, რომ ფილოქსერა თან არ შემოჰყვეს.

ჩვენ რაღა უნდა ვქნათ და როგორ უნდა მოვიქცეთ?

ჯერ ერთი ეს მოვიტყოთ: შეუძლიან ფილოქსერას ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა თუ არა, რასაკვირველია, თუ განგებ არავინ შემოაყოლებს. ჩემის აზრით ეს სრულიად შეუძლებელია თუ არ სპარსეთის ან ოსმალეთის მხრივ. ჩვენს ქვეყანას ჩრდილოეთით საზღვრავენ უზარ-მაზარი კავკასიის მთები და იმათ იქით თვალ უწდომი რუსეთის მინდვრები; აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით შავი ზღვა და ამას იქით ყირიმი, სამხრეთით სპარსეთი და ოსმალეთი. ჩვენი შიში მხოლოდ სპარსეთისა და ოსმალეთის მხრივ არის, მაგრამ ამ ქვეყნებში ჯერ არც გაჩენილა ფილოქსერა და იმედია, რომ თუნდა გაჩნდეს კიდეც, ეს მალე არ მოხდება. კასპიისა და შავის ზღვის მხრივაც არა გვიშავს რა; მხოლოდ საშიში მაშინ იქნება, რომ ყირიმში შემოიტანონ, თუმცა, ჩემის აზრით, ყირიმსა და კავკასიას შუა კიდევ იმოდენა ზღვაა, რომ ფილოქსერა ვერ გადმოფრინდება. ჩრდილოეთით კავკასიის მთები თუმცა გვიფარავენ, მაგრამ იმათზედ უფრო მეტად გვიფარავენ რუსეთის მინდვრები. საფრანგეთისა და ესპანიას შუა თუმცა პირენეის მთები არიან გაჩენილნი, რომელნიც კავკასიის მთებზედ ბევრად ნაკლებნი არიან, მაგრამ ფილოქსერამ ამ უკანასკნელს ხანს ამ მთებსაც გადაახტა და ესპანიაში ამოჰყო თავი. როგორც წინად ვსთქვით, ჩვენი დამხსნელები უფრო რუსეთის მინდვრები არიან, ვიდრე კავკასიის მთები. ათასი და ორი ათასი ვერსტზედ მეტს გადაჭიმულან ეს უტყეო, უვაზო და უხილო მინდვრები და

იმათში ფილოქსერა თავის დღეში ფეხს ვერ მოიკიდებს და ერთბა-შათ გადმოსვლა კი არ შეუძლიან, თუ გზაზედ პატარა არ შეისვენა და დახოცილების სამაგიეროთ რამდესიმე თაობას არ მოაშენა.

მე მგონია ამ ლაპარაკის შემდეგ ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება იმაზედ უნდა იყოს მიქცეული რომ არამცა და არამც კავკასიაში გარეშე ქვეყნიდან არც ვაზი, არც ხილი, სხვა რაიმე არ შემოვიტანოთ. ან რა საჭიროა? ჩვენი ხილი და ყურძენი სამძღვარ გარეთისას ბევრით არ დაუვარდება და უნდა სიდიდითაც დაუვარდეს, გემო ნაკლები არა აქვს. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენი რაცა გვაქვს, ის გავაუმჯობესოთ და გავაკეთოთ და გარედან შემოტანილი კი თუ თვალისთვის, არც გემოსთვის და არც ხასხასათვის ბევრს არას გამოგვადგება. ესეც რომ არ იყოს და სამძღვარ გარეთიდან შემოტანილი დიდათ უკეთესიც რომ იყოს შინაურზედ, მაინც ზემოთ დიდის ასოებით დაწერილი სიტყვები გულში უნდა ჩავიბეჭდოთ და მეთერთმეტე მცნებათ გავიხადოთ. მარტო ვაზს კი არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ, სხვა დასარგველი ხის შემოტანაც ავკრძალოთ, რადგან ფილოქსერას ცხოვრება ჯერეთ ზედ მიწევნით არავინ იცის და იქნება გამოჩნდეს კიდეც, რომ ის ვაზს გარდა სხვა ხეხილსაც ემტერება და იმათ ფესვებშიაცა ბუდობს. მაშინ მარტო ვაზის აკრძალვა უსარგებლო იქნება, რადგან შეიძლება ხეხილს შემოჰყვეს და იქიდან ვაზზედ გადავიდეს.

აუცილებლათ საჭიროა რომ კავკასიის მეურნეობის საზოგადოებამ ამას ყურადღება მიაქციოს და მთავრობასა სთხოვოს, რომ თუ ჯერ არ არის აკრძალული კავკასიის გარეშე ქვეყნებიდამ დასარგველის ვაზებისა, რქებისა და ხეხილის შემოტანა, ეხლა აკრძალოს.

თუ ვინიცობაა მთავრობამ ან მეურნეობის საზოგადოებამ ამ საქმეს ყურადღება არ მიაქციეს, მაშინ ჩვენ ყველას, კავკასიაში მცხოვრებს, ქართველს, სომეხს, რუსს, თათარს, ერთის სიტყვით ყველას

ვალი გვაწევს, რომ ჩვენც გავფთხილდეთ და სხვებიც გავაფთხილოთ. ჩვენში ბევრნი არ ურევიან, სულ ორიოდე კაცია, რომელთაც საძღვარ გარეთიდან შემოჰქონდათ ხილი და არ ვიცი ეხლა შემოაქვთ თუ არა. იმედი გვაქვს, რომ ამ ორიოდე კაცს საკმაოდ ესმით თუ საზოგადოების საქმე არა, თავიანთ სასარგებლო მაინც, რომ ამ ხილის შემოტანას თავი დაანებონ.

მართლაც და რა მოგველის, თუ ერთი ორი ცოცხალი ფილოქსერა მაინც შემოგვეპარა? ის მოგველის რომ ორს სამს წელიწადზედ ამ ორს ჭიას შეუძლიან უთვალავი ხროვა მოაშენოს და ჩვენს ვენახებს კალიასავით დაეცნენ, მხოლოთ ზემოდან კი არა ქვემოდან; გაიბნენ დედა-მიწის სიბნელეში და ჩვენის მაცხოვრებელის ვაზის ფესვებს უწყალოდ წუწვნა დაუწყონ. ის მოგველის, რომ იმის შემოსევის შემდეგ ათს, თხუთმეტს წელიწადზედ საქართველოში ვაზი აღარ მოიძებნება და ჩვენი მშვენიერი ქვეყანა თუ არ ერთათ ერთს, უმთავრეს თავის სამკაულს მაინც მოაკლდება. მე ბევრს აღარას ვიტყვი, მხოლოთ მკითხველმა წარმოიდგინოს საქართველო უვენახოთ და ქართველი უღვინოთ და მაშინ დაესახება თვალ-წინ ფილოქსერასაგან აოხრება რა საზარელი უნდა იყოს ჩვენთვის. სწორეთ აღამამადხანისა და შაჰაბაზის საქართველოზედ დაცემა ჰსჯობს ამ პაწია მწერის დაცემას!

თუ ბრძოლას ვიტყვით, ჩვენ იმასთან ბრძოლა სად შეგვიძლიან! საცალა ფრანცუზებს უჭირდებათ, იმ *ფ*რანცუზებს, რომელთაც მთელი კაცობრიობის მეცნიერება თავში უდევთ და ყოველი ბუნებასთან საბრძოლველი იარაღი ხელში უჭირავთ, ჩვენ რას შევიძლებთ? ჩვენ სად შეგვიძლიან ვენახების გარშემო მიწის დიდროვანი ზღუდეების შემოკვრა და წყლის დაგუბება? ჩვენ სად შეგვიძლიან აუარებელი მიწის ვენახიდან გაზიდვა და აუარებელი ქვიშის შეტანა?

არა, თუ ეს ჭირი გვეწვია, მაშინ, თავათ ღარიბები ვართ და ერთი ასათ უფრო გავღარიბდებით, მაშინ ამ ჭირთან ბრძოლის ხა-

ლისი სრულებით მოგვეშლება და გულ-ხელ დაკრეფილნი ჩვენის ვენახების აღსასრულს ლოდინს დავუწყებთ.

მაგრამ თუ რიგიანათ მოვიქეცით და ეს მწერი თავიდამ ავიცილეთ, მაშინ უფრო გამდიდრდება მოგველის კიდრე გაღარიბება. ევროპაში ფილოქსერას გამო ღვინო გაძვირდება და ჩვენს ღვინოს თუ წესიერად ღვინის დაყენება ვისწავლეთ, კარგი ფასი დაედება.

ბევრს იქნება ცუდათაც ეწყინოს ასეთს მცირე ჭიაზედ ამოდენა ლაპარაკი, ბევრს იქნება სიცილათაც არ ეყოს უბრალო საქმის (იმის ჭკუაში) ასე გაზვიადება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა ფილოქსერა ძლიერ პატარაა, მაგრამ ვნება კი ძლიერ დიდი მოაქვს.

ამ შემთხვევაში მართლდება სწორეთ ერთის ფილოსოფოსის სიტყვა, რომ „მცირესა და დიდს შუა მხოლოთ ერთი ნაბიჯია“.

მ.

* * *

რა მესმის ესა? ხმა ნაღარისა?
ნუ თუ საომრათ იყრება ჯარი?
მაგრამა გული ყოვლის მცნობელი
გრძნობს რომე გრგვინვა ბრძოლის არ არი...

—

ნაღარის ხმასა მაშინ დავარქმევ,
როცა დამიწყებს ძგერასა გული,
როცა ბუდიდამ ამოვიგლეჯავ
ზრიალით ხმალსა აღტაცებული...

მ. ჯორჯაძე.

ვ ე დ რ ე ბ ა

პ ა ტ ა რ ა გ ლ ე ხ ი ს ა.

გლეხის პატარა ბიჭი ვარ,
ღვთისა ამარას გდებული;
სისაწყლე — სილატაკეში
გაზდილი, დაბადებული.
შრომის შვილს მიყვარს მშობელი,
ღონეც მიდგია მუხლებში.
მეხრე ვარ: ხარი, კამბეჩი
დამიდის მინდორ-ჭალებში;
მაგრამ მაინც არა ვარ
მადლიერ ჩემის თავისა!
ერთი რამ დიდი მაკლია:
არა რა მესმის წიგნისა.
ისმინეთ, წიგნის მცოდნენო,
ჩემი ვედრება, სიტყვაი:
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ...
მასწავლეთ წერა-კითხვაი!!

—

რაც სოფლურ საქმეს ეხება,
მე ვიცი თითქმის ყველაი:
კევრზედ დადგომა, ვაზის სხვლა,
ურმული, ოროველაი;

მაგრამ რა არის ყველა ეს,
თუ გაცურ სიტყვას ვერ გაგცემ!
თუ სხვის გულის-თქმას ვერ ვხედავ,
და ჩემსას ვერვის გადავსცემ?!
ღმერთმანი ეხლა ტოლებში
ლხინიც არ მეხალისება!
რომ წერა-კითხვა ვიცოდე...
მაშინ სხვა საქმე იქნება!!
მაშ ისევ თქვენა, ნასწავლნო,
ისმინეთ ჩემი სიტყვაი:
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ,
მასწავლეთ წერა-კითხვაი!.

ლევ. ცაველი.

1879 წ.

(ნ. ლომოური)

ალი

ამბავი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ

I

ჩემს პატარა ბიჭობაში, როდესაც, შოლტის ხმარება კი არა, სახრის ჭიერიანად მოქნევაც არ ვიცოდი, — მახსოვს — მქონდა ერთი გულითადი სურვილი, ნატვრა. მე მინდოდა, მენატრებოდა ტყის ნახვა! ვისაც კი ამ ჩემს სურვილს გამოუხატავდი ხოლმე, ყველანი ხარხარს მოჰყვებოდნენ ხოლმე და დაცინვით და გაოცებით მეუბნებოდნენ: „ბიჭო და რა ხაზინები დაგიგულებია ტყეში, ან რა მარგალიტის თვლები დაგითესია შენ იქა, რომ აგრე გენატრება მისი ნახვა?“ ხაზინები!... მარგალიტის თვლები!... მაშინ არც კი მესმოდა თუ რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები! ჩემი სურვილი ამგვარ მაღალ ფარდებიდამ არ მომდინარეობდა. ზამთარში თუ ზაფხულში, როდესაც კი ჩემი მამაბიძები ტყიდამ შინ დაბრუნდებოდნენ ხოლმე, უსათუოდ უნდა მოეტანათ რამე ჩემთვის. ხან მომიტანდნენ გვრიტის ლამაზ კვერცხებს, ან გვრიტის ბარტყებს; ხან მომიყვანდენ პაწაწკინა ჩიტებს, მწყრებს, კურდღლის ბაჭიას და სხვ. ხან კიდევ მოჰქონდათ ლამაზათ დაკროლილი გულსაკსე თხილი, მოწითანო წვრილი წკეპლები, რომლებითაც მე პატარა ლასტებს ვწნავდი ხოლმე და ვუგებდი ფაცრებს ჩვენის მდინარის პაწაწკინტელა ტოტებში. უკველ გაზაფხულზედ ყველა ამას მშვენივრად გაკეთებული და მომართული ასკილის სტვირიც ემატებოდა. ამ დროს ჩემს თავს მე სრულ ბედნიერათ ვგრძნობდი. ყველა ესენი რომ ავიღოთ, შევაჯგუფოთ ერთად და მივაქციოთ ყურადღება მათ გავლენას იმისთანა პატარა სიმონაზე, რო-

გორიც მე მაშინ გახლდით, განა სასაცილო და გასაოცარი იქნებოდა რამ ჩემს ნატვრაში?! მაშინ, რასაკვირველია, ამ გვარ კითხვას მე ვერც მოვახერხებდი და ვერც გავბედავდი მის წარმოთქმას; მაგრამ იმას კი კარგათ ვგრძნობდი, რომ ჩემი დარბაისელნი დამცინარნი ვერ მექცე-ოდნენ სამართლიანად და კარგად. ნაცვლად ჩემი უპრალო სურვილის დაკმაყოფილებისა, ისინი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაოცებით დამცინოდნენ ხოლმე და ეგონათ, რომ ამ გვარის მოქცევით გააქ-რობდნენ ჩემში ამ სურვილს! რასაკვირველია, სცდებოდნენ... გაქრობის მაგივრათ მათმა მოქმედებამ ეს სურვილი გამიცხოველა, გამიცხოველა და ბოლოს ნატვრად გადამიქცია. ამ ნატვრამ სულ მთლად მოიცვა ჩემი არსება. ზევრჯელ თვით მხიარულ მდგომარეობის დროს მომა-გონდებოდა ტყე, ჩემი ნატვრა და ეს მხიარულება წამს სულ მთლად ჩაიფუშებოდა ხოლმე. ერთხელ გადამჯდარი ჯოხის რაშზედ, შემო-ხვეული ჩემი ტოლი ბიჭებით, მე დავქროლავდი ჩვენს მოედანზედ... ამ დროს უცებ მომაგონდა ტყე; განებე ჩემს ამხანაგებს თავი და, ვითომც აქ არაფერი ამბავი იყო, ჭენებით გამოვწიე სოფლისაკენ. შიგ შუა სოფელში აქამომდე სდგას ღვთის-მშობლის დანგრეული ეკკლესია. ამ ნანგრევისაკენ მივმართე ჩემი გზა, რამ მაფიქრებინა ესა, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი. ის კი კარგათ მახსოვს, რომ მე შე-ვედი ამ ნანგრევში, მივედი ღვთის მშობლის ხატთან, დავიჩოქე და ვიწყე გულმხურვალედ ლოცვა: შევსთხოვდი რომ მას მაინც აღესრუ-ლებინა ჩემი ნატვრა...

— ბიჭო, სიმონა შენაა? რას მაიმუნობ შე წუწკო შენა!. მო-მესმა უცებ უკანიდამ. მე მაშინვე ვიცანი ჩემი ბებერი დიდი-დედას ხმა, წამოვხტი ფეხზედ და ფაცხა-ფუცხათ დავეშვი ორღობეებისაკენ. ასე მეგონა ერთი რამ საშინელი, სასაცილო საქმე ვქმენი მეთქი... და მრცხვენოდა, მრცხვენოდა ისე, რომ გადავწყვიტე ვახშმობამდისინ შინ არ შევსულიყავ. მართლაცა და კარგა ხშირბინდი იყო დაცემული, როდესაც მე ჩვენი ბაგის კარები შევაჭრიალე და ჩუმი ნაბიჯით გავ-წიე დარბაზის დერეფნისაკენ. მე მინდოდა შემეტყო იყო შინ ბებია-

ჩემი თუ არა; ან თუ იყო, ლაპარაკობდა რასმეს ჩემზედ თუ კიდეც ელაპარაკნა. ამისათვის მიველი და ავიტუზე კარებთან. დავუგდე ყური, მომესმა ჩვენი აზნაურა დიაკვნის ზაქარიას ხმა.

— მერწმუნე გიორგი, ეუბნებოდა ის მამაჩემს; — მერწმუნე, რომ ესე საყდრის ახლო ცხოვრება შენთვის და შენი ოჯახისათვის არ არის კარგი, ჩემო... (ესე იგი ჩემო ბატონო) მუდამ ღვთის კალთის ქვეშა ხარ; მუდამ ყოველ შენ საქმეს, ჩემო, ზედ დასცქერის დიდი მთავარ-მოწამე გიორგი!

— ვენაცვალე მაგის მადლსა და მაგის სახელსა! გააწყვეტინა მამაჩემმა — დაგვიცქიროს... ღმერთმა ხო იცის, რო ჩემ ოჯახში კაცი არავის მოუკლავს და ნაქურდალი არავის შემოუტანია!

— ჰეი გიორგი, გიორგი — დაიწყო კვალად დიაკვანმა — ღვთისა წინაშე ვინ არის მართალად, ჩემო. შენ იქნება არ იცოდე შენი და შენი ოჯახის შეცოდებანი; ყოველივე ესე კი წინაშე ღვთისა ცხად არს! ამისათვის, ჩემო, გირჩევ რომ აიყარო აქედამ და აი შენ საბძელთან გადასახლდე...

მამაჩემმა ამაზედ რაღაც უთხრა, მაგრამ ვერ გავიგონე. სჩანდა კია, რომ რაღაც გაჯავრებულად უთხრა ჩვენს ეშმაკ და მაცდურ დიაკვანს. დიაკვანი ამის შემდეგ წამოიბარგა და გამოსწია გარეთ, გამოიარა გვერდზედ და ცუღლუტურის ბუტბუტით გავიდა ჩვენის სახლიდამ. ამის გამოსვლის შემდეგ შევიცადე ცოტა ხანს კიდევ და შემდეგ შევაღე კარი და შეველი სახლში. აქ იყვნენ სულ ყველანი: ბებია ჩემი, მამა ჩემი, დედა და სამი ჯერ ახალგაზდა უცოლშვილო ბიძები. წინაპირველად ამათ თითქო ვერ დამინახეს... თავისუფლად ჩავუარე კერას გვერდზედ და დედაჩემს ამოვუჯექ მუხლს ძირას.

— ჩვენო ბერო, ჩვენო ბერო! აცხონე სული თუ არა? დაიძახა უცებ სიცილით უნცროსმა ბიძამ...

— ბერო, ბერო! აბა ერთი გვითხარი რას ლოცულობდი! დაიწყეს აქეთ იქიდამ ყვირილი. ამას მოჰყვა საზოგადო სიცილი. მე ჩავუდე დედა-ჩემს კალთაში თავი და გავინაბე.

— რას მიჭქარამთ მეთქი, ლოცვა რა დასაცინია! მოისმა მამიჩემის ხმა. ამ ხმამ ცოტა არ იყო გამათამამა: თავი ავიღე მაღლა.

— აბა, გენაცვალე შვილო, მითხარი რას ეხვეწებოდი წეღან ღვთიშობელსა... მოვიდა ჩემთან და დაყვავებით მითხრა ბებია ჩემმა.

ამ დაყვავებამ უფრო გამათამამა; მაგრამ პასუხის მიცემას მაინც აგრე რიგათ არ ვჩქარობდი.

— ვეხვეწებოდი — ღმერთო და წმინდა გიორგი ტყე მაჩვენე მეთქი... ვსთქვი დაბალის ხმით შემდეგ ცოტაოდენის სიჩუმისა.

ამ სიტყვებმა ხელმეორედ აღძრა მრთელს ჩვენს დიდს დარბაზში ერთი საშინელი სიცილი და ხარხარი.

— ბიჭო და, რა სანახავია ტყე, რო აგრე გენატრება იმის ნახვა? მითხრა სიცილით უფროსმა ბიძამ.

— შე რა გინდა! ოღონც კი ერთი ტყეში წამიყვანეთ და, ღმერთმანი, სულ მე მოვუდგები ხარებს. — მივუგე მე.

— კარგი შვილო, კარგი! აი ემ ორ დღეში ფიჩხისთვის მოგვიხდება ტყეში წასვლა და შენც მაშინ თან წაგიყვანთ. — დამპირდა მამაჩემი.

— წაიყვან კი არა და აის არ უნდა! — წამოიძახა დედა ჩემმა, — ეგები აიქ ურმიდგან გადმოგივარდეთ სადმე... ნუ შვილო, ნუ წაჰყვები... იქ ისეთი მგლები და ტურები არიან, რო მაშინვე შეგჭამენ.

— სიმონა, დაიძახა ახლა ბებია ჩემმა. — არ წახვიდე შვილო, თორე ტყეში ალი დაგხვდება, წაგიჩქერს ყელში ხელსა და დაგახრჩობს.

— ალი პატარა გოგო არ არი!... ი, როგორ მომერევა მერე!... ვსთქვი მე.

— ალი, ბიჭო, პატარა გოგო კი არ არი, — დაურთო შუათანა ბიძამ. — ალი ეშმაკების დედა-კაცია... ისეთი ლამაზია, ისეთი, რო მზეთუნახავსა ჰგავს. შვენიერი წაბლის ფერი დალალები აყრია ზურგზედა... ჩაჯდება ხოლმე ტყის წყლებში, გაიშლის თმასა, დაისველებს წყლითა და ოქროს სავარცხლით დაიწყებს ხოლმე ბარცხნასა. თუ ამ დროს ადამიანს თვალი შეასწრო, მაშინვე წამოხტება, ეცემა და დაახრჩობს.

— ი წყეული მაან. დონდერით. თურმე. — დაუმატა უნცროსმა ბიძამ.

ამის შემდეგ გაბეს ალზედ ლაპარაკი და თითო რამე ალის ამბავი თითქმის ყველამა სთქვა... სიცილი, ხუმრობა ამ დროს სრულიად გაჰქრა. მათი ალაგი მალმალმა პირჯვრის წერამ და წმიდის გიორგის სახელის მოწოდებამ დაიჭირა. ხალხი არა ხუმრობდა. ამან მალიან, ძალიან შემაფიქრიანა. ვეღარც ვახშამი ვჭამე ხეირიანათ; და მრთელი ღამეც მამლის ყივილამდე არ დამეძინა. ვფიქრობდი ალზედ. თვალ წინ მეხატებოდა ტყე, ამის შუა ალაგას, ვითომც, მოჩანდა პატარა ანკარა მომჩქრიალე მდინარე, რომელშიაც, ერთს მოფარებულს ალაგას, დიდ-თმა გაშლილი იჯდა მშვენიერი მზეთ უნახავი ქალი — ალი. ალი თავის ყუყუნა შავის თვალებით იცქირება აქეთ-იქით. უნდა დაინახოს ვინმე ადამიანი, — მივარდეს და დაახრჩოს... ამ გვარი წარმოდგენანი მეხვეოდნენ გარეშემო მრთელი ეს ღამე. პირველ მამლის ყივილის შემდეგ დამეძინა, მაგრამ კაი ამ დაძინებას! სიზმარში ვნახე ალი და გულგახეთქილმა გავახჭყიტე თვალები. ტყე და ალი ახლა ერთმანეთთან მკვიდრად შეთვისებულ საგნათ გარდიქცნენ ჩემთვის. ერთის ნახვა მენატრებოდა, მეორესი მეშინოდა... როგორ ავცდე ამ უკანასკნელს ისე, რომ მხოლოდ პირველი ვნახო — აი ჩემი ეხლანდელი ფიქრების საგანი! თუმცა ბევრ ნაირად გავწიე და გამოვწიე ეს საგანი, ბევრი ვიბუტბუტე ამის შესახებ, მაგრამ ერთმანეთზედ მაგრა მიკრული ტყე და ალი მაინც ვერ მოვაშორე ერთმანეთს. ბოლოს მაინც ისევ ტყემ აჯობა ალს! გადავწყვიტე: წავალ ტყეში, მაგრამ ჩემს მამა-ბიძათ ერთს ლაჯზედაც არ მოვშორდები. ამ გარდაწყვეტილებით ავდექი დილით. თუმცა ცოტა თავიც მტკიოდა და უხეიროთაც მზმორებდა; მაგრამ მაინც ხმა არ ამოვიღია ამაზედ. გაჩუმებული ვუცდიდი იმ დღეს, როდესაც ჩემი მამა ბიძანი ფიჩხისთვის ტყეში უნდა წასულიყვნენ.

II

ამ დღემაც დიდს ხანს არ მალოდინა. ორი დღის შემდეგ საქამო ჟამზედ მამა ჩემმა გამოიტანა შინიდამ ცული და სამნე ურემს დაუწყო მართვა. ცოტა ხანს უკან ჩემმა ორმა ბიძამ ბაკის კარებთან ერთი სხვა ურემიც მოაგორეს. უღლებს, აპეურებს, და ტაბიკებს დაუწყეს ძებნა და გამართვა. აქედამ ცხადათა სჩანდა, რომ ესენი ხვალ ტყეში წასვლას აპირებდნენ. მამა ჩემს ღრეჯვით მოვაგონე თავისი დაპირება... მან ხელმეორეთ განიმეორა თავისი აღთქმა. მე მაინც მრთლად არ ვენდე ამ დაპირებას: იმ ღამეს უნცროს ბიძასთან, კარზედ ძარ ქვეშ, დავწექი, რომ უფრო კარგათ მეყარაულებინა ტყეში შიმავალთათვის. მეორეს დღეს ჯერ მზეც არ იყო ამოსული, რომ მე თვალებ გაჭყეტილი ვიწექი ლოგინში და გავცქეროდი კონკილებზედ შეყენებულ ურმებს. აგერ მორეკეს საქონელიც და ურმებში და უწყეს შებმა. მე მსწრაფლად წამოვხტი, გადავიცვი ჩოხა, ჩავიცვი ქალამნები და წინ მივეგებე მამა ჩემს, როდესაც ის, კალთაში პურებ გამოხვეული, გამოდიოდა შინიდამ.

— წამოდი, შვილო, წამოდი... მითხრა მამა ჩემმა... და გასწია შებმულ ურმებისაკენ.

მე სიხარულით და ხტუნაობით გამოვუდექი უკან. ტყეში მოდიოდნენ სამნი: ორი უფროსი ბიძა და მამა ჩემი. ამ უკანასკნელმა დამისვა თავის ურმის თავზედ, თვითონ მოუდგა ურემს გვერდზედა და დავძარით ნელნელა ურმები. მუშის სადილობის დრო იქმნებოდა, როდესაც ჩვენ ტყეში შევედით. მართალია ტყე იმისთანა არ მეჩვენა, როგორც წარმოდგენილი მქონდა, მაგრამ აქაურმა სიგრილემ შემდეგ ტრიალ გახურებულ მინდვრის სიცხისა, მრავალმა დიდმა ხეებმა, მათ ფოთოლთ რაღაც საიდუმლო შრიალმა, ათასგვარ ფრინველთა სხვა და სხვა ნაირმა ჭიკჭიკ-გალობამ და კიდევ ბევრმა სხვა რაღაებმაც ისეთ ნაირად იმოქმედეს ჩემზედ, რომ ცოტას ხნობით ალიც კი დამავიწყდა; გახარებული გადმოვხტი დაყენებულ ურმიდამ და გამალებულად გა-

ქანდი თხილის ბუჩქისაკენ, რომელზედაც კუნწულ-კუნწულად იყო დახუნძლული თხილი. ამ ბუჩქიდამ სხვა ამგვარივე ბუჩქი დავინახე; აქედამ ჩიტის ბუდიანი ბუჩქი; იქითკენ ლამაზი სწორე სასახრევე ივნის ყლორტი...... ამ გვარად, ჩემთვის სრულიად შეუ-ნიშნავად, გადავდიოდი ერთი ალაგიდამ მეორეზედ და ამასთანავე უფრო და უფრო ვშორდებოდი ჩემს მამა-ბიძათ. ამ გვარი ჩემი და-შორება ვიგრძენი მხოლოდ მაშინ, როდესაც მე ერთს ჰაწაწა მომჩქ-რიალე მდინარეს წავადექ. ამის დანახვამ რაღაც თავზარი დამცა. კარ-გა ხანს გამოურკვეველი შიშის მეტს მე ვერაფერს ვერა ვგრძნობდი. შემდეგ ამ არეულმა მდგომარეობამ ნელნელა იწყო გარკვევა. ჩემს თავში არეულ საგანთა წარმოდგენათ იწყეს ერთმანეთიდგან განცალ-კევება... ცალკევდებოდნენ თითქო მისთვის, რომ სამუდამოთ მოშო-რებოდნენ ჩემს მოსაზრებას. სათითაოდ და ნელნელა იწყეს მათ გაქ-რობა და ჰქრებოდნენ, სინამ ეს საქმე ჩემთვის სასიამოვნო და სა-შიშარ ორს საგანზედ არ დასდგა. აქ მთლად გამოფხიზლებულ გო-ნებას ცხადათ წარმოუდგნენ ერთის მხრივ ტყე და მეორეს მხრივ — ალი. „ვაიმე დედავ! ეს რა მომივიდა!" წავიბუტბუტე განკალით და სულ გაკმენდილმა მივიხედ-მოვიხედე... სამის მხრივ მე მეხვია თხი-ლისა და მეძვის ერთმანეთზედ გადაბმული ბუჩქები... მაღლიდამ დამცქე-როდნენ უზარ-მაზარი მუხის ტოტები... ისეთი გაშტერებულნი მეჩვე-ნენ ეს ტოტები, რომ მათი ფოთლების შრიალიც არ მესმოდა. ფრინველებთაც ამ დროს, თითქო ყველას ენა ჩავარდნოდათ... მათი ხმა კი არა, ფრენაც არ ისმოდა. რაღაც შეუსაზღვრავი მკვდარი სიჩუმე იყო ჩემს გარემემო! დავუგდე ყური ჩემს მამა-ბიძათ, — ვერცარა იმათი ხმაურობა გავიგონე; მხოლოდ ხანდისხან, თითქო, შორს საიდგანღაც, ცულების კაკა-კუკი გაისმოდა ხოლმე... სხვა არაფერი. „შშშრიიი" მომესმა უცებ წყლიდამ. ცახცახით გავხედე მდინარეს და მომეკვეცა მუხლები. შიგ შუა წყალში მე დავინახე ალი, რომელსაც გაეწეწნა თმა და დინჯად ივარცხნიდა ოქროს სავარცხლით... ამის შემდეგ მე აღარა მახსოვს რა. როგორ გამოვტრიალდი უკან, როგორ შევ-

ძელი ურმებთან მირბენა და როგორ დავიძახე: „მიშველეთ ალი“ — ჩემით მე არა ვიცი რა. მახსოვს მხოლოდ მამი ჩემის სიტყვები...

— სიმონა, შვილო სიმონა, ჩამომძახოდა ის ურემში, როდესაც, თურმე, ცოტა მოვსულიერდი, — მითხარი შვილო, მითხარი — აბა სად არი ალი?

— პატარა წყალში, აიქითა; თავით ჩვენებით წამოვილუღლუღე.

— ამა ბიჭებო, დაუძახა თავის ძმებს მამა ჩემმა, ცულები აიღეთ ხელში და ჩქარა გაიქცეთ... ეგები მოვასწროთ ი. წყეულს და ჩავჩეხოთ წყალში.

აქ ყველანი წამოცვივდნენ ფეხზედ და მოღერებული ცულებით გაექანნენ იქით, საიდამაც მე მოვრბოდი. მე მამა ჩემს ვეჭირე ხელში. აგერ ჩემი ბიძები ყვირილით და კიჟინით მისცვივდნენ მდინარის ნაპირას! აგერ მივედით ჩვენცა, მივედით და დავდექით სწორეთ იმ ალაგას, საიდამაც მე ალი დავინახე.

— აბა, სიმონა, სად იყო ალი, სად? დამიძახეს ბიძებმა.

მე გავიხედე ალისაკენ, მაგრამ იქ ალი ვეღარ დავინახე; მის ნაცვლად სწორედ მის ალაგას ეხლა წყლიდამ ამოჩანდა ყვითელ ხავს მოკიდებული მუხის დიდი კუნძი.

— ამ მაგ კუნძზე იჯდა მგონია, — ვსთქვი მე ცოტა ყოყმობით.

— ეე! შვილოსან, სთქვა მამა ჩემმა, — ჩუმათ უნდა მოვსულიყავით... მოვეპარა თმა და მაშინ რაც გვინდოდა, იმას ვუზამდით... მაგრამ მაინც ეს კუნძი ცუდათ არი ამოყუნტული წყლიდამ... ეს სწორეთ ალის თმის საპარცხნი ალაგი იქნება! აბა ცულები მაგას.

აქ მამა ჩემმა მე ძირს დამსვა; თვითონ წამოავლო ცულს ხელი და გაექანა კუნძისკენ. მას მიჰყვნენ ბიძა ჩემები... სამთავენი შემოუმწკრივდნენ კუნძს გარშემო და გაცხარებით დაუშინეს ცულები...

— ე კუნძი ცეცხლისთვინაც გამოდგება! მხიარულათ დაიძახა ერთმა ბიძათაგანმა.

უცებ წაიქცა მამა ჩემი. უფროსმა ბიძამ დახედა თავის ცულს, ცული ტარზედ აღარ იყო... ქნევის დროს მისი ცული გასხლტა ტარიდამ და პირით შიგ შუბლში მოხვდა მამა ჩემს.

— მიშველეთ, მიშველეთ! დაიძახა მამა ჩემმა, — ბიძა ჩემებმა გაჰყარეს ხელიდამ ცულები, ეცნენ და საჩქაროზედ თავგახეთქილი თვისი ძმა ნაპირზედ გამოიტანეს. გატეხილის შუბლიდამ ჩუხჩუხით გადმოდიოდა სისხლი, ბიძა ჩემები სცდილობდნენ, რომ როგორმე შეეყენებინათ ეს სისხლი, მაგრამ მათი ცდილობა დიდხანს ფუჭად რჩებოდა. ბოლოს ახალუხის მრთელმა კალთამ ძლივძლიობისას შეაყენა სისხლის დენა.

— გაიმე ცოლო და შვილო! სუსტის ხმით დაიკვნესა მამა ჩემმა, — დამდეთ ჩქარა ურემზედ და წამიღეთ შინა!

ტირილით და ვაი-ვაგლახით შევაბით ურმები, დავუდეთ ერთს მათგანზედ მამა ჩემი და სალამოზედ, ფიჩხის მაგივრად, შინ მკვდარი მამა მივიტანეთ: შუა გზაზედ დალია საწყალმა სული.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა წიოკობა გაჩნდებოდა ჩვენს ოჯახში ამ უეცარის და საშინელის საქმის დანახვით! მრთელი ჩვენი სოფელი ფეხზედ დადგა. საკვირველიც არ არის! ეს სიკვდილი ასე უეცარიც რომ არ ყოფილიყო, მამა ჩემი, მაინც ისეთი გულკეთილი და საწყლის შემბრალებელი კაცი იყო, რომ მრთელი ჩვენი სოფელი მას პატივისცემით და სიყვარულით უცქეროდა. მე მაკვირვებდა მხოლოდ ხალხის ლაპარაკი ამ სიკვდილის მიზეზზედ... ამაზედ ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ... ამბობდნენ ვითომც მამა ჩემი პირიანი ქვის სროლით ალს მოეკლას.. ამ ხმამ ცოტა კი არ გვაწვალა! ჩვენი მღვდელი, მაგ. მამი ჩემის ქრისტიანულად დამარხვას არა სჩადიოდა! ალისაგან არის მკვდარიო. სინამ ერთი წითელი ქაღალდი არ აგვაკრა, გვერდზედაც არ მოგვიდგა ის ჩვენა. დამარხვის შემდეგ ამ ხმას ბლაღოჩინამდისინაც მიეხწია... ახლა ის ჩამოგვიხტა სახლში და დაგვიწყო მუქარა: — სუყველას ციმბირში გაგაგზავნინებთო. და გვემუქრებოდა, სინამ ამასაც ერთი თუმანი არ მივეცით. ამ პატივცემულ

სულიერ მამათა ლაპარაკისა და ჯავრობისა მე მაშინ სრულიად არა მესმოდა რა! ვერ წარმომედგინა თუ რას სჩემობდნენ იგინი... ამისათვის მიკვირდა და გაკვირვებული ვიყავი მხოლოდ ყველა ამ ზემოთ ნათქვამის ხმების და ლაპარაკის მიზეზით. როგორ, მამა ჩემი ალმას როდის მოჰკლა? ვეკითხებოდი ჩემს გულში ჩემს თავს და ზედვე მივუდევნებდი ხოლმე ნამდვილ პასუხს — ალმას კი არა — მამა ჩემი ბიძა ჩემმა მოჰკლა.

III

დავმარხეთ მამა-ჩემი, მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამოგვეხსნა ის წყეული ალი. ჯერ სასაფლაოზედ ენახათ ის ვიღაცა მგზავრებს. შემდეგ გავარდა ხმა — ვითომც მამა ჩემი ალს ამოეღოს სასაფლავიდამ და წაეღოს ტყეში. ეს ამბები ჩვენ შეგვატყობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია, რომ მიცვალებულის სულისთვის გვეწირვინებინა, სასაფლავი გვეკურთხებინა და შემდეგ საზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრულიად აღასრულეს ჩვენებმა, მაგრამ კაი ამ აღსრულებას! ამან საშინელი დაღი დაასვა მართლად ჩვენს ოჯახობას და მის მომავალ ბედს. აქამომდე უვალო ოჯახს ამ წირვებისა და კურთხევის მეოხებით ათ თუმანზედ მეტი ვალი დაგვედო. ეს ვალი შემდეგ გადიდდა, გარდიქცა ორმოცათ, სამოც თუმნათ: გავხდით ჩვენ დედა-ბუდიანათ ერთის ურთის მონებათ და ყმებათ. მაგრამ ყველა ეს შემდეგ მოხდა; აწმყო ჩვენი უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუმცა ეს ფული დავხარჯეთ და ყველა ნათქვამი აღვასრულეთ, მაგრამ ალი მაინც ვერ მოვიშორეთ. სასაფლაოდამ შემდეგ თვით სახლში გვეწვია ის. ერთს ღამეს ყველას ტკბილად გვეძინა; წარსულის მწუხარებით და შრომით დაღლილ-დაქანცულნი, ჩვენ, ცოტა არ იყო იმედიანათ დავუწყეთ მომავალს ცქერა. მაგრამ ამ ღამეს სხვა კაი-ვაგლახი მოელოდდა ჩვენს სახლსა. გათენება მოტანებული იქმნებოდა, როდესაც შუა ბანიდამ ერთი ვეებერთელა ქვა ჩამოვარდა დარბაზში და რახა-რუხით დაეცა საკიდელას და კერას. ჩვენ ყველანი წამოვცვივდით ფეხზედ.

— ვინა ხარ, ვინა, შე ოჯახ და სახლ-კარ დაქცეულო! შესძახა ქვემოდამ ერთმა ჩემმა ბიძათაგანმა.

— მე ვარ ალი, გამოგზავნილი წმინდის გიორგისაგან... აიყარენით, აიყარენით, თორემ სულ ერთიანად ამოგმუსრავთ! გარჩევით და ქალურის ხმით მოისმა მაღლიდამ.

ამ სიტყვებმა ყველას შიშის ზარი დასცა. ყველამ ფიცით აღვიარა, რომ უსათუოდ და უსათუოდ ავიყრებით აქედამა. მეორე დღეს, სინამ რომელიმე ჩვენგანი კარზედ გავიდოდა, ეს შემთხვევა თურმე მრთელმა ჩვენმა სოფელმა იცოდა კიდეც. გაჩნდა სოფელში ერთი საშინელი ჭორიკანაობა.

— გენაცვალე ქალო, იძახოდა ერთი, მაგ საწყალ არაშენდაანთალი ახლა სახლში მისჭრომიათ, ბანიდამ ერთი ვებერთელა ქვა ჩაუხლია და დაუძახია: სულ ყველას დაგახჩობთ და ცეცხლს წაგიკიდებთ, თუ აქედგან არ აიყარენითო.

— ქაა და, ეგ კიდევ რა არის იმასთან, რასაც სხვანი ლაპარაკობენ, მისძახოდა მას მეორე: თურმე, გენაცვალე, მისულა ალი და ი სულ წაწყმენდილი ბებერი მაიასთვინ ჩაუძახნია: ჩემო დობილო მაიაო, როგორც აქამდისინ მეხმარებოდი, მამეხმარე ერთი ეხლაცაო: ამომაწყვეტინე ე შენი შვილებიო!

— მერე გენაცვალე, მერე! ი სულ აყეფებულს რა ეთქვა?

— არაფერი, ქალო, იჯდა თურმე ენა-ჩავარდნილივით და უგულმა პირჯვარს იწერდა.

— უუუ, ჩვენ ჩაქოლვასა! ტყუილათ კი არ იძახოდა ჩვენი ღვდელი — არაშენდაანთ მაია კუდიანიაო.

— გენაცვალე და მეტი კუდიანობა გინდა? ჭიაკოკონაობა ღამეს ერთხელაც არ ყოფილა ის შინა...

ბევრი ამ გვარი და ბევრიც ამაზედ უარესები ისმოდა იმ დღეს ჩვენს სოფელში. მრთლად ჩვენს ოჯახზედ და კერძოდ — ჩემს საწყალ დიდ-დედა მაიაზედ. ამ უკანასკნელს გვერდზედ აღარავინ ეკარებოდა: მიმავალი რომ დაენახათ, გარბოდნენ იმისგან, როგორც გიჟსაგან, ან სა-

ოიელიანის ავათ-მყოფისაგან. ყველა ეს ამბები ჩვენ საღამოზედ გავიგეთ. უნდა დაგენახათ როგორი ჭირისუფალივით ტიროდა ამ დროს საწყალი ჩვენი მოხუცებული. მრთელი ის პირველი ღამე მან სულ „ვაი"-სა და „მე ჩაქოლვილის" ძახილში გაატარა. მეორე დღეს თუმცა ძველებურად ადრე ადგა ლოგინიდამ, მაგრამ ისევ მალევე მოუხდა უკანვე მიბრუნება. დაწვა, მოსცა საშინელი სიცხე და იწყო გიჟივით როტვა. მრთელი დღე სულ როტვაში გაატარა. საღამოზედ კი ცოტა არ იყო შესწყვიტა ეს უაზრო ლაპარაკი და ცოტა ხანს უკან კიდეც ჩაეძინა. ვჭამეთ ვახშამი და დავწექით ჩვენც. შუაღამე იქნებოდა რომ უცებ ჩვენმა ავათ-მყოფმა იწყო ერთი გაბმული და შესაზარი ხრიალი. წამოვცვივდით ფეხზედ და შემოვეხვიენით გარშემო — ავათ-მყოფს. ის თვალებ დაჭყეტილი, გაყვითლებული და გაშტერებული იწვა. შემდეგ ბევრის ყვირილისა, ცივის წყლის სხმისა, ცხვირისა და ყურების სრესისა, ის ცოტაოდენათ მობრუნდა.

— რა იყო, დედა, რაი? ჩასძახეს აქეთ-იქიდამ.

— ალი შვილო, ალი... კინაღამ დამახრჩო ი წყეულმა. წამოიკვნესა ბებია ჩემმა.

— სად იყო ი წმინდა გიორგისგან დაწყევლილი!... რა უნდა ი შეჩვენებულ ჩვენგან!... დაიძახა უმფროსმა ბიძამ.

ამის შემდეგ აანთეს სამი თუ ოთხი მკვარი, დაუწყეს ძებნა ალსა: გოდორი, კასრი, იარო, თონე სულ გადმოაბრუნეს და გაჩხრიკეს, მაგრამ ალი იქ ვერსად ვერა ნახეს! თუმცა ალი არსად სჩანდა, მაგრამ მაინც ეს გადასწყვიტეს ჩვენებმა:

— ხვალვე უნდა გადავსახლდეთ აქედამ, ხვალვე!... სთქვეს მათ. ის კი არ იცოდნენ, რომ ხვალ ემისთანა საქმე გამოუჩნდებოდათ, რომელიც ძალა-უნებურად შეაყენებდა ამ განზრახვის აღსრულებას. მეორე დღეს სადილობისას წაიღო თქვენი ჭირი ჩვენმა ბებია მჯიამ. ამ სიკვდილის შემდეგ ხომ სულ მრთლად გადირია ჩვენი სოფელი: ისე დავმარხეთ, რომ სამიოდ კაცის მეტი ზედ არავინ მოგვკარებია!...

— გადასახლდით ხალხო, გადასახლდით აქედამ... გვეძახოდა ყვე-
ლა, ვინც კი ჩვენთან მოვიდოდა, ან ჩვენგანს ვისმე დაინახავდა.

ჩვენც არა იმათზედ ნაკლებ გვინდოდა აქედამ გადასახლება, მაგ-
რამ საქმე იმაში იყო, რომ სახლისთვის მასალა სრულიად არა გვქონ-
და რა. ღმერთმა უშველოთ ჩვენებურებს! გაიგეს თუ არა ჩვენი გა-
დასახლების დამაბრკოლებელი მიზეზი, მაშინათვე შეგროვდნენ კომ-
ლზედ კაცი და თავიანთ ურმებით მოგვიზიდეს ბოძები, თავნეები და
ჭერი... შემდეგ გვიშველეს მათს დათლასა და გასწორებაზედ; ჩვენის
საბძლის გვერდზედ, ცოტა სოფლის განაპირას, სასაფლაოს გადმოს-
წვრივ ამოვთხარეთ მიწა; ჩავსხით ბოძები, დავუწყეთ თავნეები, დავ-
ხურეთ ჭერები; ეს დახურული მიწური გავყავით შუაზედ ლასტით:
ერთი ნახევარი დავამზადეთ ჩვენთვის, მეორე—საქონლისთვის. შემ-
დეგ ძველი დარბაზიდამ გადავზიდეთ იქ რაც კი რამ გვებადა და გა-
დავყევით მათ ჩვენცა. ღვთის მადლით გვეღირსა გადასახლება!...

IV

ნათქვამია: „კაცს თუ ბედის ჩარხი ერთხელ უკუღმა დაუტრიალე-
და, სულ უკუღმა იტრიალებსო". ჩვენც მართლა ასე მოგვივიდა. გა-
დავსახლდით, მაგრამ ახალ და ახალ უბედურებათ მაინც კიდევ ვერ
დავემალენით. ჩვენი გადასახლება მოხდა შემოდგომის დამდეგს. ამ
დროს კარგა ლაზათიანად ციოდა და რავდენიც დღე გადიოდა, იმ-
დენი უფრო და უფრო ცივდებოდა; სჩანდა, რომ ამ წლის ზამთარი
მწარე გვეწვევოდა, იქნებოდა სუსხიანი და, ვინ იცის, ხანგრძლივიც.
ჩვენი ახალი მიწური კი სრულებით არ იყო ამისთვის მომზადებული:
ჩვენ არ გვქონდა არც ალიზი, არც ფიცრები, და ქვით-კირზედ ვინ-
ღა იფიქრებდა, რომ ნოტიო შიშველი მიწის კედლები დაგვეფარა და ამ
გვარად აგვეშორებინა მათი ცუდი გავლენა ჩვენს ჯანმრთელობაზედ. ამის
გამო ჩვენს სახლში მუდამ ცუდი შმორის სუნიც იდგა და საშინლად
ციოდა კიდეც... მაგრამ ყველა ამას წინა-პირველად ყურადღებაც არ

მივაქციეთ: ორი თუ სამი კვირა მხიარულად გავატარეთ. მგონებ, მეოთხე კვირას ერთს საღამოს ჩემი უნცროსი ბიძა გაცივა; იმ ღამესვე საშინელს თავის-ტკივილს და სიცხეს უჩიოდა. მეორეს დღეს ლოგინიდამ ვეღარ აახწია! გავიდა კიდევ ერთი დღე და ჩვენს ავათ-მყოფს ცხადათ გამოაჩნდა საოფლის ნიშნები. რასაკვირველია, ამ ამბავმა ავათ აგვირია თავზედ ბალანი; მაგრამ სასოებას მაინც არა ვჰკარგავდით. „რა უშავს! საოფლე, მართალია, ხათაბალაა ჩვენის სოფლებისთვის, მაგრამ რაც უნდა იყვეს ეს მაინც ადამიანური რამეა! ოღონდ ეშმაკობა კი მოგვშორდეს, თორემ საოფლეს როგორ ვერ გავუძლებთ!“ ასე ვფიქრობდით ჩვენა და ვიმშვიდებდით გულსა. ავათ-მყოფი უფრო და უფრო ცუდათ ხდებოდა... ერთხელ გულდამშვიდებით ვისხედით ყველანი ცეცხლა-პირას და ჩუმად ვღოღნიდით ვახშამს.

— მიშველეთ, მიშველეთ!... შეჰყვირა ერთის შესაზარის ხმით ავათ-მყოფმა და წამოვარდა ზეზე! ჩვენც წამოვცვივდით ფეხზედა, მაგრამ სანამ ჩვენ ავათ-მყოფთან მივიდოდით, იმან იშვირა ფეხი, გამოხტა კარაზედ; გაექანა და შეძვრა თაროს ქვეშ. ჩვენ შემოვეხვიენით გარშემო.

— ბიჭო, ძმაო ალექსი, რა იყო რაი? დაუძახა მას უფროსმა ბიძამ.

ამ სიტყვებმა, თითქო, გამოაფხიზლეს ავათ-მყოფი: ის წამოხტა უცებ ფეხზედ და დაიწყო დინჯად, ჭკვიანურად:

— მიშველეთ! თქვენი ჭირიმე!... ალი მახრჩობს, ალი!

სიტყვა „ალის“ ხსენება და ჩვენი ენის ჩავარდნა ერთი იყო! სიტყვა ვეღარავინ ვერ მოახერხა... ისმოდა მხოლოდ რაღაცა შესაზარი ჩუმი კვნესა. ყველას სახეზედ ცხადათ იხატებოდა სიტყვები: აქაც გამოგვყვა ის წყეული, დავიღუპენით სულ!...

დიდს ხანს ვიდექით ჩვენა ასე გაშტერებულები და, მგონებ, კიდევ დიდს ხანს დავრჩებოდით ასე, თუ რომ ჩვენს ავათ-მყოფსავე არ გამოვეყვანეთ ამ მდგომარეობიდამ. იმან ერთი კიდევ შეჰყვირა — ალი,

ალიო; შემდეგ დაიწყო მუშტების ქნევა, გადახტა ცეცხლზედ და გულ-გაღელილი დაეცა თავის ლოგინზედა.

— ნუ გეშინიანთ ადამიანებო, გვითხრა დედა ჩემმა,—ეგ სიც-ხისაგან როტავს.

— და რაღა ალი წამოაროტვინა სიცხემ! გულ-ამოსკვნით სთქვა მუათანა ბიძამ.

ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ყველანი ჩუმათ ვიყავით; ყველანი ამ ჩვენს ახლანდელს უბედურებაზედ ვფიქრობდით. „მართლაცა და,—ვამბობდი მე ჩემს გულში,—რაღა ალი წამოროტა! ან კიდევ განა როტვასა ჰგავდა მისი დინჯათ და ჭკვიანურათ წარმოთქმული სიტ-ყვები? არა, არა, სწორეთ თან გადმოგვყვა ალი, სწორეთ უნდა ამოგ-ვწყვიტოს ყველანი.“ ამ ფიქრების შემდეგ მომაგონდა ტყე და იქ ალის ნახვა, მომაგონდა მამა-ჩემი და ყველა ის ხმები, რომელნიც კარგა ხანს ტრიალებდნენ ჩვენს სოფელში ალისა და ჩვენზედა... ბო-ლოს თვალ-წინ ჩვენი აწმყო მდგომარეობა წარმომიდგა. ყველა ამ მოგონებ-წარმოდგენით მე საშინელმა ცახცახმა ამიტანა!...

— მიიიშველეთ, მიიშველეთ!... ალი მოდის, ალი! არიქა, აგერ შემოაღო კარები!...... დაიღრიალა კვალად ლოგინზედ წამომჯდარმა ავათ-მყოფმა.

მე მივიხედე კარებისკენ. ყურებმა წივილი დამიწყეს, მუხლები მომეკვეთა! კარებში მე მართლა ალი დავინახე.

— ალი, ალი!... დავიძახე და მოვეხვიე დედა-ჩემს.

რა მოხდა ამის შემდეგ მე გარკვევით არა მახსოვს რა!... იმ ღამესვე მე მომცემოდა საშინელი სიცხე, დამკარგოდა მაშინვე მო-საზრება და დამეწყო როტვა, რომლის საგნათ მომეტებულად, თურ-მე, ალი იყო. მრთელი ცამეტი დღე მე ამ გვარ მდგომარეობაში ვყოფილვიყავ... მეთოთხმეტე დღეს მომსვლოდა ოფლი და სადამო-ზედვე პირიქითა ქვეყნისკენ მიქცეული პირაქეთისკენ მოვბრუნებულვიყავ. მეორე დღეს მოსაზრებაც, ცნობაც და გაგებაც კვალად დამიბრუნდნენ. წინადპირველად, რომ მოსაზრებით გავახილე თვალები და ჩვენს მიწურში აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე, მე კარგახანს ვერ მოვიაზრე სად და რო-

გორ ვიყავი. შემდეგ მომაგონდა ჩვენი გადმოსახლება, მომაგონდა რომ ამ გადმოსახლებასთანავე ჩვენ სოფელს შეგქიდგა, რომ ამ სა-ოფლით ყველაზედ უწინ გახდა ავათ ჩემი უნცროსი ძმა, ალექსა, მომაგონდა სადაც ის იწვა და ნელ-ნელა გადავიხედე იქითკენ. ის ალაგი ეხლა ცარიელი იყო, მაგრამ ცოტა აქეთ კი ვიღაც, ალექსაზედ უფრო დიდი,—იწვა. დედა ჩემი ცეცხლს პირას იჯდა და ქვაბში თითქო რაღასაც ხარშავდა... დრო-და-დრო გამოშვებით მისგან ისმოდა დაბალ-ხმიანი ზუზუნი და ამ დროს მის ლოყებზედ განუწყვეტლად მისდევდა ცრემლი-ცრემლსა.

— დედა, დედა... დავიძახე სუსტის ხმით

— რა გინდა, შენ თავშემოგევლე, რაი? სიხარულით წამოიძახა მან ცეცხლთანვე და ბარბაცით გამოექანა ჩემსკენ.

— ალექსი სად არი დედა? დავეკითხე.

— ალექსი, შვილო, კარგა გახდა და ეს არი ეხლა კარზე წავიდა,— მომიგო მან.

— ეს ვიღა წევს აქა? თვალებით უჩვენე მწოლარზედ.

— ეგა, შვილო, ბიძაშვილი ნინიკაა! დღეს ცოტათი შეამცივნა და წამოწვა.

სამი-ოთხი დღის შემდეგ, როდესაც ცოტა უფრო კარგა გავხდი, თვით დედა-ჩემისაგანვე შევიტყე, რომ ყველა ეს სიტყვები ჩემს დასამშვიდებლად იყო ნათქვამი... სინამდვილე კი მდგომარეობდა შემდეგში: ალექსი ერთი კვირა წოლილიყო ლოგინში და მერე მომკვდარიყო; იმის დამარხვის დღესვე გამხდარიყო ავათ შუათანა ბიძა, ნინიკა. ამან, თურმე, ერთი პირველ ღამეს კი დაიყვირა — ალი, ალიო, და შემდეგ მისგან არავითარი სიტყვა არავის არ გაუგონია. მხოლოდ დღისით ხანდისხან თურმე წამოჯდება ლოგინში და რაღაზედაც იღიმება, იცინის; ღამე კი ბევრჯელ გაბმულად და გაურჩევლად ბუტბუტობს და ხან წიხლებსაც იქნევს ხოლმე.

— ნინიკა, ნინიკა რასა იქ, როგორა ხარ? დავუძახე მას, როდესაც ყველა ეს შევიტყე დედი-ჩემისაგან.

ამ დაძახებას წინა-პირველად ნინიკამ თითქო ყურადღებაც არ მიაქცია: ის კარგა ხანს ჩუმათ იყო; შემდეგ ნელ-ნელა წამოიყელყელავა, გადმომხედა და, რა კარგა გამარჩია, დაიწყო ჩუმათ სიცილი.

— ნინიკა, გიამა, შვილო, რო შენი სიმონა კარგა გახდა? დაუძახა მას დედა ჩემმა.

— ხა, ხა, ხა, მიამა, მიამა, ხა, ხა, ხა... ხმა-მაღლივ დაიწყო მან სიცილი და ძახილი. ამის შემდეგ ისევ წაწვა და თუმცა ბევრი ვეძახეთ, მაგრამ ერთხელაც აღარ გამოგვცა ხმა.

— რათ არის ეგ ეგრე? ვკითხე ჩუმათ დედა-ჩემს.

— ჩვენის ცოდვის კითხვათ არის, შვილო, ჩვენის ცოდვისა, — მამიგო მან. ავი სული დაეცა ერთ ღამეს თავზე და მასუკან ეგრე გასულელდა. არაფერი არა სტკივა რა, სიცხე არა აქვს და წევს კი ეგრე; თუ ვეტყვით ადექიო, ადგება; თუ არა და ეგრე გაჩუმებული წევს... მე დღევანდლამდინ ასე მეგონა — დამუნჯდა მეთქი ეგ უბედურის-შვილი!

— დათუა სადღა არი? ვკითხე უმცროს ბიძაზედ.

— ის გაიხიზნა, შვილო, რო ვენახისთვის მოევლო და ჩვენთვისაც გარედამ ეპატრონებინა! მამიგო დედამ.

ასე, ოთხი სული დავრჩენილვიყავით მარტოკა... ერთმა ამათგანმა — თქვენი ჭირი წაიღო, მეორე გასულელდა, მესამემ საოფლე კარგათ იხადა, მეოთხე, დედა-ჩემი, კი ისე საღათ დარჩა, როგორც საოფლემდის იყო. ამათ და ამ გვარად გავატარეთ მრთელი ორი თვე. შემდეგ რა კი ორმოცი დღე გავიდა და ავათ აღარავინ არ გაგვხდომია, მეზობლებმა იწყეს ნელ-ნელა ჩვენთან სიარული... დათუაც ისევ ჩვენთანვე დაბრუნდა; ძველებურადვე გავუყავით თავი ჩვენი პირუტყვულ-ჭლამიანურ ცხოვრების უღელში.

V

გაიარა რამდენიმე წელიწადმა ამ საოფლის შემდეგ! ამ დროს განმავლობაში ბევრმა კოკა პირმა წყალმა ჩაიარა ჩვენი მდინარის კა-

დღეებთ შუა; ბევრ-ნაირად იცვალა ფერი ჩვენის ოჯახის მდგომარეობამაც! ბიძა ჩემი ნინიკა დარჩა ისე სულელად. მას თითქო ამ ქვეყნისა არაფერი არ ესმოდა: დაგლეჯილ ყისინის ჩოხაში გამოხვეული ის მუდამ ტრიალობდა თავის შინაგან ქვეყანაში. სხვას ათასჯერაც რომ დაეძახნა ის ერთხელაც არ გასცემდა ხმასა, მაგრამ თავის-თავს კი თითქმის ყოველ წამს ესაუბრებოდა... სხვასთან ერთის მცირეოდენათ თუ გაიღიმებდა, თორემ სიცილი და ხუმრობა მას სრულიად ეჯავრებოდა; მარტოკასთვის კი რომ გეცქირნათ, ან ყური დაგეგდოთ, თქვენ უსათუოდ, არა ერთხელ დაინახავდით მის ხელების ქნევას, არა ერთხელ გაიგონებდით მის სიცილს... ხალხში რომ ყელიც გამოგეჭრათ, ის თითსაც არ გააქნევდა; მაგრამ შენი მტერი თუ შემდეგ სადმე მარტოკა შეხვდებოდი: თვისის ღონიერის მკლავებით მაშინვე დაგცემდათ ძირს და სინამ ერთს კარგა დათვურად არ დაგტორტნიდათ, ხელიდამ არ გაგიშვებდათ. კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ერი, მღვდელი — მისთვის სულ ყველა ერთი იყო; ყველას ერთის საზომით ზომავდა, როდესაც ეს საქმე მისთვის საჭირო იქნებოდა. მაგრამ ყველა ამასთან ის იყო საშინელი ბეჯითი მუშა: ზამთარ თუ ზაფხულს მის ხელში საქმე არ გამოილევოდა. მომეტებულად მას უყვარდა ვენახი და იქ მუშაობა. გაზაფხულდებოდა თუ არა ის მთელს დღეს ვენახში ატარებდა. ჩვენი ოჯახი დღეს თითქმის სულ მთლად მასზედ იდგა. უმფროსმა ბიძამ — დათუამ, — ცოლი შეირთო, დაწვრილშვილდა და ბოლოს დასნეულდა კიდეც. რაც შეეხება დედა-ჩემს, ეს სწორეთ გასაკვირველი ადამიანი იყო. კარგი ოჯახის ქალი, ის გათხოვების შემდეგაც თავ-დაპირველად კარგს შემძლე გლეხურ ოჯახში დატრიალდა; ამის გამო მან არ იცოდა, თუ რა იყო სისაწყლე; არ გამოეცადა შიმშილი, სიტიტვლე, ძნელი და გაბმული მუშაობა; მაგრამ დღეს, როდესაც ყველა ესენი თავზედ დაატყდა, ის თითქო სრულიად შეჩვეული დახვდა ამ ამბავს. მთელის ოჯახის უკუღმა დატრიალებამ და სხვა ათას-გვარმა ცუდმა გარემოებამ მასზედ თითქო არავითარი გავლენა ვერ მოახდინეს. ის მოთმინებით და შრომით უდგა წინ აწმყო გა-

ჭირვებას და რაღაცა გაურკვეველის იმედით შეჰსცქეროდა მომავალს. ესრეთი გახლდათ ჩვენი ოჯახის თვითეულ პირთა აწმყო მდგომარეობა. რაც შეეხება საზოგადოთ მთელის ოჯახის მდგომარეობას, ეს უფრო სამწუხარო იყო პირველზედ. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ ჩვენი დაძაბუნებული ოჯახი დღეს ერთი ურიის ყმათ გარდაიქცა. ჩვენს მხარეში ყველამ კარგათ იცის ხახამ გაზრულას სახელი. აქამომდე მისი თამასუქები, რკინის ბადესავეთ, არიან გადაშლილნი მთელს ჩვენის მხრის გლეხობის შრომასა და ოფლზედ თვისის ეშმაკობით, ულმერთო სარგებლის აღებით, ჩინოვნიკების მოსყიდვით და მათ შემწეობით გლეხთა ტვინის წოვით, ის, უწინ ერთი ღატაკი მეწვრილმალე, რამდენიმე წლის განმავალობაში გამოჩენილ მდიდარ კაცად გარდაიქცა. ყველამ კარგად ვიცოდით მისი ულმერთობა; ყველას გაგვეგონა თუ სამი ლიტრა მარილის ფასი ხუთის წელიწადს როგორ გარდუქცია ოც-და-ათ თუმნათ ერთს გლეხსა! შემდეგ უჩივლა, წაართვა ვენახი, ნაფუძარი და ღვთისა ამარას გაუშვა მათი საცოდავი პატრონი. ვიცოდით ყველა ესენი და კიდევ ბევრი სხვა რამე, მაგრამ რა გვექმნა?... გაჭირვების დროს მაინც ისევ მას მივმართავდით ხოლმე, რადგანაც კარგათ ვხედავდით, რომ მის მეტი გზა ჩვენს ბედობაზედ სხვა არ იყო გაჩენილი. მივმართეთ კიდეც როდესაც გაჭირვება დაგვადგა! ათი თუმანი თავნი ვალი ხუთი წლის განმავალობაში ორმოც თუმნათ გაგვიხადა. დაგვაწერინა ორმოცი თუმნის ახალი თამასუქი და შემდეგ წაგვიჭირა ყელში ხელი: — გინდათ თუ არა მალე უნდა მამცეთ ეს ფულიო. საიდამ მივცემდით! ჩვენს დანავებულს ოჯახს სად ჰქონდა ან ათი თუმნის გადახდის შეძლება! მოვიდოდა, გვეჩხუბებოდა, გვლანძღავდა, გვემუქრებოდა და, რა დაიღლებოდა ამ გვარის ყაყუავით, მოგვშორდებოდა ხოლმე თავიდამ. მაგრამ ამ გვარი მისვლა-მოსვლა მას ბევრჯელ არ გაუმეორებია: სამიოდ ამ გვარის შემთხვევის შემდეგ ის როგორღაც გაგვიჩუმდა: ორი თვე მეტი გავიდა, მისი სახე აღარ დაგვენახა. ეს, დედი-ჩემის მეტს, ყველას გვამხიარულებდა; დედი-ჩემის სახე კი სხვა გვარად იცქეროდა!

რამდენიც დრო გადიოდა და ხახამ გაბრუღა გვიძირებდა თავის ნახ-ვას, იმდენად დედი-ჩემის სახე სევდისა და მწუხარების ნისლებით იფარებოდა.

— ის ურჯულო უსათუოდ ჩვილს გვიპირებს, მამულს წაგვარ-თმევს!... კვნესით იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი.

VI

იყო გრილი, მშვენიერი გაზაფხული. ამწვანებულ ველ-მინდორს გაჰქონდა მწვანეთ ღაღანი; ზამთრისგან გაუკლეფელი ხეები საამუ-რად იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით. ლურჯი არა ხშირ ღრუბლიანი ცა რაღაც იმედიანად იცქირებოდა ზემოდამ; ნოტიო, გრი-ლი ჰაერი თითქო კოკიშირულად გვასხავდა საიდგანღაც ძალას, სიხა-რულს და შრომის სურვილს. ჩვენს შრომის მოყვარე გლეხს ამაზედ მეტი რაღა უნდა?... ჩვენებურ გლეხთ, დაინახეს რა ყველა ეს, წა-მოავლეს ხელი ბარებს, წალდებს, სასხლავებს... ვენახებში გაჩნდა სა-რის ჩეკვის კაკა-კუკი, გაისმა მხიარული სიმღერა... იწყო გაცხარე-ბულმა მუშაობამ. ჩემი ბიძებიც, რასაკვირველია, არ იყვნენ სხვებზედ უკან ჩამორჩომილნი. მათაც ვენახის შემუშავებას მიჰყვეს ხელი. დაბა-რეს, გასხლეს და შესარეს; ამოუთხარეს გვერდებზედ სარუო თხრი-ლები, გაასწორეს ღობე და სადაც საჭირო იყო დაადვეს ჯალჯი. ერ-თის სიტყვით ვენახი ახალი პატარძალივით მორთეს. გაიარეს კვი-რეებმა, თვეემ... ვაზი შეიმოსა ფოთლით... ყურძნის მტევანთ იწყეს შევსება და გადიდება. ეტყობოდა რომ წელს კარგი ღვინის მოსავა-ლი იქნებოდა.

ერთს კვირა დღეს, წირვის დროს, ჩვენებურმა მამასახლისმა შემოაჭრიალა ჩვენი კარები და შემოიძახა სახლში:

— ბიჭო, დათუა! გამოდი ე საყდრის კარებთან, შენზე ცოტა რამ საქმეა.

დათუა მაშინვე ადგა და წავიდა; მის გასვლის შემდეგ ნინიკა-მაც აიღო წალდი ხელში და გასწია ვენახისაკენ. კარგა შუადღე გად-

ვხდა და ჯერ არც ერთი, არც მეორე ბიძა სახლში არ დაბრუნებულიყვნენ. დედა-ჩემმა ამოზილა ლობიო, ამოიღო კიდობნიდამ მჭადის ნახორხლები და ნელ-ნელა ჯამებსაც ალაგებდა ხონჩაზედ, რომ უცებ დერეფნიდამ მოისმა რავდენიმე ადამიანის ფეხის ხმა და ლაპარაკი. ცოტა ხანს უკან გაიღო კარები და დარბაზში შემოვიდა ბიძა-ჩემი დათუაც, მას შემოჰყვა მამასახლისი, ორნი მისნი თანაშემწენი, ხახამ გაბრულა და ერთი ვიღაც რუსულად ჩაცმული — სასამართლოს ბოქოული — როგორც შემდეგ შევიტყეთ. ათასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, ვგონებ, მაინც არ დამავიწყდეს ბიძა ჩემი დათუას მაშინდელი სახის გამომეტყველება! სახის კი არა მარტო, მრთლად მისი არსების მდგომარეობა. ამ ნახევარ დღეს ის, ოც-და-ათის წლის კაცი, სამოცის წლის მოხუცებულს დამსგავსებოდა. წელში საცოდავათ მოკაკულს, გაყვითლებულს, თვალებ მიცვივებულს მას, დამპალს ჩუსაჯუბ, გაჰქონდა ძანძარი. წინა-პირველად ის თითქო ვერაფერსა ხედავდა: იჩერჩეტა, იჩერჩეტა და კინაღამ კერას გადააწყდა. დედა-ჩემმა მათ შემოსვლის დროს ერთი ღრმად ამოიკვნესა და მიჯდა თაროსთან. ჩვენ, სხვებს, დათუა მთვრალი გვეგონა.

— ვაცო, რა დაგმართვია შე ოჯახ-დაქცეულო! დაუძახა მას ცოლმა, — ე კერაზე თავ-პირი არ დაიმტვრიო!...

ამ ხმამ დათუაც თითქო ღრმა ძილიდამ გამოაფხიზლაო. ის შესდგა კერასთან, მწუხარეთ აგვავლო-ჩაგვავლო თვალი და, რა დაინახა დედა-ჩემი, ერთი საშინელის ხმით დაიძახა:

— ჩემო რძალო, ქეთევან... ვაი ოჯახის დაქცევასა! ამ ურჯულომ, ამ თათარმა ურიამ აკი მართლა დაგვღუპა!... უჩივლია, უჩივლია!... ვაი, ცოლო და შვილო დაღუპულო!!....

დედა-ჩემი წამოვარდა ფეხზედ, დარეტიანებულსავით ზარდაცით და თავის ცახ-ცახით მოვიდა ცეცხლა პირას...

— მერე, მერე? ჰკითხა მაზლს.

— ვენახი გაგვიყიდეს, ვენახი, ვენახი... ვაი ცოლო და შვილო! ნაფუძარი გაგვ......

— აკი წინათვე გული მიტყობდა! ეგ ურჯულო ეგა!... ცრემლით თვალებ სავსემ წამოიკვნესა დედა-ჩემმა.

ამის ცრემლებმა და მომტირალე ხმამ ბავშვებსა თუ დიდებში აღძრა ერთი საშინელი ტირილი და ჯღავილი. კაცს ეგონებოდა ამ ხალხს ცხედარი უძევთ წინაო. ყველანი ვტიროდით, მაგრამ დათუა!... დათუა!... ეს დაგლეჯილი დათვივით ღრიალებდა.

— ე რა ამბავია ეე! ჩემი რჯულის მადლმა აქ კაცს არ დაედგომება ეე!... სთქვა ხახამ გაბრიელამ და გასწია კარებისაკენ.

დანარჩენთ მის მეგობართ დათუას დაუწყეს ბრძნულად დარიგება...

— ე მაგ ტირილს, შვილოსანა, ის სჯობია, რო ე დამშეულ ხალხს გვაჭამო რამე!... დააბოლოვა მამასახლისმა საერთო დარიგება.

— გაჭამოთ კი არა, შავი ქვა არ გინდათ!... თქვე სულთა-მხუთავებო, თქვე კაცის მკვლელებო თქვენა!... დაიძახა გამწარებულმა დათუამ.

— ე ჩემი გასამჯელო მამეცით მალე!... ბრძანების კილოთი წარმოსთქვა სასამართლოს ბოქაულმა. მარტო თქვენთან ხომ არ მოვსულვარ, სხვაგანაც მაქვს საქმე.

— რამტენი მინანთულია, ბატონო, იოსებ?... ცულღუტურის თვალების ჭყეტით ჰკითხა მას მამასახლისმა.

— თორმეტი მანეთი და ათშაურ-ნახევარი!... ბრძანა ბოქაულმა.

— თორმეტი გროშიც არ გვაბადია! რა უნდა მოგცეთ!... ვენახი ნაფუძარი წაგვართვით და კიდევ ჩვენ უნდა მოგცეთ? ღმერთი მოიგონეთ, თქვე სახლ-კარ-დაქცეულებო, ღმერთი!... დაიძახა დედა-ჩემმა.

— მე შენისთანა დედა-კაცებს პასუხს არ ვაძლევ! ბრძანა ბოქაულმა.

— აბა ხვაპერასნთ ბაბალესავით თურაშაულით სავსე გოდრები მოგართვათ, თუ პასუხმოთვარ ჯამცე მაშინვე! აბა მედუქნე მიხაკასავით ცოცხალ-ცოც-

ხალი გაპოლეტები მოგართვა, თუ მაშინვე მოწყალეს თვალით არ და-
მიწყო ცქერა!... სთქვა გაცხარებით დედა-ჩემმა.

— შენს სიტყვებს, დედა-კაცო, რა ფასი სძევს!... ყველამ იცის რომ მე ქრთამს არ ვიღებ და საწყალი ხალხი მებრალება... ბრძანა ამაყად ბოქაულმა ცოტაოდენის სიჩუმის შემდეგ.

— ჰო, სიტყვით თურმე ეგრე ბრძანებ ყველგან: საწყალი ხალხი მებრალებაო... აბა ერთი ბრძანე—რომელი საწყალი კაცისთვის ერთი ორათ არ გამოგირთმევია ფული!... მიუგო დედა-ჩემმა.

— ამდენ ცილის-წამებას მე შენ არ შეგარჩენ! ბრძანა დაბღვერით ბოქაულმა და მიუახლოვდა მამასახლისს; წასჩურჩულა მას რაღაც ყურში და დასდგა დინჯ-შემოყრილი. მამასახლისი წამოყელყელავდა და მრისხანეთ ბრძანა:

— როგორ თუ არას მისცემთ? მაშ ე ჩინოვნიკი კაცი თქვენი მოსამსახურე ყოფილა რაღა!... ეი, სუდაებო! წადით და ბოსლიდამ ფურ-კამეჩი გამოიყვანეთ...

მამასახლისის თანაშემწენი დაიძრნენ კარებისკენ.

— ფურ-კამეჩი ჩემია და ჩემი ცოცხალის თავით არავის დანებებ... დაიძახა დედა-ჩემმა—და გაჰქანდა კარებისკენ.

ამ დროს ბაკიდამ შემოისმა ჯერ რაღაც ხრიალი და შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყვირილი:

— მიშველეთ ეე, მამკლა...ე... მიშველ...ეე...

— არიქა უშველეთ, დაიძახა მამასახლისმა: ალბათ ი გიჟმა ნინიკამ ჩაიგდო ხელში ხახამ გაბრუელა! არიქა უშველეთ!...მაგ მამაცხონებულს ვენახში აგი ვეუბნებოდი თავი დაანებე მა გიჟსა მეთქი...

ყველანი გაცვივდნენ ბაკში. გაბრუელა ზედ ბაკის კარებში იყო გაჭიმული; მას გულზედ აჯდა ნინიკა; ცალი ხელით მას დაებღუჯნა მრთლად ყელი და კისერი გაბრუელასი და აზრობდა; მეორე ხელი წავლო წვერში და ისეთი ღონივრად ახლევინებდა თავს მიწაზედ, რომ სამ-ოთხ ალაგიდამ თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი ურიას.

მამასახლისი და მის თანაშემწენი მისცვივდნენ ნინიკას, გადმოაგ-

დეს აქეთ და შეუბრალებლად დაუშინეს ჯოხები. ნინიკა იდგა ჩუმათ და მხოლოდ საცოდავათ იღრიჯებოდა; ხანაც, როდესაც ძრიელ ეტკინებოდა, რაღაცა პირუტყვისაებ შეჰღმუვლებდა ხოლმე. სამი კაცი ულმერთოთ სცემდა მას და სცემეს, სინამ დედა-ჩემი არ ჩადგა მათს და მათ მსხვერპლის შუაში. დედა-ჩემი დაინახა თუ არა მამასახლისმა, შესდგა, მიიხედ-მოიხედა და დაიღრიალა:

— გამოიყვანეთ, ბიჭებო, ფურ-კამეჩი, გამოიყვანეთ ჩქარა!

სთქვა მამასახლისმა და თვით გასწია ბოსლისაკენ; თანაშემწენი გამოუდგნენ უკან. დედა-ჩემმა წამოავლო იქვე ახლო მდგომ ნიჩბის ტარს ხელი და გაექანა ბოსლის კარებისკენ.

— ეგ თავს მოვიკლავ და კამეჩს კი არ დაგანებებთ...დაიძახა მან — და ჩასდგა ბოსლის კარებში.

— ჩამოდექ, ჩამოდექ, დედა-კაცო, დაიყვირა მამასახლისმა და გაიშვირა წინ ხელები, რომ დედა-ჩემი აქეთ გამოეგდო, მაგრამ დედა-ჩემი მაგრა იდგა კარებთან.

— რას უყურებთ! შეუტია მომცინარ თანაშემწეთ მამასახლისმა — მოდით, გადააგდეთ იქით ე გაკაპასებული დედა-კაცი!

სამთავენი მიეხვივნენ დედა-ჩემს. გაჩნდა ლანძღვა, წყევლა, წივილ-კივილი. ამ კაი-კაგლახში უცებ აიმართა ჰაერში დედა-ჩემის ნიჩბის ტარი და მოსხლეტით დაეშვა მამასახლისის თავს. მამასახლისმა თავზედ ხელების სმით იკადრა უკან დაწევა... ნიჩბის ტარმა წამ-და-უწუმ იწყო ჰაერში ტრიალი. თანაშემწეთ მოუსვეს ბაგის კარებისკენ; მამასახლისი, ბოქოული მიჰყვნენ მათ უკან. დედა-ჩემიც არ იდგა ერთს ადგას: ის სრულიად სახე შეშლილი, გამგელებული მისდევდა მათ უკან და კარგი კაჟ-კაცივით ატრიალებდა ნიჩბის ტარს მათ თავებ ზემოთ.

— დედა-შვილობას მიშველე, ქეთევან ეგ.. მიშველ.. მოისმა უცებ ძახილი.

დადა-ჩემი გაიქცა ურმისაკენ. როდესაც ყველანი დედა-ჩემს მიეხვივნენ ბოსლის კარებთან, ხახამ გაბრულას უცებ ეცა ნინიკა და საჩ-

ქაროზედ ამოიღო ქვეშა .. წელანდლისავეთ დააჯდა ზემოდამ და წაუჭირა ყელში ხელი...

— აუშვი, აუშვი ეგ თათარი, ეგა... აუშვი ბიჭო, ექ ცოდვა არა შეგვენთხვეს რა! დაუძახა დედა-ჩემმა ნინიკას და წაავლო მას ხელი. ნინიკა „ჰჰე“ „ჰჰეეს“-ს ძახილით ადგა. ხახამი საჩქაროზედ წამოხტა ფეხზედ და ფაცხა-ფუცხით გავარდა ბაკის კარებში... დედა-ჩემმა ჩაკეტა მაგრა ბაკის კარები. დაბეჟილი გაბრულა მიუყერდა თავის პატიოსან ამალას, რომელიც შეჯგუფული იდგა ბაკის კარების ცოტა შორი-ახლო. ამ დარბაისელმა ხალხმა ერთმანეთს აავლო-ჩაავლეს თვალი: ურიას და მამასახლისს პირი სისხლითა ჰქონდათ შესვრილი.

— ვაი, დედი-ჩემის ღმერთსა! იძახოდა მამასახლისი, ერთმა წუპაკმა დედა-კაცმა ე რა გვიყო! ღმერთია შენი თავდები, ხალხში თავი აღარ გაგვეყოფება ..

— აი დასწყევლა ჩემმა გამჩენმა წმინდა გიორგიმ ეგ დედა-კაცი!... მისძახოდა მამასახლისს ერთი თანაშემწეთაგანი... ე რა გვიყო შენი ჭირიმე!... რათ გამოვიქეცით კაცო! რატო, შვილოსან, ი კარებში არ წავაქციეთ და თავის ლეჩაქით ერთი..... არ შევაჭამეთ.

— ტყუილათ კი არ არის, ძმაო, ნათქვამი: დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარიც ვერ შეიმაგრებსო! მაგრამ დედა-კაცში, ძმაო, სწორეთ ალი ზის... ე წმიდი გიორგის მადლმა ალი ზის!... თავი გამიტეხა მა ოჯახ-დაქცეულის გამოცემულმა!

— მოდი ერთი ე თავი შემიხვიე ეე... დაუძახა მოლაპარაკეს გაბრულამ: უნდა უსათუოთ ვიჩივლოთ ეე...

— უნდა ვიჩივლოთ!... დაურთო მამასახლისმა: მაშ არა და ეგრე გავუშვებთ...

— აკი გითხარით: ფულები გაბრულამ უნდა მამცეს და არა მაგაითა მეთქი... სთქვა ბოქოულმა — აიჩემეთ — არა იმათაც გამოვართვათო!... კარგები გამოართვით! ექ ღმერთი არ გაგიწყრეთ — არ უჩივლოთ, თორემ ეს საქმე სულ მე მაშეხვევა თავზე... ისევ ისა სჯობიან აქვე შინაურულათ გადაახდევინოთ.

იყაყანეს კიდევ რაღაებზედაც და შემდეგ ამალა შემოეხვია თავის ბატონს — ხახამ გაბრიელას და დაუწყო გასამჯელო ფულის თხოვნა. გაბრუებამ ბევრი იყოყმანა: უნდოდა თავიდამ აეცდინა ფულის გაცემა, მაგრამ ვერა გააწყო რა და ბოლოს ამოიღო ქისა. ხუთი მანეთი მამასახლისს მისცა, სამ-სამი მანეთი მის თანაშემწეთ . . თხუთმეტი მანეთი სასამართლოს ბოქოულმა ჩაიდო ჯიბეში . . . და წავიდ-წამოვიდნენ.

VII

ურიისა და მის ამალის გაცლის შემდეგ დათუა გააცივა და ჩაწვა ლოგინში. მრთელი ერთი კვირა ივახვახა. მეორე კვირას თუმცა წამოდგა ლოგინიდამ, მაგრამ იყო საშინლად დასუსტებული და გაყვითლებული მამაკვდავისავით. ამ გვარ მდგომარეობაში მყოფი დათუა ერთს თბილს საღამოს იჯდა ჩვენის ბაკის კარებთან და ნაღვლიანად გაიცქირებოდა სასაფლაოსაკენ. დათუას სახე ღრმა მწუხარებით იყო დაფარული. ყოველი გამოხატულება და მოძრაობა მის სახისა ცხადათ აჩვენებდა ამ კაცის სულისა და გულის სრულს დაცემას. მისი ჩაცვინული, მიცივებული თვალები ისე დაღონებით და რაღაც სასოებით იცქირებოდნენ სასაფლაოსაკენ, თითქო მათი პატრონი იქ დამარხულ გვამთ შენატრისო. დიდს ხანს იჯდა დათუა ესე გაჩუმებული; ბოლოს გაანძრია თავი, სამჯერ ოთხჯერ გულიანათ ამოიკვნესა; შემდეგ ისევ სასაფლაოსაკენ მიიხედა, აავლო-ჩაავლო თვალი იქაურობას და მაღალის ხმით, თითქო უნდოდა ეს სიტყვები გაეგონებინა მათთვის, ვისკენაც იყვნენ მიმართულნი, დაიძახა: ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ! ამის შემდეგ მან ისევ ჩაღუნა თავი და, როგორც მის ცრემლით სავსე თვალებს ეტყობოდა, გაება ისევ სამწუხარო ფიქრებში...

მზემ კარგა ხანია რაც ჩაუშვა თვისი „შუბის ტარი“ სხივები დასავლეთის მთებისკენ. მისი საღამოჟამური ყვითელ მოწითალო სხივები მხოლოდ აქა-იქაღა იყვნენ გაწოლილნი დიდის მთების ჩრდილით დაფარულ, ათასფერად აჭრელებულს ველს — მინდორზედ. საღამოჟამური ბინდ-ბუნდი ნელნელა ეხვეოდა ბარ ალაგს; მაგრამ თოვლით

მოსილი მაღალი მთის წვეროები კი ამ დროს მხიარულათ გამკაშობდნენ: დამავალი მზის სხვა და სხვა ფეროვანი სხივები უხვად მოჭფენოდნენ მათ და ჭიადავდნენ რაღაც საოცარს ელვარებას. უღონოსის დამტკბობი მინდვრის ჭაერი ნელნელა ინძრეოდა და ამ მოძრაობით არხევდა მწვანე თავთავიან ყანებში ზღვის ტალღების მსგავსს ამაღლებულ და დადაბლებულ ზოლებს. ფრინველთ გალობა — ჭიკჭიკი, საქონლის ბღავილი, ადამიანის სიმღერ-ხმაურობა ერთი-ორად აცოცხლებდნენ უამისოთაც გაცოცხლებულ გაზაფხულის ბუნებას. მაგრამ... ჯანაბას ყველა ესენი!!. რას ნიშნავს ბუნების სიმშვენიერე, თუ კი ადამიანის გულსა და სულში აღგზნებული ცეცხლი ანთია! თუ ნამდვილი მშრომელი ადამიანის არსება ცხოვრების უმსგავს გარემოებათა წყალობით ისე დატანჯულა და იტანჯება, რომ ჯამიწებული გვამის მდგომარეობა მისთვის სანატრელი გამხდარა!! ჩვენი დათუა ყველა ამ ბუნების სიმშვენიერეს თითქო ვერც კი ხედავდა. ის მწარედ დაღონებული თავჩაკიდული იჯდა და, გგონებ კიდევ დიდს ხანს იჯდებოდა ასე გაუნძრევლად, თუ მოსული ღორ-ხბოს ნახირის ჭყვირილ-ბღავილს არ გამოეყვანა ამ მდგომარეობიდამ. მან აიღო თავი მაღლა და გახედა სოფლისკენ მიმავალ შარა-გზას. გზაზედ მოჩანდა ვიღაც კაცი. წინაპირველად ის დათუამ ვერ იცნო, მაგრამ რა ცოტა ხანი გავიდა და მომავალი მოუახლოვდა დათუამ გაარჩია, იცნო, რომ ის იყო აზნაურა ზაქარია დიაკვანი. გავიდა კიდევ რამდენიმე წამი და ზაქარია დაღვრემილის სახით, თვისის პლუტურის თვალებით და ცბიერის განუწყვეტელის ფრუტუნით დაადგა თავს ჯანგამოცლილს დათუას.

— მობრძანდი, მობრძანდი ზაქარია! დაუძახა მას კვნესით დათუამ... დაბძანდი შენი ჭირიმე...

— რა ამბავია კაცო თქვენს თავს, — ფლიდურ-ჯავრიანის კილოთი დაუწყო კითხვა დათუას ახლად მოსულმა, როდესაც მანაც ჩამოსაჯდომი ქვა იშოვნა: ღმერთის მოწამე, ჩემო, რომ თქვენი ესეთი ყოფა ყველასთვის შესაწუხარია! ნათელ-მირონებიც რო არ ვიყვეთ, ჩემო, ქრისტიანები და მეზობლები ვართ. ვფიქრობ და ვერა მოვიფიქრებ რა — რა არი და როგორ არი ე თქვენი საქმე, ჩემო.

— რა როგორ არი, ჩემო ზაქარია, იწყო კვნესით დათუამ, — ვიღუპებით და ეს არი! ვენახი, ნაფუძარი წაგვართვეს! რაღა ოჯახია, ჩვენი ოჯახი... ღმერთმა აიღო ჩემზედ ხელი!... ჩვენი უბედურება ი წყეული ალიდგან დაიწყო... მე ეხლაც ისე ვფიქრობ, რო ი წყეული ახლა უჩინრათ გვდევნის! ღმერთო, ღმერთო იდიდოს შენი სახელი!... გვაპატიე შენს მადლს და შენ სახელსა! გვეყო ამდენი ვაი-ვაგლახი.

დათუა დაჩუმდა... მისი ცრემლით სავსე თვალები მიაჩერდა ზეცას... მისი სახის გამომეტყველება ცხადათ აჩვენებდა, რომ ამ საცოდავ იმედ დაკარგულ კაცს ბევრი რამ ნუგეში აღარც იქიდამ, იმ მაღალი ლურჯი ციდამ, ელოდა.

როგორც მეძებარი ძაღლი აიცქვიტს ხოლმე ყურებს, როცა ნადირის სუნს აიღებს, ანუ ნადირს დაინახავს, ისე ზაქარია დიაკვანმა აცქვიტა ყურები, როდესაც დათუამ სიტყვა „ალი“ წარმოსთქვა. მის ჭყეტია თვალებში უცბათ გაიელვა რაღაც სიხარულის და კმაყოფილების შუქმა. მაგრამ პატრონმა დიდს ხანს არ დასტოვა იგინი ამგვარს ნეტარებაში, თვალებმა ისევ დაღვრემილი სახე მიიღეს...... მათმა პატრონმა ამოახრანტალა და გაუგრძელა ბაასი დათუას.

— გონიერი და გამოცდილი კაცი ხარ დათუა: ჩემგან, ჩემო, რისამე მოგონება შენთვის, ჩემო, საჭირო არ არი. შენ, ჩემო, ეხლა სწორე თქვი რო ჩვენი უბედურობა ალის გამოჩენიდამ იწყოვო! მეც ეგრე ვფიქრობ. მაგრამ ე დღეს ალი რო აღარა ჩანს და მაინც თქვენი ოჯახი სულ უკუღმა და უკუღმა მიდის. ალი, წმინდა გიორგის მადლით აღარსადა სჩანს, მაგრამ ე თქვენ, ჩემო, რო მაინც ვერ გაიმართეთ წელი! ეს რა არი? რისგან არი? აი ეს მინდა გავიგო. აქ დიაკვანი გაჩუმდა და თვალებ დაჭყეტილი, ტუჩებ მოკუმშული შეაჩერდა დათუას დაღვრემილს სახეს.

— აგი მოგახსენე, რო იქნება ი წყეული ალი ახლა უჩინრათ გვდევნის მეთქი!...

— ღმერთ ერწმუნე დათუა, რო გონიერი კაცი ხარ შენა, ჩემო. შეიძლება, როგორ არ შეიძლება!... მე, ჩემო, ცხონებული ბიძა ჩემი

შალვასაგან გამიგონია, რო წყეული, თუ ჩამოეკიდა ვისმეს, უჩინრათაც დაუწყებს დევნასაო. შენი სიტყვა მართალია დათუა, მართალი!

დათუამ ამოიკვნესა!... დიაკვანიც ცოტა ხანს გაჩერდა. შემდეგ უცებ ფეხზედ წამოხტა, დაუდგა წინ დათუას და სახე აღტაცებით უთხრა:

— იცი დათუა რას გეტყვი!... აკითხვინე მკითხავს! ე ეშმაკეუ-ლელა მკითხავი ხო გაგიგონია როგორ კარგა მკითხაობს! აკითხვინე შენცა, ჩეო... ჰა!...

— განა არა მეცა ვფიქრობდი მაგაზე... ძაან კარგი იქნება... ხვალვე გავგზავნი ჩემ რძალს მკითხავთან...

— იცი დათუა რას გეტყვი? ეს ჩვენ შუა დარჩეს და გირჩევ, რო შენი ცოლი გაჰგზავნო! რაც უნდა იყვეს რძალს ისე არ შესტკივა მაზლისთვის თავი, როგორც ცოლს ქრმისთვინა!

— მართალი ბძანებაა შენი ჭკიმე!... ჩემი რძალიც ძაან დედა-კაცია!... მაგრამ ისა სჯობია რო ჩემი დედა-კაცი წავიდეს... დათუა გაჩუმდა... მაგრამ ცოტა ხანს უკან საჩქაროთ მიიხედა ზაქარიასკენ და დაეკითხა:

— მართლა, ზაქარია, რა ისმის ი რაღაც ყარაიაა ბმაზე... ი ერთ დროს ძაან დაფაცურდა ჩვენი ხალხი და ეხლა კი თითქო აღარა. ისმის რა!...

— რა ბძანებაა! როგორ არ ისმის რა!... სიხარულით შესძახა დიაკვანმა,—ვენაცვალე ჩვენ რუს ხემწიფეს!... დიდ წყალობას უშვრება ჩვენ შევიწროებულ ხალხსა... გაიგონებდი შენცა, ჩეო, რო ხემწიფემ გვსცა ბძანება — რაც რამ ყარაია არისო სუ კარგათ შეამზადეთო: გაიყვანეთ წყლებიო, შეიმუშავეთ კარგათაო, დადგით ქვითკირის სახლებიო, მიიტანეთ ყველა სამუშაო იარაღებიო, მიიყვანეთ ბლომათ მშვენიერი არჩეული საქონელიო; მერმე შეატყობინეთ ქართველ შეძლებულ გლეხებსაო და უთხარით მათაო, ხემწიფემ, ჩეო, ყველა ეს სულ თავის ხარჯით მოგიმზადათ თქვენაო და ვისაც სურვილი გქონ-

დეთ და წადით და დასახლდით იქაო... ხარჯისაგან და ყველა ღავიდარაბისაგან განთავისუფლებული იქნებითო, ჩეო... ახლა ისიც უნდა გაიგო, რა მოსავლიანი ადგილია თურმე ი დალოცვილი ყარაია, ჩეო!... ცხენი რო გააჭენო და იმისგან აჩინჩქნილ მიწაში პური ან სიმინდი ჩათესო — სულ ზღვათ გასკდება თურმე... სამიოდ კოდი რო დათესო თურმე რავდენიმე წლის მოსავალი მოგივა... ახლა ტყე თქვი, რა ტყე და ისიც იქვე ზურგს უკან... ერთი რამ აკლია თურმე, ჩეო, იქაურობას: მუშა კაცი არ არის... ღმერთს ერწმუნე, ქ თქვენი ნინიკა რო იქ მოხვდეს, ყოველ წლივ ორას-სამას კოდს წმინდა თავთუხის პურს ჩაყრის ორმოებში... აქ მობაასე დასდგა და შეხედა მსმენათ გარდაქცეულ დათუას.

— მე და ჩემმა ღმერთმა კაი ღვთის წყალობაა ეგა! ერთი სახემწიფო ხარჯისაგან და ბეგარისაგან გათავისუფლება ერთ რამეთა ღირს, ძმაო! თუ ეგრეა მაშ ბევრი ხალხი გაიწევს იქით...

— ეს სულ ესეა... ყველა ეს, ჩეო, ჩემა ძმა ანდუყაფარმა მითხრა... და ხო იცი რო იმას თითონ ხემწიფისგან მოსდის ახალ-ახალი ამბები... მართალია ყველა ესა და ამისთვინაც, ჩეო, დიდძალი ხალხი აპირობს იქ წასვლასა... მაგრამ, ჩეო, მომეტებული მათგანი მერმის გაზაფხულზე აპირობენ გამგზავრებას... ვინც, ჩეო, წრეულსვე წავა, ვთქვათ შემოდგომაზე, იმისთვინ მაან კარგი იქნება... სახლსაც, მამულსაც, სახნავ-სათეს იარაღსაც, საქონელსაც — სუყველას აირჩევს და რომელიც მოეწონება იმას თავისთვინ აიღებს. როცა სხვანი მერმის მივლენ, ის დასახლკარებული დახვდება იმათა... ჩეო!

დიაკვანი გაჩუმდა; დათუაც არ იღებდა ხმას; ეტყობოდა რომ ის რაღაც სასიამოვნო ოცნებაში იყო გაბმული. ეს შენიშნა დიაკვანმა, ჩაახველა, ულვაშებ ქვეშ გაიღიმა და შემდეგ წამოდგა ფეხზედ.

— მშვიდობით დათუა! ღმერთსა და წ. პატიოსან წმინდა გიორგისა ვთხოვ, რო ისევ კარგა გახდე და ვაჟკაცურათ მოისვა ისევ თავზედ ხელი... ფიქრი ნუ გაქვს, ღმერთია მოწყალე: ხემწიფე ცოცხა-

ლი გვყვამდეს, თორე რა გაგვიჭირდება... სთქვა ყველა ეს ზაქარიამ და ნელნელა გაუდგა თავის გზას.

— გადღეგრძელოს ღმერთმა, მისძახა დათუამ... შენი ამაგი გადამახდევინოს უფალმა წმინდა გიორგიმა...

— მკითხავი არ დაივიწყო, მკითხავი... მოისმა დიაკვნის ხმა.

დიაკვანი დაბრუნდა შინ... ფაცა-ფუცით შეკაზმა ცხენი და კარგა ხშირ ბინდის დროს დაადგა სოფელ ქემაკეულისკენ მიმავალ გზას. დათუა კი ისევ გაშტერებულად იჯდა თავის ალაგზედ და ფიქრობდა, ფიქრობდა ყველა იმაზედ, რაც ზაქარია დიაკვნისგან გაიგონა ეხლა..., სიამოვნება და სევდა თითქო ერთმანეთს ეხუტებოდნენ მის გულში; ხან ერთი სჭარბდა დათუას სახეზედ, ხან მეორე. მას წარმოუდგა თვალ წინ თვისი სიყმაწვილე, ის ალაგები, ის ხალხი, სადაც და რომელთა შორის ეტარებინა დრო იმ ნეტარ სიყმაწვილეში... წარმოუდგნენ ნათესავნი, ნაცნობნი, შემდეგ დედა, მამა, ძმები, მათი საფლავნი... და მწარეთ ამოიკვნესა დათუამ... „არა, არა ძმაო, სადაც დაბადებულხარ, იქვე ჩაყარე შენი ძვლები“—სთქვა მან და წამოიწია ზეზედ. მიიხედ-მოიხედა და ისევ დასჯდა თავის ალაგას. გაება კვალად ფიქრებში... ახალი ფიქრები დათუას თავში მამხრემის სიკვდილიდამ გამოებმნენ... წარმოუდგა დათუას ალი, მის გამოჩენა ჩვენს სახლში და ის მისი უნარები, რომელთა მეოხებით დაეცა ჩვენი სავსე ოჯახი. მოაგონდა დედისა და ძმების სიკვდილი და გაგიჟება, ვენახ-ნაფუძრის წართმევა... საქონლის დახოცვა, თვისი დასნეულება და სხვა წვრილმანი უბედური ოჯახური გარემოებანი—ყველა ამათ აუჩქარებლად და ცხადათ გაუარეს დათუას გონების თვალ წინ და არა ერთი მწარე შხამი ჩააგდეს მის, უამისოთაც, დატანჯულს გულში... შემდეგ ჩაუთვალა მის წინ ყველა ის, რაც ზაქარია დიაკვანმა დაუხატა ყარაიაზედ... „ღმერთმანი, ძაან ღვთის წყალობაა ესა!... წაიბუტბუტა თავისთვის დათუამ... „მაგრამ, დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ — ე ავათ რო ვარ!... ღმერთო შემიწყალე! ღმერთო და წმინდა გიორგი შენ წამიმართე გზა—მკითხავი არ დაგავიწყდესო... მართლა... აქ დათუამ გასწყვიტა ფიქრი... მიიხედ-მოიხედა.

თითქო ემჩზს რჩსმეო, შემდეგ დაებჯინა ჯოხზედ, ნელნელა წამოდგა და, საოცლე მოხდილ ავათმყოფსავით, ლასლასით გასწია მინისაკენ.

— დედა-კაცო, დაიძახა დათუამ სახლში შესვლის უმალვე, — დედაკაცო, ეგები ხვალ ეშმაკეულში წახვიდე და აკითხვინო... ამბობენ — ძაან ტუობულობსო. ეგები ე ჩვენიც შეიტყოს რამე.

— მე წავალ, ჩემო მაზლო, უთხრა დედა-ჩემმა: სალომეს არა სცალიან: ძუძუ მწოვარი ჰყავს და ე გოგო მარუასაც გაატივა.

— არა მეთქი, არა!... დაიყვირა დათუამ... და ჩემი ცოლი წავიდეს.

დედა-ჩემი გაჩუმდა. დათუას ცოლმა, სალომემ, გამოაცხადა სურვილი ეშმაკეულში წასვლისა

— ხვალ მზე ამოვა თუ არა, სთქვა მან, წავიყვან ნინიკასა და წავალ...

ამის შემდეგ ილაპარაკეს მასზე თუ რას გაგება სურდათ იმ მკითხაობით: დააწყეს როგორ და რა უნდა ეკითხნა სალომეს მკითხავისთვის... რა გაათავეს ეს ლაპარაკი, შევჭამეთ ვახშამი და მივწექმოვწექით.

VIII

მეორე დღეს სამხრობამდისინ ვუცადეთ სალომეს, მაგრამ კარგა ხშირბინდამდისინ ამაო იყო ჩვენი მოლოდინი. საღამოზედ ყველანი ერთად ვისხედით ბაგში ძარის ქვეშ და, მგონი, ყველანი სალომეზედ ვფიქრობდით... ნახირის მოსვლის შემდეგ ბევრს ხანს არ გაუვლია, როდესაც გარედამ ბაგის კარებისაკენ მოისმა ადამიანის ფეხის ხმა, ყველამ ყურები ვცქვიტეთ... „მოდიან მგონი“ სთქვა ვიღამაც მართლაც და ამ დროს ბაგის კარებმა გაიჭრიალა და შიგნით ნინიკა და სალომე შემოვიდნენ. წინაპირველად ყველა ჩვენგანს გაეხარდა მათი დანახვა, მაგრამ სალომეს მოწყენილმა სახემ მალე გაჰფანტა ეს სიხარული.

— რა ქენი ადამიანო? სად იყავ აქამდისინ? გაისმა დათუას ხმა სალომეს გამოჩენასთანავე.

— უბედურებასა და ჯანაბაში, მოკლეთ და ნაღვლიანათ სთქვა ჯერ ისევ მომავალმა სალომემ... ამ სიტყვებმა ჩვენ ცივი წყალი გადაგვასხეს თავზედ. ცოტა ხანს ჩვენ შორის დაურღვეველი სიჩუმე დამყარდა.

— რა მილეთის ხალხი გინდა, რო დღეს მკითხავთან არ ყოფილიყო, დაიწყო სალომემ — ოსი, იმერელი, სომეხი, ურია, ქართველი და ვინ იცის კიდევ ვინა!... რო მივედით მკითხავის სახლი სულ სავსე იყო ხალხითა... ბევრი წავიწიეთ წინა, მაგრამ არავინ გვიშვებდა... დავსხედით და დაუწყეთ ცდა; საშხრობის დროს ძლივს გვიშველა... შევედით... ტახტზე იჯდა ჯერ ისევ ახალგაზდა დედა-კაცი, ხელში ანთებული სანთელში ეჭირა... წინ ედო ერთი დიდი ხარის თეთრი ბეჭი... ვინც შევიდოდა, უნდა მივსულიყავით იმასთან, თავი დაგვეკრა, მიგვეცა სანთელი და ფული და მერმე გვეკითხნა, რისაც გაგება გვინდოდა... მეც ესე ვქენი... მაგრამ, გენაცვალე, რეები მითხრა, რეები!!...

— რეები, რეები?... მალე თქვი ქალო ერთი და!... მიატანა დედა-ჩემმა.

— რა რეები, და ჩვენი უბედურებაები!... განაგრძო სალომემ, — ისე დაწვრილებით მითხრა ჩვენი ოჯახის თავგადასავალი, ისე დაწვრილები, რო სულ გამაოცა!. „თქვენაო, მითხრა მკითხავმა, — ემ ათოთორმეტის წლის წინათ კარგი შეძლე ოჯახიშვილები იყავითო, მაგრამ მერმე შემოგეჩვიათ წყეული ალიო; მოგიკლათ ჯერ ოჯახის მეუფროსე კაციო, მერე დედაკაციო, მერე ახალგაზდა ბიჭიო, გაგისულელათ ერთიცაო, მაგრამ არც ამითი დაგჯერდათ ისაო... შეუჯდა ერთ ვიღაცა ურიას, ვისიც თქვენ რაღაც ფულები გმართებოდათ, შეუჯდა იმასა, გაახდევინა ათიოდ თუმანი ორმოც-სამოც თუმნათაო, აჩივლინა მერე და წაგართვათ ვენახ-ნაფუძარიო...

— დიდება შენ სიცხოველესა დიდო პატიოსანო წმინდაო გიორგი!... პირჯვრის წერით და ჭერებში თვალების შეჩერებით გააწყვეტინა დათუამ ლაპარაკი სალომესა.

— მაგრამაო, განაგრძო სალომემ, — თქვენ მაინც ყურს არ იბერტყავდით... ასე გეგონათ რა კი აღარ გვიყვირის და აღარ გვეჩვენება ალი ეს არის და ეს მოგვშორდაო; მოგვშორდათ კი არა, იმან თქვენ სახლში დაიბუდაო...... დაგისნეულათ ოჯახის მეუფროსე კაციო!...

— ეიპე, ეიპე! რა თვალთმაქცი ყოფილა შენი ჭიიმე ი დედაკაცი!.. დაიძახა აღელვებით დათუამ.

— ახლა უნდაო, განაგრძო ისევ სალომემ, — ბავშვებს და ქალებს უნდა მიყოს ხელიო... თქვენი ხსნა ერთი იმაშიღა არისო, რო აიყარნეთ და სადმე შორს გადასახლდეთო. თუ ესე არა ქენით, ალი სულ დედა-ბუდიანათ მუსრს გაგადენთო.

აქ სალომე გაჩუმდა. დედა-ჩემი მკვდარივით გაყვითლებული იჯდა; დათუას სახეს კი აგრე რიგათ არა ეტყობოდა რა.

— არა გვშორდება ი წყეული! სთქვა დინჯათ დათუამ, — მაშ ავდგეთ და გადავსახლდეთ!

— რასა ამბობ, ჩემო მაზლო, სად უნდა გადავსახლდეთ! დაიძახა გამწარებით დედა-ჩემმა, — ვიღაცა წუპაკმა, ქვეყნის მატყუარა დედაკაცმა რო რაღაც სხვისგან გაგონილი ილაპარაკოს, განა იმიტომ ჩვენ უნდა ავიყარნეთ და ცხრა მთას იქით გადავცვინდეთ!

— უი, ქალო, ღმერთი იწყენს! წუპაკს როგორ ეუბნები ი ღვთის ადამიანს! ხო გაიგონე რა დაწვრილებით მითხრა ჩვენი ოჯახის თავგადასავალი! უთხრა წუწუნით სალომემ დედა-ჩემსა.

— ჩვენი თავგადასავალი, ჩემო სალომე, მიუგო დედა-ჩემმა, — ეშმაკეულმა მკითხავმა კი არა, მთელმა ამ მხარემ შეიტყო. ქალაქის პირიდამაც კი მოდიოდნენ და გვეკითხებოდნენ ხოლმე ალზედა! მკითხავიც გაიგონებდა და ისე გეტყოდა ყველაფერს.

— ჩემო რძალო, დაიწყო დათუამ,—ერთი ყური დამიგდე აქეთ!... მკითხავს ბევრი მართალი უთქვამს. თუ მართლა კიდევ ალი არ იყვეს ჩვენზე შემომდგარი, მა რა არი ჩვენი ოჯახის სულ ასე უკუღმართად წასვლა!... მამული წაგვართვეს, საქონელი თითქმის სულ გაგვიწყდა, მე დავსნეულდი, ე ბავშვები სულ ავათ არიან; მა რა არი ესა? ახლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მამული აღარ გვაქვს ჩვენა. ჩვენი ოჯახი თუ ერთხელ ოჯახი იყო, იყო იმითი რო ოთხი ძმანი ვიყავით, ვიღებდით სხვის მამულს საღალოთ და ამითი სარჩოს ვიძენდით! ჩვენ რა მამული გვქონდა?—ერთი ვენახი, ორი ნაოგუძარი, ერთი მინდვრის მიწა და ე სახლკარის ალაგი... სხვა რო არაფერი? ვენახი და ერთიკაი ნაოგუძარი წაგვართვეს! რაღა შავი ქვა დაგვრჩა? ღმერთის შუნი თავდები, ე ნინიკა რო არ იყვეს სულ შიმშილით დავიხოცებით. ავდგეთ, გადავსახლდეთ სადმე: მოვშორდეთ ამ დაწყევლილ ალაგსაც და ეგებ მამულ-დედულიც ვიშოვნოთ რამე.

— უნდა, უნდა გადავსახლდეთ სადმე, თორემ, წმინდა გიორგის მადლმა, ე ბავშვები სულ გაგვეჟლიტება! სთქვა სოფიომ.

— სადა ადამიანებო, სადა, სად უნდა გადავსახლდეთ! ვინ გიჟი გადმოგვიყრის მამულს! დაიძახა დედა-ჩემმა.

— სადა და ყარაიაზე! მოკლეთ მიუგო დათუამ.

— ჰო, გენაცვალე! დღევანდელი დღე მკითხავის ბაკში სუ მა ყარაიაზე ლაპარაკობდნენ. აქებდნენ, ისეთი აქებდნენ რო ჰა! ცოტა ცხელაო, მაგრამ რა უშამს! მოსავალი თურმე ზღვათა სდება, ზღვათა! თითონ მკითხავი ყოფილა როდისღაც იქა... არც აგრე რიგათ შორს არისო... მკითხავმა თქვა: ორი დღე კიდევ მიხვალ და კიდევ მოხვალო!... სთქვა სხვა-სხვათით სალომემ.

— მოსავლიანი ალაგი ძალიან არი, დაიწყო დათუამ,— თუმცა ორი დღე კი არა—ოთხი დღე მოუნდება მარტო იქამდინ მისვლასა!... ხემწიფეს სულ მოუმზადებია ყველაფერი: სახლი, კარი—მიდი და დასახლდი, მაშინვე თურმე მშვენიერ მიწებს დაგიზომავენ და მოგცემენ... მაგრამ ყველაზე კარგი ის არი, რო ხარჯისა და ბეგარისაგან

განთავისუფლებული იქნები... ამბობენ: იქ არც სულის - მემამულისობა იქნებაო!...

— ვინ გითხრა ყველა ეგა? ვინ იცის მართალია, ეგა თუ არა? უკმაყოფილოთ დაეკითხა დედა-ჩემი.

— ახირებული დედა-კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, შესძახა გაჯავრებულათ დათუამ — რა ვინ მითხრა შვილოსან! ყურები არ მასხია თუ? ეს ერთი წელიწადია, რაც მთელი დუნია მაგაზე ლაპარაკობს. აი ხუპრეთიდამ ე გაზაფხულის დამდეგს კიდეც წასულა აქა ორიოდ-სამი სახლობა.

— გადავსახლდეთ, გენაცვალე გადავსახლდეთ ჩვენც იქა! მხიარულად დაიძახა სალომემ.

— არა, გენაცვალე, სთქვა დედა-ჩემმა: მე აქედამ ფეხსაც არ მოვიცვლი.

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ილაპარაკეს იმავე საგანზედ... დათუას უნდოდა, რომ მე და დედა-ჩემიც თან წავყოლოდით; დედა-ჩემი იდგა უარზედ. ბოლოს დაადგნენ შემდეგ გადაწყვეტილებას: დათუა თავის ცოლ-შვილით და ნინიკათი შემოდგომაზედ ზამთრის საგძლით უნდა გაუდგნენ ყარაიის გზას... ორი კამეჩის საყიდლათ და საგზავრო ფულის საშოვნელათ გაჰყიდონ ნაფუძარი... მე და დედა-ჩემი უნდა დავრჩეთ ჩვენს სოფელშივე... მინდვრის მიწა და კარ-მიდამო გვარგუნეს ჩვენ...

IX

შემოდგომაზედ ეს გარდაწყვეტილება მართლა სისრულეში მოიყვანა ჩვენმა უამისოთაც დაძაბუნებულმა ოჯახმა. ზაქარია დიაკვანმა სწორეთ ნახევარ ფასათ დასტყუა დათუას ნაფუძარი. ამ ფულით დათუამ ორი კამეჩი იყიდა, მიუერთა მათ ორი შინაური ხარიც; შეაბა ურემში, ჩასხა შიგ ცოლი და შვილი თავიანთ რავდენიმე თვის საგძლით და შემოდგომის ერთს გრილ დღეს დაადგა ქალაქის გზას. მე

და დედა-ჩემი დავრჩით მარტოკანი. აზნაურა დიაკვანი ბევრი ეცადა, რომ ჩვენც მათ თან გავეყოლებინეთ; ხან დაგვყვავებდა, ხანაც ჯავრობდა; ერთს დღეს მეზობლური „ნათელ-მირონული“ დარიგებდა, მეორეს დღეს —მტრული მუქარა; —ყველა ეს ცდანი თვითმკვლელად იხმარა აზნაურმა ჯერ თვითონ და მერე თვისი კუდების მოგზავნით, მაგრამ დედა-ჩემი მაინც ერთსა და იმავეს ადგა და გაიძახოდა: „მე ჩემის ცოცხალის თავით ამ არე-მარეს არ მოვშორდებით.“ მართლაც არ მოშორდა. დათუა წავიდა; დავრჩით ჩვენ, დედა-შვილნი. დედა-ჩემმა ხელითნაწერის წერა-კითხვა კარგათ იცოდა; ამასთანავე საკერავითაც გათქმული იყო ჩვენს სოფელში. შეაგროვა სოფლის გოგო-ბიჭები და წელიწადში ოროლ-კოდ პურათ დაუწყო მათ თვისის სოფლურის სწავლის გარდაცემა... მეც მენახირეობას ვაშორდი. ვცხოვრობდით ტკბილათ, ჩუმათ და მოსვენებით. მაგრამ დიდს ხანს არ გაგრძელდა ჩვენი ესეთი ყოფა!...

ერთს ღამეს გათენებისას უცებ ვიღამაც ასტეხა ჩვენი კარების ერთი საშინელი კაკა-კუკი. წამოვცვივდით ფეხზედ.

— ვინა ხარ, ვინა? დავუძახეთ შინიდამ.

კაკუნი შესწყდა, მაგრამ ხმა არავინ არ გაგვცა.

ჩავწექით ისევ ლოგინში და როგორც ჩავთვლიმეთ, ასტყდა ხელახლად ჩვენი კარების ბრახა-ბრუხი. წამოვცვივდით ისევ ფეხზედ, დავუყვირეთ... კაკუნი შესწყდა, პასუხი კი არავინ არ მოგვცა.

— მოდი გავაღოთ კარები და გავიდეთ კარზე!... ვუთხარი დედა-ჩემს, ის დათანხმდა. მე ცულს, დედა-ჩემმა კეტს წამოვავლეთ ხელი და გავწიეთ კარებისაკენ. როდესაც კარებს ღება დავუწყეთ შემოგვესმა ადამიანის ჩქარი ფეხის ხმა... გავაღეთ კარები; დავინახეთ—ვიღაც, კარგა დიდი-კაცი, აეარდა ბაგის ლობეზე, და გადახტა იქით და დაეშვა სოფლისაკენ.

— ნეტა ვინ არის, რა არის ეგა? მკითხე დედა-ჩემმა, როდესაც ისევ ლოგინში ჩავწექით.

— ეგ თუ არი, შვილო, მითხრა დედამ,—ი სულ აყეფებული დიაკვანია.

ამ შემთხვევამ ცუდათ აგვირია თავზედ ბალანი. მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა ჩვენი ეს შემთხვევა. გავარდა ხმა, რომ არაშენდაანთ ალი კიდევ მისჭრომიათო. გაჩნდა ჩვეულებრივი ჭორი-კანაობა. უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ჭორებს ცოტაოდენი რამ საფუძველი ჰქონდათ. მართლაც ერთი კვირა ყოველ შუაღამის დროს ჩვენს კარებს და შემდეგ ერდოს არა ჰქონდა მოსვენება. ეს კიდევ არაფერი! ზაქარია დიაკვანმა იწყო გამოაშკარებით ჩვენი ლანძღვა, მტრობა და ხანდისხან იქამდისინ მიდიოდა მისი საძაგლობა, რომ ხმა მაღლა იტყოდა ხოლმე, თურმე, ხალხში: მიუგზავნი ერთ-ორიოდ ოსს და მა ჯიუტი დედა-კაცის თვალ-წინვე დავაკვლევინებ იმის შვილსაო. ეს ჩუმათ გადმოგვცეს მეზობლებმა და გვირჩიეს ფრთხილათ ყოფნა. სხვაც ბევრი რამ გავიგეთ, მაგრამ რას ვიზამდით? თავის დღეში უპატრონო ჩვენს სოფელს დღეს ეს აზნაური გაუხდა პატრონათ. სოფელში კაცი არ იყო, რომ მის წინაამდეგ გაებედნა რამე: ყველანი მას ფეხ-ქვეშ უძვრებოდნენ, აბა ერთს ქვრივს დედა-კაცს რა უნდა ექმნა ამისთანა თავ-ასულის კაცისათვის? დედა ჩემი შეშინდა.

— უნდა რამე მოვახერხოთ, შვილო, მითხრა მან ერთს დღეს, თორემ ეგ თვალ-სისხლიანი კაცი ხიფათს შეგვამთხვევს რამეს!...

— აბა რა მოვახერხოთ, ჩემო დედა, მივუგე მე,—დათუასთან წავიდეთ თუ?

— არა, შვილო! დათუასთან კი არა, ამ სახლს მოვშორდეთ. შენ ბიძა-ჩემთან გაგგზავნი; მე კი ჩემ ნათლი-მამა თევდორესთან გადავალ... მე აქ უნდა დავრჩე, თორემ ეგ ბოროტი კაცი იზამს რამეს;—დაიქცეს ახლანდელი კანონები!.. თუ სამიოდ წელი თითონ იხმარა რამე ჩვენი მამული, მერე სულ დაიჩემებს და დაგვეკარგება სხვისა ამარაზედ.

მე დედი-ჩემის ბიძები ძლიერ მიყვარდნენ; ამისათვის მასთან წასვლის იმედმა საშინლად გამახარა... გახარებულმა, წამოვედით და თითქმის ყველა ჩემ ტოლ ბიჭებს გარდავეც მიზეზი ამ სიხარულისა... მალე მთელმა სოფელმა შეიტყო თუ რას აპირობდა დედა-ჩემი. მაგრამ ეს განზრახვა, განზრახვათ დარჩა... ჩვენდა გასახარებლად შესწყდა ჩვენი კარების ბრახა-ბრუხი... გავიდა კვირა, თვე... ღამე ხმა აღარავისი არ გვესმოდა... აზნაურაც თითქო დაგვიტკბა. დედა-ჩემი წინაპირველად გაკვირვებული იყო ამ ამბით: ამ სიჩუმიდამ ის რა-დაც ვაი-ვაგლახს მოელოდა, მაგრამ, რა კვირა, თვე გავიდა და ჩვენს მყუდროებას არავინ არღვევდა, დედა-ჩემი დამშვიდდა, ძველებურად გამხიარულდა. ჩვენმა ცხოვრებამ გასწია ისევ ტკბილად, თანასწო-რათ.

ამ დროს ერთი ქალაქელი დურგალი თვისის ცოლ-შვილით ჩვენს სოფელში სალოცავათ მოვიდა... ერთს საღამოს საყდრის კარებზე დამინახა ამ დურგალმა და სთქვა: „აფსუსი არ არის, რომ ემისთანა ბიჭი აქ სოფელში ტყუილად იჯდეს და რამე ხელოსნობას არა სწავ-ლობდეს?...“ ეს სიტყვები დედა-ჩემს გარდავეცი... მას ძლიერ გაე-ხარდა.

— იქნება, შვილო, თითონ იმანვე აგიყვანოს შეგირდათა? მით-ხრა დედა-ჩემმა.

— იქნება!... აბა წავიდეთ და ვთხოვოთ!... მივუგე მე.

მართლა წავედით... ახალი ლობიო, კიტრები და კიდევ რაღაე-ბიც მივართვით და ვთხოვეთ დურგალს ჩემი აყვანა თვის შეგირდათ... დურგალს გაეხარდა, ამიყვანა... და იმავე დღიდამ თვის შეგირდს მე-ძახოდა. ამის შემდეგ ორი დღე კიდევ დარჩა ის ჩვენს სოფელში... ამ დღეების განმავალობაში, როგორც შეეძლო მომამზადა დედა-ჩემმა და როდესაც დურგალი დაადგა ქალაქის გზას, გამოვეთხოვე დედას და დურგლის ურემს გავყევი თანა.

ორი წელიწადი ვიცხოვრე დურგალთან ისე, რომ ჩვენს სოფელში არ მივბრუნებულვარ. ამ დროს განმავალობაში დედი-ჩემისაგან მალ-მალე მომდიოდა წერილები. ის თავის-თავზედ სულ ერთსა და იმავესა მწერდა. „აზნაურა ჩამომეკიდა, აღარ მისვენებსო, საცა დამინახავს უშვერის პირითა მლანძღავსო, იმის შიშით მეზობლები პურის სასესხებლათ ვეღარ მოსულან ჩემთანაო და სხვ." უკანასკნელ თვის წერილშიც ამავესა მწერდა. გავიდა ორი თუ სამი თვე ამ უკანასკნელის წერილის შემდეგ და დედი-ჩემის წერილი აღარ მომიღია. მეოთხე თვეს დავეთხოვე ოსტატს და გავწიე ჩვენი სოფლისაკენ. კარგა ხშირ-ბინდი იყო დედა-მიწაზედ დაცემული, როდესაც ჩემს თვალ-წინ და ფეხ-ქვეშ გაიშალა ჩვენი სოფლის ველ-მინდვრები, ჭალა, ადგილ-მამული; ის ალაგები, სადაც, ღვთის ამარაზედ მიგდებულს სოფლის ბიჭს, იმავ თავითვე დევნულს ათას-გვარი ოჯახური და სოფლიურ მწუხარე და უბედურ გარემოებათაგან, მე გამეტარებინა ჩემი სიყმაწვილე! გულმა მიწყო სხვა-და-სხვა ნაირად ცემა! სასიამოვნო და მწარე ფიქრები გროვ-გროვათ დგებოდნენ ჩემს თავში და რაღაცა გაცხარებულის სისწრაფით მიერეკებოდნენ ერთი-ერთმანეთს. რავდენსამე წამს ჩემს თვალ-წინ მრთელმა ჩემმა სიყმაწვილემ გაირბინა. აი ჩვენი მუდამ ტალახიანი, ვიწრო, მაგრამ ჩემი საყვარელი ორღობე!... გამარჯვება, გამარჯვება თქვენ, ჩემო დაუვიწყარო ტყემლებო, ქვებო, ღობეებო, ჩიტებო და ჩიტის ბუდეებო!! ვესალმებოდი, ამ გვარად ჩვენს ორღობეს და ნელ-ნელა მივდიოდი მის ჩრდილისგან უფრო დაბნელებულს გზაზედ!... გავედი ორღობიდამ; დავინახე ჩვენი ძველი ნასახლარი!... ახლა აქ ნასახლარობაც აღარ ეტყობოდა. ეს ალაგი ზაქარია დიაკვანს მიემატნა თავის ბაგისთვის და ამ ნაირად სამ კუნჭულიან უშნო თვის ბაგისთვის გამოება მეოთხე კუნჭულიც. ავუარე ამას გვერდზედ და გავწიე პირ-და-პირ ჩვენის სახლისაკენ... მივდიოდი და ვიდგენდი ცეცხლა-პირას მჯდომარე და ნელ-ნელა წინდის მქსოვარს დედა-ჩემს!... აი ის გახუმებული ზის კერასთან, ქსოვს წინდას და თანაც რაღაზედაც ჯავრიანსათ ზუზუნებს...

აი შევაღე კარები; დედა-ჩემმა გაიგონა კარების ჭრიალი, მაგრამ სახლში შესულს კი ჯერ ვერ ხედავს... „ვინა ხარ?... გოგო კატუა შენა? იძახის დედა-ჩემი... მე ხმას არ ვიღებ, მივდივარ და უცებ თავზედ კი წავადგები დედა-ჩემს... „უი, შენ კი თავშემოგევლე, შვილო! იძახის დედა-ჩემი და ბარბაცით მორბის ჩემსკენ. ვიდგენდი ყველა ამას და მივდიოდი შინისაკენ. აი ჩვენი ბაკიც!... აგერ სახლის კარებიც.... მაგრამ ეს რა არევ-დარეულია აქაურობა!... თითქო დედა-ჩემს სუფთაობა და რიგი უყვარდა! კარები? კარები მაგრაა დაკეტილი. აქ რაღაც იჭვნეულებამ გაირბინა ჩემს თავში... გულმა თითქო სრულებით ჩემს უნებურად მიწყო კვნესა და დრო გამოშვებითი ფანცქალი. უცებ ცრემლები აშერია თვალებში... „არა, რას ვტირი? ვუთხარი დამცინვით ჩემს თავს,—ალბათ დედა-ჩემი აქ მეზობლისას იქნება ვისთანმე!... ვსთქვი ეს და გავწიე ახლო მეზობლის სახლისაკენ. შევედი ბაკში... ჩემს წინ გამოჩნდა ჯოხზედ დაბჯენილი და ნელ-ნელა კარზედ მომავალი მოხუცებული თალია. მან სიბერისა გამო ვერ მიცნო წინასწორველად.

— ვინა ხარ, შვილო, შენა? დამეკითხა ის.

— ვეღარ მიცანი დიდ-დედა? ვუპასუხე მე—მე არაშენდიანთ სომონა ვარ!

— ოი შენ კი გენაცვალე, შვილო, დაიძახა მწუხარების ხმით მოხუცებულმა... დამიდგეს მე თვალები!... მე კი ქვეყნათ უნდა დავწოწავდე და შენი კარგი დედა კი მიწაში იდვეს!... დაიქცეს სიკვდილო შენი სამართალი!... თალიამ გააბა მოთქმა. ამ ხმაზედ გამოცვივდნენ სახლიდამ თალიას შვილები და რძლები და ორთავენი შევიყვანეს შინა. მე ქვასავით გავხდი: ვგრძნობდი რომ ჩემს თავს რაღაც უბედურება იყო, მაგრამ რა? ამ დროს ვერ წარმომედგინა. არც ტირილი, არც კვნესა!... ვიდექ სარივით გაშეშებული და გიჟივით ვიცქირებოდი თურმე აქეთ-იქით. გაათარა ღამემ. მეორე დღეს მოვისაზრე ჩემი აწმყო მდგომარეობა და დავიწყე გამოკითხვა—თუ რითი მოკვდა დედა-ჩემი? მომეტებული იძახოდა—ალისაგანაო; ზოგიერთები კი მეუბნებოდნენ: დედა-შენი ზაქარია დააკვანმა მოსწამლაო!..

— დათუას ანბავი არა მოსულა რა აქა? ვკითხე ერთს ჩვენს მონათესავეს.

— როგორ არა, მომიგო მან,—ღამის უბედურათ გადიაროს იმ კაცმა! აქედამ რომ ჩასულიყვნენ, არაფერი არა დახვედროდათ რა იქა... ედოს იმისი ცოდო ჩვენ ზაქარია დიაკვანსა!... რაღაც ქოხმახში გაეტარებინათ მთელი ზამთარი... გაზაფხულზედ გამხდარიყო ავათ დათუა და ვეღარც აეწყია!... ორი კვირის შემდეგ მომკვდარიყო... ორი პატარა ბავშვი ისევ მამაზედ უწინ დახოცილიყვნენ... დასცალდა ჭავამა თურმე... იყვნენ თურმე ერთ საცოდაობაში; ერთ მადლიან კახელ თავადიშვილს ენახა ი საცოდავები, შებრალებოდა და თავისთან წაესხა: ეხლა თურმე ნინიკა მოჯამაგირეთ უდგია იმ თავადიშვილს, სალომე პური-მცხობლათ... ორი უფროსი ბიჭები კი იქიდამ გამოქცეულიყვნენ და ქალაქში ჩამოსულიყვნენ... ჩვენებიაანთ გიგოლამ, სთქვა: ქალაქში ჭყრიან და „რაზბოინიკობით“ ირჩენენ თავსა...

ლევ. ცაველი.

1879 წ.

საქართველოს ისტორიის მასალა.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა[1])

(თარგმანი ნემეცურიდამ).

საქართველოს მდიდარს ნიადაგზედ თუმცა ცოტა ხალხი სცხოვრობს, მაგრამ, იმის მეფეს რომ სცოდნოდა ან შეეძლებოდა სახელმწიფოს რიგიანი მართვა, ეს ხალხი დიდათ ბედნიერი იქნებოდა. საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც იბერია, ანუ იმერეთი ჰქვიან, ოცი ათას კომლამდე მცხოვრებია. ამ ოცი ათასი კომლიდამ უკანასკნელი სამოცი ათასი მუშა-კაცი გამოვა და ამოდენა ხალხს გულ-დადებით და ძმურათ რომ შეემუშავათ ეს მდიდარი ქვეყანა, რომელი ხალხი იქნებოდა საქართველოს ხალხზედ უფრო კმაყოფი და ბედნიერი? მაგრამ ძნელი ეს არის, რომ საქართველოს დიდნი კაცნი, თუ

[1]) ადამიანს დედის მუცლიდგანვე დაყოლილი აქვს ის სურვილი, რომ შეიტყოს სხვები რა აზრისანი არიან იმაზედ. ეს თვისება არამც თუ მარტო ერთს ადამიანს ეკუთვნის, ეს არის მთელის ხალხის ხვედრი. ვინც კი კითხვა იცის, დიდის სიამოვნებით კითხულობს თავის ქვეყნის აღწერას უცხო ქვეყნელთაგან. ჩვენდა სამწუხაროთ უცხო ქვეყნელნი ძვირათ მოდიან ჩვენს ქვეყანაში და თუ მოვლენ უფრო თავის გასამდიდრებლათ, ვიდრე ქვეყნის შესწავლის გულისთვის. ისინი უფრო იმისთანა ქვეყნებში არჩევენ მოგზაურობას, რომელნიც ძნელათ გამოსაკვლევნი არიან და სადაც მოგზაურნი სიძნელის შესაფერათ იდიდებენ თავიანთ სახელს. თითქმის წელიწადი არ გავა, რომ გუნდი და გუნდი მოგზაურთა არ წავიდეს იმისთანა შეუვალს და ბნელით მოცულს ქვეყნებში, როგორც არიან შუა აფრიკის ქვიშიანი უდაბნოები, აღმოსავლეთის

მართლა ხალხი, ყველანი მიწაში გამოთხრილს ხვრელებში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს და ისე ამპარტავნობენ და კმაყოფილნი არიან, თითქო ყოვლის ხელოვნობით შემკულს ციხე-დარბაზებში სცხოვრობდენ. ისინი არას დასდევენ თავიანთ სიღარიბეს, ისე დაზარმაცებულან, რომ არა ცდილობენ თავიანთი ქვეყნის სიმდიდრით ისარგებლონ და მხოლოდ მაშინ არიან მარჯვენი და დაუღალავნი, როდესაც ან თულობენ ან ომობენ; ისინი გულ-მოდგინეთ ომობენ არა თავიანთ მეფის ერთგულობისა და სიყვარულის გულისთვის, არამედ ქონებისა და

ოკეანის გადაკარგული კუნძულები და ყინულის მთებით დატვირთული ჩრდილოეთის ზღვები.

ჩვენს ქვეყანაში კი, როცა ვსთქვით, ამ გვარი მოგზაურები ძალიან მცირათ მოდიან და უწინ კიდევ უფრო ძვირათ მოდიოდნენ. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში კი ფრანგების პატრები გვეწვევოდნენ ხოლმე ფრანგების სარწმუნოების გასავრცელებლათ და ჩვენის ქვეყნის შესასწავლებლათ. ამათ გარდა ათასში ერთხელ რომელსამე გზა-დაბნეულს ნემეცს შეხვდებოდა ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა და ნახულსა და გაგონილს წიგნით გადასცემდა ჩამომავლობას. ერთი ამ წიგნთაგანი ჩვენ ჩაგვივარდა ხელში და ურიგო არ იქნება, რომ მკითხველს ამ წიგნის შინაარსი შევატყობინოთ.

ურიგო არ იქნება იმიტომ, რომ ამ წიგნის დამწერი სხვა უბრალოთ მოხეტიალე მოგზაურებს არა ჰგავს. იმას შვიდჯერ დაუვლია კავკასია, სცოდნია ზოგიერთი აქაური ენები და რამდენჯერმე გამოუცვლია სარწმუნოება, რომ უფრო თამამათ და დაუმალავათ სხვა-და-სხვა რჯულის ხალხს იმის წინ თავიანთი ცხოვრება გადაეშალათ. ეს მოგზაური ყოფილა დოქტორი იაკობ რაინეგსი, უმსახურნია პეტერბურგში წარსული საუკუნის გასულს და იქიდან გაუზიდნია ეს მოგზაურობა. წიგნი ნემეცურია და სახელათა ჰქვიან: საზოგადო ისტორიული და ტოპოგრაფიული აღწერა კავკასიისა. რაინეგსის წერილებიდან შედგენილი და გამოცემული ფრიდრიხ ენოხ შრედერისაგან. გოტა და პეტერბურგი 1796 წ.

ბევრი უსამართლო და უსაფუძვლო შენიშვნაა ამ წიგნში. ბევრს ნაკლულევანებასა გვწამებს, რომელსაც ჩვენ აცილებულნი ვართ, მაგრამ ბევრს მოსასმენათ-მწარეს სიმართლესაც გვეუბნება. სიმართლეს ყური დავუგდოთ და თავქარიანობით ჩაგონებულს ოცობოლდო შენიშვნებს კი ყური მოვუყრუოთ.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ვთარგმნით მხოლოდ ერთს თავს ამ თხზულებისას, რომელიც შეეხება საქართველოს პოლიტიკურს და ეკონომიურს მდგომარეობას წარსულის საუკუნეში. ამ თავში იმისთანა საგანზედ არის ლაპარაკი, რომელზედაც ჩვენ ბევრი არა ვიცით რა. ჩვენ ვიცით რომ მეფე ირაკლის დიდძალი ომები გადაუხდია და სულთამმობრძავი საქართველოსთვის ორიოდე დღის სიცოცხლე უჩუქნია; ჩვენ ვიცით, რომ იმის მეფობის დროს ქართვლის ხმალი ქარქაშში არ ჩაგებულა. მაგრამ როგორა სცხოვრებდა ხალხი, და რა დამოკიდებულება იყო სხვა-და-სხვა წოდებათა შორის, ან რა სიმდიდრის პატრონი იყო საქართველოს ერი, ამაზედ ბევრი არა ვიცით რა. იქნება აქედან მაინც შევიტყოთ რამე

მამულის შესაძენათ 2). იმათ ეს ხმელი აღვიძებს და ამხნევებს; იმათ ავიწყდებათ, რამდენი შიში უნდა გამოიარონ ამ ქონების შეძენისთვის. იმას ამჯობინებენ, რომ დღეს ცოტა შეიმატონ, ვიდრე შინ მომჭირნეობასა და ჯაფის შემდეგ ერთი ათათ დღევანდელზედ მეტათ გამდიდრდნენ. თუმცა ამ გვარს გამდიდრებას დიდი შიში და უსიამოვნობა მოსდევს და ხშირათ იმედიც უცრუვდებათ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან. ამას ვერ იტყვის კაცი, რომ იმათ ღარიბული ცხოვრება ისე ჰქონდეთ ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ უკეთესს არა ნატრულობდენ, მაგრამ ამ ნატვრის შესასრულებლათ სხვა-და-სხვა ღონისძიება არის საჭირო და უმთავრესათ ამას უშლის ცუდი სახელ-მწიფო წყობილება. მთელს იმერეთში ეხლა კაცი ვერც სოფელს იპოვის და ვერც ქალაქს, რომელსაც სოფელი ან ქალაქი დაერქმეოდეს. ხალხი გაბნეულია ხშირს ტყეებში და ამწვანებულს მთებზედ და იქ ერთის გვარის კაცნი იყრიან ერთათ თავს, სხვა მეზობლებისაგან განცალკავებულნი და თავიანთ ქოხებში მოკლებულნი არიან იმ სიკეთეს, რაც სხვებთან ერთათ ცხოვრებით წილათ შეხვდებოდათ. სახელმწიფო წყობილების უვარგისობის გამო ხალხი ვერ შედის წარმატებაში და

2) შეიძლება კაცმა შვიდჯერ კი არა შვიდასჯერ მოიაროს რომელიმე ქვეყანა და მაინც კი იმის ცხოვრებას რიგიანათ ვერ დაუკვირდეს. ამ წიგნის დამწერი თავისის უსაფუძვლო შენიშვნით გვიმტკიცებს, რომ ეს მართალია. მართლაც, ვისაც კი ქართველების ისტორია მოკლეთაც არის უკითხავს, როგორ იტყვის, რომ ქართველები მხოლოთ ქონების შეძენისთვის ომობდნენ. ეს ისეთი ცხადი სიცრუვეა, რომ ამაზედ ლაპარაკი ტყუილ-უბრალოთ ბლაჯნა იქნება.

გარდა ამისა ჩვენი ავტორი ხშირათ მისწვდება ხოლმე ქართველების სიზარმაცეს და იმას კი ყურადღებას არ აქცევს, რა იყო ამ სიზარმაცის მიზეზი, მართალია ერთი ამ მიზეზთაგანი ბატონებისაგან ყმების შევიწროება იყო, მაგრამ ამაზედ უფრო თვალ-საჩინო ის იყო, რომ ქართველი ყოველთვის თოფ-იარაღში უნდა მჯდარიყო და მუშაობაზედაც კი ცალს ხელში ბარი უნდა სჭეროდა და მეორეში თოფი.

მტკიცე კანონების უქონლობა ერთს მეორის ყურ-მოჭრილს მონათა ჰხდის. უეჭველია რომ ამ მიზეზების გამო ხალხს არც გონება ეხსნება და სიღარიბეში მხოლოდ ესღა რჩება ნუგეშათ, რომ ცუდათ ყოფნა შეუძლიან. მომეტებული ნაწილი ქართველებისა განგებ ზარმაცობენ. მართლაც, ძალიან ბეჯითათაც რომ იმუშაოს იქ კაცმა, მაინც იმის ხარბი ბატონი ძალ-დატანებით წაართმევს იმის ოფლით მონაგარს. ძალიანაც რომ ეშრომნა მაინც ისეთივე ღარიბი იქნებოდა, როგორც ეხლაა და ზარმაცობს იმიტომ, რომ თავისთავსაც მოაკლოს და თავის სისხლის მწოველს ბატონსაც არა შემატოს რა. მეფეც ისეთივე ღარიბია, როგორც იმის ქვეშევრდომნი და თავის ქვეყნის ზრუნვის მაგივრად, დაუდევნელათ ამპარტავნობს და თუმცა ცხვრის ტყავში გახვეული მუთაქის მაგივრად ქვას იდებს და მოუსვენარს ღამეს ატარებს, მაინც გიდევ მეფეა და მედიდურათ ამბობს: მამა იაკობსაც ასე სძინებია და მე რა იმაზედ უკეთესი ვარო.

საქართველოს მეფეს რომ თავის ხალხის კეთილ-დღეობაზედ ეზრუნა, მაშინ იმას ყოველისფერი ხელს მოუმართავდა. ზომიერათ თბილი ჰავა, მრავალის ნაყოფის მომცემი მიწა და იმისთანა ხალხზედ მბრძანებლობა, რომელიც მორჩილებასთან წარმატების ნიჭსაც იჩენს,— ეს ყოველიფერი გაუადვილებდა ამ საქმეს. მაშინ თავის ხალხის ბედნიერებით ისიც ბედნიერი იქნებოდა და გულს დააჯერებდა რომ მეფეს სხვა მოვალეობაც მიუძღვის ხალხის წინაშე, ვიდრე თავის ქვეშევრდომების თავების, ხელების და ფეხების დაურევინება და თვალების დათხრა.

სულ სხვა რიგს მდგომარეობაშია ის საქართველოს ხალხი, რომელიც ირაკლი მეფის მბრძანებლობის ქვეშ არის. ეს მეფე ნადირშაჰისთან ერთად ინდოეთში იყო და იქ გაიცნო უცხო ხალხთა ცხოვრება; იმას ხშირათ ჰქონდა საქმე მოსამზღვრე სპარსეთისა და ოსმალეთის ხელმწიფეებთან, რომელნიც არა ხარჯს არ ერიდებიან; მათნი ელჩნი ხშირათ მოდიან ირაკლისთან და რასაკვირველია, მათი საკადრისი დახვედრა უნდებათ. ცხადია, რომ ეს მეფე უნდა გარჯილი—

ყო და ისე ესარგებლა თავის ქვეყნის სიმდიდრით, რომ თავის შესაფერათ ეცხოვრა. ყოველის მხრიდან სცდილობდა შეეძინა რამე მდიდრულად ცხოვრებისთვის. რაცა სჭირდებოდა ზოგს თავის ქვეშევრდომებს ართმევდა და ზოგს იმ ვაჭრებს, რომელნიც რუსეთიდამ, სპარსეთიდამ და ოსმალეთიდამ საქართველოში სავაჭროთ მოდიოდნენ. დიდ-კაცობაც მეფეს ბაძვიდა; რაც ბრწყინვალე ტანისამოსი მეფეს ეცვა და რასაც ძვირფასს საჭმელს ისა სჭამდა, ისინიც იმას ნდომულობდენ; ამისთვის საჭირო იყო ღონისძიება გამოენახათ რამე და რადგან თვალი შორს ვერ უჭრიდა, წარმოიდგინეს, რომ მამულის შემუშავება და საქონლის შენახვა ყველაზედ მეტს სარგებლობას მოგვცემსო. საქართველოს გლეხ-კაცი, მეტადრე, სომეხი, უმატებდა ბეჯითობას და თავის ბატონს საჭიროებისამებრ შემწეობას უწევდა. ამასაც, შეიძლება და შვილის-შვილები რომ უმრავლდებოდენ, თავის შემოსავალი უნდა წვრილად დაეყო და რადგან საცხოვრებელი ეხლა უწინდელზედ მეტი დასჭირდებოდათ, გლეხ-კაცს უფრო მეტი ხარჯი აწვებოდა კისერზედ ამ გვარათ შევიწროებული გლეხ-კაცი დაღონებული სთესდა მინდვრებს თავის ბატონისთვის და თვითონ კი წლითი-წლობით ხორაგი ძლივსა ჰყოფნიდა.

ეს ყოველივე არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს გლეხ-კაცი ისეთივე ღარიბია, როგორც იმისი ბატონი ხარბია და არაკლის. ქვეშევრდომთ მამულები იმისთანა მოთხოვნილებას უსრულებენ თავიანთ პატრონებს, რომელნიც იმერლებს თავიანთ მონებრივს ცხოვრებაში სიზმარშიაც კი არ მოლანდებიათ. ის ქვეყანა, რომელსაც თავისის სიუხვით შეეძლო ყველა გაებედნიერებინა და გაემდიდრებინა, ეხლა ცუდის მოწყობილობის გამო მხოლოდ იმდენს სარჩოს ძლივს აძლევს, რომ უმრავლესი ნაწილი იმის მცხოვრებთა შიმშილით არ ამოსწყდეს.

სიღარიბის მეორე მიზეზი არის სამართლის უქონლობა, რადგან თუ არის სადმე სამართალი, იგი დაფუძნებულია შიშზედა, წყალობაზედა და ხათრზედ. მართალია საქართველოს უწინდელთ მეფეთ-

ისეთი კანონები დაადგინეს, რომელნიც იმათს ქვეყანას მოუხდებოდა, მაგრამ მაშინ სამართალი არავის რათ მიაჩნდა და არც კი არავის ეხლა მიაჩნია რათმე. თუმცა ამას წინეთ მეფე ვახტანგი ბევრი ეცადა კანონები და წესიერება შემოეღო, მაგრამ ყოველმა იმისმა ცდამ ფუჭათ ჩაიარა. ამიტომ ის თავის ხელითვე აწერს თავის კანონების წიგნის ბოლოში: „მართალია მე ეს კანონების წიგნი დავწერე, მაგრამ საქართველოში ჯერ სამართლიანი სამართალი არცა ყოფილა და არც იქნებაო.“

შინაურმა არეულობამ და უსამართლობამ ისე გაუჭირვა საქმე ამ მეფეს, რომ საქართველოს თავი დაანება და თავისი დღენი რუსეთში დალია. ეხლანდელს დროში ხშირათ მეფის ორგული მებატონე ძალით სამართალს თავის სასარგებლოთ გადააჭრევინებს ხოლმე, რადგან მეფეს სხვა ღონე აღარა დარჩენია რა და ცდილობს, ეგება მოთმინებითა და უსამართლობაზედ ყურის მიურუებით მაინც ორგულები გაიერთგულოს. ხშირათ, ყველასთვის ცხადია რომ რომელიმე კანონის შესრულება სასარგებლოა, მაგრამ იმის ყურის გდება, რომ ეს კანონი ყველამ შეასრულოს, ძალიან ძნელია.

ერთხელ ამ ქვეყნის სიკეთისთვის საზოგადო კანონი დაუმძნდა, რომა არა მცხოვრები მონათ აღარ გაეყიდოსო. ყველა ხედავდა, რომ ამ კანონის შესრულება აუცილებლათ საჭირო იყო, მაგრამ როცა ფული შემოაკლდათ, სხვა ღონე ვეღარა იპოვეს რა იმის მეტი, რომ თავისი ქრისტიანი ყმა ოსმალოებისთვის მიეყიდნათ და როდესაც ეს უბედური თავის დედას, მამას, ცოლსა და შვილს ეთხოვებოდა, კიდევ ანუგეშებდენ და ეუბნებოდნენ: ნუ გეშინიან, იქნება მაგ გზით ბედნიერებამდე მიაღწიოსო, იქნება პატარა ხანს უკან ეგვიპტის ძე გახდეო.

თუ ამაზედ საჩივარი მეფემდინ მიაღწევდა, მებატონე მარტო იმითი კი არ იმართლებდა თავსა, რომ ჩემს ყმებსა და იმათ ქონებას რასაც მინდა იმას ვუზამო, ის თავის მეზობლებზედაც უთითებდა, რომელთაც იმასავით თავიანთი ყმები დაეყიდნათ, დამნაშავენი რადგან

ბევრნი იყვნენ, იმათი გასამართლება სხვა დროსთვის უნდა დარჩენილიყო. [illegible] თავის დღეში აღარ მომხდარიყო.

ამ ყურის მიყრუებამ ისე წააქეზა ერთი პირველის გვარის თავადიშვილი, რომ მთელი ერთი სოფლის ყურიები ოსმალოებს მიჰყიდა და თავი იმით იმართლა, რომ მე მხოლოდ იესო ქრისტეს სისხლის ალუბს მინდოდაო. ამ თავის გამართლებამ, სარწმუნოებაზედ მითითებამ და მღვდლის წასარჩლებამ გაანთავისუფლა ეს თავადიშვილი ღირსეულის სასჯელისაგან. საქართველო სრულიად გაუხარდებოდა, ოსმალოებს რომ მტკიცეთ არ დაეცვათ ის პირობა საქართველოს მეფესთან, რომელიც იმათ ქართველების ყიდვას უკრძალავდა.

ამ ქვეყანას არა ნაკლებ აწუხებს აგრეთვე თავად-აზნაურობის შუღლი ერთმანეთთან და იმათი ერთობა სპარსეთის მოსამზღვრე მთავრებთან. საქართველოს თავად-აზნაურობა მეტი მეტად მრავალია და საკმაო საცხოვრებელი კი არა აქვს. თავისი ხარისხი თავად-აზნაურებს დიდს რამეთ მიაჩნიათ, და თაკილობენ თავის ხელით გარჯასა და საჭირო ქონების მოპოებას და არჩევენ უქმათ აქა-იქ სიარულს. ხშირათ ერთი მეორეს წაეკიდებიან ხოლმე ცბიერობით და უსვინიდისოთ: მეგობარი მეგობარს, მეზობელი მეზობელს, ერთის სიტყვით ვინც კი ვისმეს დაბრიყვებას შეიძლებს. ხშირათ რამდენიმე უსვინიდისონი ერთათ იყრიან თავსა და ერთმანერთს ტყუილათ მოწმობენ. ეს ცრუ მოწმობა და იმათის გადაკიდების შიში მსაჯულებს სამართალს იმათგან აჩრევინებს; მაგრამ თუ ამათ ამათზედ ძრიელი წაეკიდა ვინმე, უეჭველია, ბოლოს გამარჯვებული ის დარჩება. ამ გვარათ მოპირებული მსაჯული ყმების კეთილ-დღეობას აღარას დასდევს და მსხვერპლათა სწირავს თავადიშვილებს შუა ატეხილს უსიამოვნობას. ამ უბედურებას ზედ ერთვის აგრეთვე გაუთავებელი ომები სპარსეთის მთავრებს შორის, რომელთაც, ხან ერთსა და ხან მეორეს, საქართველოს თავადიშვილები შემწეობას უწევენ. სპარსეთის მთავრები ხან თავის დასაცავათ, ხან სხვის ქონების ხელში მოსაგდებათ, ერთმანეთს აღარ-

ასვენებენ და თავიანთ აგაზაკების გუნდებით წამ-და-უწუმ ერთმანეთს თავზედ ეცემიან. ისინი ფულით ან საჩუქრებით იბირებენ საქართველოს ხალხს და 3000-4000 კაცამდე ქართველის ჯარს შოულობენ, მერე იმისთანა ჯარს, რომელიც ხმათ მოპირდაპირეს თავზარსა სცემს. ამ ომების დროს ხშირათ ერთიც არა კვდება, რადგან მეომართ უფრო დავლის შოვნა სწყურიანთ, ვიდრე ომი, მაგრამ მაინც ამის მამული შეუმუშავებელი რჩება და როდესაც სპარსეთიდან ქართველი თავის ცარიელს ქოხში ბრუნდება, თავის ბატონის უწყალო მოურავებსა ხედავს, რომელნიც ხარჯის გადასახდევინებლათ არიან მოსულნი და ასაკლებათაც კი არ დაზოგავენ.

ეს არის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. თუმცა იმის მდგომარეობა ვაჭრობისთვის საუცხოვოა, თუმცა ადვილია ცხრა დღეზედ კასპიის ზღვიდან შავს ზღვამდე საქონლის მიტანა, მაგრამ ჯერ საქართველოს ხალხმა არ იცის, რა სარგებლობის გამოტანა შეუძლიან ვაჭრობიდამ. მაინც კიდევ მე გაკვირვებული ვარ რომ ამ არეულობაშიაც კი ამ ქვეყნის შემოსავალი ასე დიდია. მე არც ღვინის შემოსავალზე ვიტყვი რასმე, არც ხვნა-თესვაზედ, რომელიც ამ ქვეყნის შემოსავლის მეხუთედს აძლევს, მე შემოსავალს მცხოვრებთ რიცხვის კვალობაზედ ავრიცხავ, თუმცა ეს რიცხვი სულ ცოტათ არის ნაანგარიშები.

მე მგონია, რომ საქართველოში ეხლა 61000 კომლამდეა.

ქ. თბილისში და იმის ახლო-მახლო	20000 კომ. მცხ.
მთიულეთში და ხევსურეთში	4000
შამშადილში	4000
ქართლში	4000
კახეთში	12000
ქიზიყში	6000
ყარაიასში	2000
სომხეთში და ბემბეკში	6000
ყაზახში	3000
სულ	61000

როგორი ბედნიერი იქნებოდა ქართველი კაცი, რომ იმის შემოსავლის მეხუთედი ყოფნოდა სხვა და სხვა სახელმწიფო ხარჯს! მეხუთედი კი არა, მეოთხედსაც, ნახევარსაც კი სიამოვნებით მისცემდა, ოღონდ იმის მეფის სიხარბეს საზღვარი დასდებოდა. მე კიდევ ამ ხარჯს სულ ცოტას ჩავაგდებ 10 მანათს თითო კომლზედ წელიწადში; მაინც კიდევ სახელმწიფოს პირდაპირი ხარჯი 610,000 მანათს შეადგენს.

უცხო - ქვეყნელს საქონელზედ დადებული ხარჯი იჯარით არის მიცემული	25,000 მანათ. წელიწადში.
უმეცრათ და უგვანოთ შემუშავებული ვერცხლის მადნიდამ აგდალეში 1780წ. გამოიტანეს . .	60,000 მანათის ვერცხლი.
ოქრო	3,200 მანათისა.
ერივანი აძლევს ყოველ წელიწადს ხარჯს . . .	15,000 მანათს.
სულ არის:	713,200 მანათი. [3])

როგორ გამრავლდება კიდევ ეს შემოსავალი, რომ ამ მდიდარს ქვეყანას გულმოდგინეთ მოუარონ!

[3]) თუმცა ეს რიცხვები საინტერესონი არიან, მაგრამ მაგათ კაცი სიფრთხილით უნდა მოექცეს. ავტორი არას ამბობს, საიდან შეიტყო მცხოვრებთ რიცხვი და ამ შემთხვევაში თუ კაცს მტკიცე საფუძველი არა აქვს, ჭკუა და გონება ვერას ჩააგონებს.

შინაური მიმოხილვა.

ნუ თუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?—ახალი „საზოგადოება“ წერა-კითხვის გავრცელებისათვის საქართველოში და მისი მომავალი ღვაწლი ჩვენის ცხოვრებისათვის.—რა ურთიერთობა სუფევს ამ საზოგადოებისა და შარშან დაარსებულის შორის („შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“)?—ორიოდე სიტყვა ბანკის თაობაზედ.—ქართული თეატრი.—თავად-აზნაურთა კრება.

ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვით მოქმედობისა და სხვ. გრძნობით კი კარგადაც გრძნობდა თავის ვაი-ვაგლახს და უოველის მხრით გაჭირებულს ცხოვრებას, მაგრამ შეებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად. იყო ისე, უურმოჭრილი მონა გარემოებისა, და თითქო ფიქრობდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქმნება შვებაც ამ გვარადვე მომევლინოსო. ამის დაგვარად, ჩვენი საზოგადოება, იქნება, არც კი იყოს გასამტყუნარი ამაში: თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედობა,—ყველა ამ გვარი თვის აღმოსაცენად და განსავითარებლად მოითხოვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსვლელობა უშვერია ფათერაკობას... იქნება არ იყოს მეთქი მტყუანი, და არც იმიტომ მოვყვევით ამაზედ ლაპარაკს, რომ გამოვძებნოთ ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი. ეს კი უეჭველია: გადიოდა ხანი და თითქმის არავითარი შვება არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალხი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ

ბოლოს დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა — „როდემდე და სადამდეო“, ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავის-თავისათვის შველა. ჯერ-ჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისათვის დაარსა ჯერ ერთი „საზოგადოება“, რომელმაც გახსნა ესრედ წოდებული „მოსამზადებელი შკოლა“, მერე კიდევ სხვა „საზოგადოება“, რომელსაც საგნათ აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში. პირველ საზოგადოებაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „ივერიაში“ და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ახალს საზოგადოებაზედ, რომლის პროგრამმა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება, რომ ფრიად დიდს ღვაწლს გვიქადის მომავალში და იმიტომაც ღირსია ყურადღებისა.

ეს საზოგადოება თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვა და სხვა ადგილას და სხვ.

ლაპარაკი არ უნდა რომ ეს ძლიერ საუცხოვო საქმეა და თუ ამ საზოგადოების წევრთ ქართველურათ მალე გული არ აუცრუვდათ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ.

არა ხალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებათ არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდენ და წიგნის კითხვისთვის არა სცალოდათ, დედა-კაცები მაინც არ ანებებდენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდენ შაგირდებს და ამ რიგათ ქართულს მწიგნობრობას შირიანათ ამოვარდნას უშლიდნენ.

ეხლანდელს დროში დედა-კაცები ისე რიგათ აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამა-კაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისთვის ხელი. მართალია ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კარტა-კუნტათ, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არა აქვს რა: საზოგადოების შემდგენელთ წევრთ, რიცხვით ჯერ ას-ოც-და-ექვსია, შეაქვთ ყოველ წლიწადს არა ნაკლებ ოცის მანათისა; ამას გარდა საზოგადოება მოელის სხვა და სხვა შემოწირულს ფულს პატივსაცემთ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილთ წევრთაგან, რომელთაც ყოველ წლივ უნდა შემოიტანონ არა ნაკლებ ექვსის მანეთისა.

ყველა ეს შემოსავალი დიდს ფულს არ შეადგენს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ რომ ეს საქმე ჯერ ახლათ ფეხ ადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლათ ფეხ ადგმულს ვინ მოსთხოვს ვაჟი-კაცისავით სწორე სიარულს!

წრეულობით ამ საზოგადოებამ ხუთი შკოლაც რომ გახსნას, ისიც დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია ეს დიდ საქმეთ კი არა, მცირე საქმეთაც არ ეწყინებათ იმ პირთ, რომელნიც ყოველს საზოგადო საქმეს თვალებ ახვეულსავით უცქერიან და იძახიან, რომ წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობას არას მოუტანსო, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო, ჩვენ გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც უცოდინარეებზედ უფრო უსვინიდისო და გაფლიდებულნი არიანო. ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოთ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა. იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსვინიდისოთ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრათ მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ისე არავინ აპაშპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და

სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანერთთან დაკავშირებულნი, რომ
იმათ უერთმანერთოთ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იმახის
ხალხს ჯერ კუჭი გავუმძღოთ და მერე ვასწავლოთო, იმაზედ არ ჩა-
ფიქრებულა, რომ გლეხ-კაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ
პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაი-
გო რა, ისევ ისე ბინძურათ და უხეიროთ იცხოვრებს, როგორც სი-
დარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხ-კაცი, რომელსაც
ათას თუმნამდინ შეძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე
დგას, ისევ ისე გვერდით უბია თავის საქონელი და იმისაგან გამო-
სუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი
გლეხი. ერთის სიტყვით თუ ჩვენის ხალხის ბედნიერება გვინდა,
უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც
შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნა-
თელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარჰყოფს, ან სრულებით
ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებ ახვეული უცქე-
როდეს.

ვიმეორებთ: ჩვენ სწავლა გვეჭირვება და რადგან სახალხო შკო-
ლები სწავლის პირველს საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა
მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლე-
ბის გამრავლება განუზრახავს.

წინ-და-წინვე ვთქვით, რომ ამ უკანასკნელს ხანს შკოლები ჩვენს
სოფლებში კანტა-კუნტათ იხსნებიანო. ეს უფრო იმისთანა სოფლებში
ხდება, რომლებშიაც სამას-ოთხას მცხოვრებზედ მეტია. ამოდენა სოფ-
ლებში გლეხ-კაცებს არ უჭირდებათ წელიწადში სამი-ოთხი მანეთის
გამოღება მასწავლებლისა და შკოლის შესანახავათ, მაგრამ საქართვე-
ლოს ზოგიერთ ნაწილებში დიდი სოფლები ძალიან მცირათ შეხვდება
კაცსა. ზოგან ხალხი ხეობებში სცხოვრობს და სამი-ოთხი სოფლის
მცხოვრებნი ერთათ სულ ასს კომლს ვერ შეადგენენ. ცხადია, რომ
თუ ამ სოფლებში მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამ-
მა-ოთხმა სოფელმაც რომ ერთათ მოიყარონ თავი, მაინც შკოლის

გაკეთება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებათ. აი ამ გვარს ხეობებში და სხვა პატარ-პატარა სოფლებში შკოლების გამართვას უნდა მიაქციოს ხსენებულმა საზოგადოებამ ყურადღება.

არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც, თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ, მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა. აქამდისინ ჩვენ უფრო იმათს ჩვენგან განშორებაზედ ვზრუნავდით...... რაღაც საცოდავი ორასი თუმანი თუ შევკრიბეთ და დამშეულს ქობულეთლებს დავურიგეთ, თორემ სხვაგრივ ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა. აი ეხლა დაგვეტყობა მართლა ვიცით საქმითაც შეწევნა, თუ მხოლოდ მოძმეს ხსენება გვესიამოვნება და ღვინით შეხურებულის ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა. ეხლა დავამტკიცებთ, მართლა გვინდა თუ არა ქობულეთლები ნამდვილად ჩვენი მოძმენი გახდნენ და როგორც ლაპარაკით, ისე წერა-კითხვით სრულიად შემოგვიერთდენ.

თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გავუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე მძურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება მეთქი. თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველივეფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია,

რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაადგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარ-ტომო და თვით-მოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოველი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალ-გაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველ-დაწყებითი სწავლა საკმარისი არის, მაგრამ, ჯერ ერთი ის, რომ, როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა არსებობს ჩვენში ქალთა, ჯერ-ჯერობით, მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო-სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული „საზოგადოება.“ ეს საშუალო-სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, — შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელლიგენციას, ე. ი. იმ გვარ პირთ, რომელნიც არიან დედა-ბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა. ამ ქართულ საშუალო-სასწავლებელზედ შემდეგ გვექმნება დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვით აგრეთვე შემდეგ მაზედაც თუ რა მნიშვნელობა ექმნება ამ სასწავლებელს ჩვენის ლიტერატურისათვის. ეხლა კი აღვიარებთ, რომ ორივე „საზოგადოებანი“ დასდგომიან ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ ორის მხრიდამ; ორნივე ერთი-ერთმანეთს ეხმარებიან, ავსებენ ერთი-ერთმანეთის ნაკლს. ახლა საქმე ჩვენზედ, ე. ი. ქართველ საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული; უნდა აღმოვუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება, ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავიზოგავთ ამ საქმისათვის: ვინ იცის ჩვენი ბედი რა რიგად დატრიალდება თუ ეს საქმე ხეირიანათ წავიყვანეთ!... საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილ-კაცებზედ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ წინ უდევთ დიდ-ძალი, აუარებელი

რომა: ჩვენ ხომ ჯერ სულ ხელ-ცარიელნი ვართ, — არც სახელმძღვა-ნელონი გვაქვს, არც საკითხავი წიგნები, არც არა სხვა სახსარი სწავ-ლისა, — აი ამას უნდა შეუდგნენ ეხლავე ჩვენი განათლებულნი, რათა სიტყვა მაინც არ მოგვიბრუნონ: „მაშ რაღასა თხოულობთ თუ კი გამოყენებაც არ იცით და არ შეგიძლიანთო?“

უმთავრესი შემწე ყველა ამ გვარ საქმეთა არის, ჯერ-ჯერობით სათავადო-აზნაურო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შე-მოსწირა კიდეც ათას ხუთი თუმანი ამ საზოგადოებას.

იმერთ-ამერთა, ესე იგი, მთელმა საქართველომ ამ სამოცდა თვრამეტს . . . . გავლილს წელიწადში მარტო ერთი საქმე დააწყო საკუთარის თაოსნობით, საკუთარის შეწირულობით და თავის საკუ-თარის ღონით, მხნეობით და ზედამხედველობით წარმართა კიდეც. ეგ საქმე ჩვენის ბანკების დადგინება და მართვა. ამ სამოც-და-თვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთ-ხეში მიეყუდო, მიწვა და მიიძინა. თითქო ყველაფერზედ გული აიყა-რაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. ამ ყოფამ ყოველ მხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავ-დით და მივილეულნით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თვითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩა-გვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვით-მოქმედობას და სხვას არასფერს. რაზედ უნდა მიგვემართა ის ყოვლად მხსნელი თვით-მოქმედება? მეტყვით. მაგას ბევრი გზა აქვსო. ჩვენც ვიტყვით, მაგრამ იმ „ბევრამდინ“... ღმერთო ხომ შენ იცი რა ტყრუშული ღობეებია თვალთ უწვდენი, შეუვალი. საიდამ რა მოგვე-ლოდა? ერთი პატარა ბილიკიღა იყო თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ ისიც ვაინაჩრობით, წუწვითა და გლეჯით. მოედნად დაგვრჩა ჩვენის ქონების წრე და ბილიკად — გზა ქონების შენახვისა, ანუ გადარჩენისა. აქ შეგვეძლო გვევარჯიშნა რა-მოდენიც ჩვენს სულსა და გულს ესურვებოდა, არავინ და არაფერი არ გვაბრკოლებდა. წყალ-წაღებული ხავს ეკიდებოდაო ნათქვამია. სხვა

ღონე რომ არ იყო შველისა, ერთმა ჩვენმა კეთილის-მყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და ჰსთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვით-მოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთაში შეისხასო. ჰსთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც. ამაზედ აშენდა ბანკების საქმე.

ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც. თუნდ თავი დავანებოთ იმას, რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ ცოტა რომ ვსთქვათ წელიწადში ორიათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად; ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, ვასინჯოთ ბანკი იმ მხრით რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც ჰსწამს ძალა თვით-მოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თეგზისა არ იყოს, ჰირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვით, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა ის, რასაკვირველია, დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეს საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის. დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლობითი მოედანი, რომელზედაც უნდა ავიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვით-მოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა სურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ ამას ჩვენ ვერსად ვერა ვხედავთ, ვერც სხვა საზოგადო საქმეში საერთოდ და ვერც ბანკისაში საკუთრივ. ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გა-

მოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვათამაშოთ. ყოველი თამაშა შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიურად ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღე-მოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ ალვირ აშვებული დაიარება და „ის კი, რაც საქმეს უჯობს,“ თავ-ჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო. ჩაგრული და ხმა-ამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვავთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელზედ და ისე უკადრისად წინა და უკან გვქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ მეთქი, მაგრამ კაი თუ გვიანდა იყოს...

აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმე. თავდაპირველადვე იმ ბანკს ერთი შფოთი და არეულობა შეუდგა. დაეწყო დავები. ერთი იკითხეთ, ან ერთმა დასმა რა წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარ-ჰყო? რისთვის იბრძვიან? რად აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? ჰსწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც და აბა თუ კაცები ხართ გარკვევით მეტყვით რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა. ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუ თუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვსა და ლალვას ისეც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხდია. გვეყო ბატონებო, გვეყო! იქ „მე“ ულონოა, სადაც „ჩვენ“ გაცუდებულია, უარ-ყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვალალებთ კიდეც.

ამ ბოლოს დროს დაეწყო ქართულის თეატრის საქმეცა. აი გა-

დღე ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც დიდის სიფთხილით მოქცე-ვა უნდა. ღმერთმა ეს ახლად შობილი საქმე მაინც აშოროს იმ მტრობასა და შურს, რომელიც ბანკების საქმეს შეუდგა ჩვენში. ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნე-ლობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რო-მელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს. სახელი და დიდება ტფილისის ბანკის კრებას რომ ქართული თეატ-რი საზოგადო საჭირო საქმეთ იცნო და სამასი თუმანი ფული შეჰ-წირა. ფულის შეწირვის გარდა, ამ ახლად შობილს საქმეს სხვა გვა-რი შემწეობაც უნდა. საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურად-ღება მიაქციოს ამ საქმეს, კვალში ჩაუდგეს და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად, როგორც მოყვარემ, პირში უწრა-ხოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არც განებივროს ტყუილის ბა-რაქალით და არც გული აჭყაროს ტყუილის დაწუნებით. ამისათვის ჩვენ ვეცდებით, ამ მხრით სამსახური გავუწიოთ ჩვენს თეატრსა იმ-დენად, რამდენადაც ჩვენგან შესაძლო იქნება. ჯერხანად მოკლედ გან-ვიხილავთ რაც აქამომდე იყო.

ამ ცოტას ხანში რამდენიმე ქართული წარმოდგენა იყო. პირ-ველად წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია: „გეგო, მინას და კამპანია." ფრანციულიდამ გადმოკეთებული და მასთანავე ერთი ვოდე-ვილიც: „სხვა გვარი სიყვარული." თვითონ კომედიაზედ ბევრს ვე-რას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკ-ლულევანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რად დაჰსწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დაჰ-სწერა გადამკეთებელმა რად გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორ-ნივ შეჰსცდნენ, თეატრში მაინც რად წარმოადგინეს?

აქტიორებმა როლები ვერ იცოდნენ რიგიანად; რა დავუმართოთ, რით ვერ მოვიშალეთ ეს უხამსი ჩვეულება. ურიგო არ იქნება რომ ამ საგანს სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისსორმა, თორემ ეგ წყეული ჩვეულება პიესის მწერალსაც დააფთხობს და მაყურებელსაც. იმედია, რომ ბეჯითი რეჟისსორი მოსპობს ამას.

გოლდევილმა კარგად ჩაიარა ხალხმაც ბევრი იცინა და ზოგი იქ-მნება იმასაც მიხვდა რომ ჰირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული უდევს ხოლმე ქვეშ. ეს დიდის ზნეობის მასწავლებელი ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ ერთი პაწია გოლდევილისაგან ესეც კარგია. არა-მწევარმა რომ ყურდღელი დაიბრუნოსო, დაჰქრად ნაეთვლებაო ნათქვამია.

მერმე წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ეჭვით ავადმყოფი" თარგმნილი ივ. მაჩაბელისაგან. თარგმანი არ არის ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა. ამისთანა სიტყვებს უნდა ერიდონ სცენაზედ. თუმცა ჩვენ ქართველებმა ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდაროდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატივ-საცემი ჩვეულებაა და არ შეიძლება ამას ყური არ ვათხოვოთ.

ბოლოს დროს წარმოადგინეს ილ. ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველ დროების სცენები", აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა" და გოდევილი (შეორეთ) „ბნელს ოთახში". „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა" მოგვეწონა, კარგის ენით არის შედგენილი და სასაცილოც არის; ჩვენდა სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით გოდევილზედ, თუმცა ზოგიერთგან აქაც ენა რიგიანად არის ხმარებული.

აქტიორების ღირსებაზედ ჯერ ხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და იმედია, რომ გაიწრთვნებიან. ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენის სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს. ყოველს სიკეთესთან ერთი ის სიკეთეც ჰსჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელს დროში, როცა ქართული ალაპარაკის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის.

მალიან კარგი იყო უფ. ცაგარელი ილ. ჭავჭავაძის სცენაში. ჩვენა გვგონია მაგ გვარს როლებში უფ. ცაგარელი შეუდარებელი იქნება. გვიკვირს, რატომ ყლახაჭრიაშვილის როლი მაგისათვის არ მიუციათ?

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა ყრილობის თაობაზედ, რომელიც ამ ჟამად შემდგარა გუბერნიისა და უეზდების მარშლების ამორჩევისათვის. მართალია აწინდელ დროში როდესაც ბატონ ყმობა გადავარდნილია და სხვა-და-სხვა წოდებათა შორის არავითარი შესანიშნავი გარჩევა არ არის კანონისა და სახელმწიფოის წინაშე, თავად-აზნაურობას, როგორც ერთ-გვარ წოდებას, დაეკარგა უწინდელი მნიშვნელობა; . . . . თუ ამ ჟამად თავად-აზნაურთა კრება იზურობს რაიმე ყურადღებას — იზურობს მხოლოდ ამ მხრით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი . . . . სარგებლობს თავისის უფლებით. თავად აზნაურობას აქვს უფლება იზრუნოს თვის საჭიროებაზედ, განუცხადოს მთავრობას თვისი სურვილი ამის შესახებ, წარუდგინოს მას სხვა და სხვა ზომიერებანი, რომელთაც დაინახავს სასარგებლოდ. აქ, სასურველია, რომ ეს ზომიერებანი შეეხებოდნენ იმისთანა საგანს, რომელიც სარგებლობის მომტანია მთელის ქვეყნისათვის. ამ მხრით წლევანდელი ყრილობა თავად-აზნაურებისა ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგანაც წამოყენებულ იქმნა ერთი საგანი ფრიად ღირსი შესანიშნავი და ფრიად სასარგებლო საქართველოსთვის. ჩვენ ვამბობთ იმ წინადადებაზედ, რომელიც შეიტანა კრებაში დეპუტატმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ყოველმა თავადმა თუ აზნაურმა უნდა იხადოს წლით-წლობით ხარჯი მის შემოსავლიდგან და რაც უფ. იქმნება საკუთარი კასსა. ჩვენდა სამწუხაროდ გუბერნიის

კრებაში ამ საგანმა ვერ მოიპოვა ჯეროვანი უმეტესობა ხმისა, მაგრამ დადგენილ იქმნა კი რომ ეს საქმე თვითოეულ უეზდის მარშალს და თავად-აზნაურთ უნდა მიენდოთო. მაშასადამე საქმის კარგად წაყვანა დამოკიდებულია უეზდის მარშლის გამჭრიახობაზედ და უეზდის თავად-აზნაურთა კეთილ მიდრეკილებაზედ. იმედია, რომ არა აზნაურს არ დაშურდება და არც გაუჭირდება წელიწადში შეძლებისა მებრ ცოტა რისამე მიცემა ქვეყნის სარგებლობისა და წარმატებისათვის, ამით ჩვენი საზოგადოება დაიმკვიდრებს უკვდავ სახელს და დიდებას წინაშე მთელის ქვეყნის და მეტადრე შთამომავლობისა.

ხმა გათომიდამ.

I.

„ბრძოლა მთა-ბარში, წინ და უკან, ოთხივე კუთხივ, ბრძოლა შეუწყვეტელი პირის-პირ უთვალავ მტრებისა, სამშობლოის თავისუფლების დასაცველად.“ აი ამ სიტყვებში სრულიად არის გამოთქმული ჩვენის ისტორიის შინაარსის დედა-აზრი! ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენის ისტორიულის ცხოვრების დენა ბევრით განსხვავდება სხვა ხალხთა ისტორიულის ცხოვრებიდამ. თითქმის არც ერთს ხალხს არ დაჭირვებია ჩვენსავით ისტორიულ ცხოვრების დაწყებისთანავე—მუდამ იმ ფიქრში და ზრუნვა-დარდში ყოფნა, თუ სად და როგორ, და რა რიგად დავხვდე ჩემზე ასაოხრებლად ამხედრებულ, აურაცხელ მტრებსო, და თუ ვინმეთ შეხვედრიათ ამ ნაირი ყოფა, მათი მდგომარეობა მითი ჯობდა ჩვენსას, რომ იგინი სიმრავლით ბევრით არ ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ მტრებს. ამ ნაირი იყო ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ამ ყოფითვე მტკიცდებოდა ჩვენი შესანიშნავი ძლიერება და სულის სიმტკიცე, რომელნიც მაშინ იყვნენ ხოლმე უმაღლეს მიჯნამდე მისწეული, როცა რამოდენიმე ხნით მშვიდობიანობა გვეღირსებოდა. ამ მშვიდობიანობის დროს ჩვენ, უკეთ ვსთქვათ ჩვენა წინა-პარნი ეწაფებოდნენ მეცნიერებას, ხელოვნებას და ითვისებდნენ მათ შეძლებისა და გვარად. ამისთანა დროებში გამშვენიერდა და გამდიდრდა ჩვენი მწიგნობრობა, ამისთანა დროებს ეკუთვნიან ის ხუროთ მოძღვრების (არხიტექტურა) მშვენიერი ნაშთები, რომლებით ეხლაც მოფენილია მთელი საქართველო. ამგვარ დროებში იმ რიგ ძლიერებას იძენდნენ იგინი, რომ მთელი აზია მოწიწ-პატივისცემით შეჰყურებდა საქართველოს და უძლიერნი აზიის სახელმწიფოებიც განსაცდელის დროს

მას ეკედრებოდნენ ხოლმე მწე-პატრონობას, მაგ. საბერძნეთი სვლიაროსის აჯანყების დროს და სხვ. მე-XIII საუკ. დასაწყისში, სახელოვან თამარ მეფის დროს, მშვიდობიანობის დროით განძლიერებულმა წინა-პარებმა დაარსეს ტრაპიზონტის იმპერია და მისს იმპერატორად დასვეს თავიანთი ამორჩეული სეფეს-წული. (მე).

ამისთანა ისტორიულ ფაქტების წარმოდგენით მე უნებლიეთ მახსენდება ზღაპრის გმირი ანტეი, რომელიც რამდენჯერაც დაცემული იქნებოდა მტრისაგან მიწაზე, მიწის შეხებით თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა, და ღონე შემატებული უფრო გაბედულებით ებრძოდა მტერს. ეს რომ შეუტყო მტერმა, მიწაზე კი აღარ დასცა იგი, არამედ აიყვანა და ჰაერში რამოდენიმე ხანს გააჩერა და ასე ნაირად ამოხადა მას სული . . . .

II.

წინა კარში მეტი რომ არ შეიძლებოდა ისე გაკვრით მოვიხსენიეთ ჩვენი წარსული ცხოვრებისა შინაარსის ზოგიერთა უმთავრესი ამბები და მთელი უწინდელის ჩვენის ისტორიის დედა-აზრი. ამ კარში კი ამ რიგივე სიმოკლით მოვიხსენიებთ თუ რა მიზეზებმა იყვნენ უწინდელი ჩვენის ცხოვრებიდამ აწმყო მდგომარეობაში ჩავარდნისა...

ჩვენი ახლა ამ რიგ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი გახლავთ სამნაირი. პირველი ისე ცხადია, რომ მისი მოხსენება ბეჭდვით საჭირო არ მგონია, მეორე იმ რიგია, რომ მისი ვრცლად მოხსენება თუმც ძალიან გულით მინდა, მაგრამ არ შემიძლია...მესამე—გახლავთ ჩვენგან მტრის მეგობრად მიღება. გაიხსენეთ პირველი პწკარი რომელიც გვამცნებს თუ რაში მდგომარეობდა ჩვენი ისტორიულ ცხოვრების მოქმედება. ამ მოქმედებამ იმას შეგვაჩვია რომ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, მტრად მიგვაჩნდა მხოლოდ იგი, ვინც ჩვენზე ამხედრებული თავზე გვესხმოდა და იგი კი, ვინც გულ-ხელ-დაკრეფილი განზე იდგა და ჩვენს ჯაპან-წყვეტას სეირსავით უყურებდა, გვეგონა: ჩვენი განსაცდელისგან დამხსნელად მზა-

ყოფილად ამ „გონიობის“ წყალობით შეგვემთხვა იგი, რაიც სწორედ არის გამოთქმული ანდაზით: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე.“ მაგრამ... უკაცრავად მკითხველნო!... ამ ანდაზით სწორედ არის გამოთქმული აღმოსავლეთ საქართველოს ბედი და არა დასავლეთის, (ბათომის ოლქი და ლაზისტანი) და უკანასკნელში ნამეტნავ ბათომის ოლქის ბედი... დიაღ, არც ვუით და არცა რა სხვა კაცობრივის სიტყვით არ გამოითქმება ის საშინელება, იგი ვაება, ის სადრტვინელი ყოფა, რომელშიაც ჩავარდა ბათომის ოლქი, (უწინდელი სამცხე-კლარჯეთი) მესვიდმეტე საუკუნიდამ დაწყებული: ამ დროიდამ გამოესხლტათ იმათ ხელიდამ თავისუფლება, იგი თავისუფლება, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში სახელოვანად ეპყრათ და ღირსეულადაც ხმარობდნენ. იგინი ჩავარდნენ ოსმალების მონობის ქვეშ. არავითარ მხეცობას არ უკადრისობდნენ ოსმალნი მათდა სატანჯველად: მთელი სოფლების ამოწყვა, მცხოვრებლების განუკითხავად კვლა, ბავშების დატაცება, სარწმუნოების შეურაცხყოფა და სხვა ამ გვარებს დღე მუდამ ცხვირში აწვეთებდნენ იგინი მათ მონების ქვეშ ჩავარდნილ დასავლეთ-საქართველოს ნაწილს, იმ იმედით რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც მოვახერხებთ მათ გადაგვარებას, ენის და სარწმუნოების შეცვლასო. მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო იყო. ამაო იყო იმიტომ კი არა, რომ მათ რაიმე მხეცობა დააკლდათ, არამედ იმიტომ რომ, ხალხის გადაგვარება — ყოვლად შეუძლებელი ყოფილა, როგორც მეცნიერებამ ბუნების ისტორიის თანახმად დაამტკიცა... ორი და ნახევარი საუკუნე ცდილობდნენ ოსმალები კლარჯეთელების გადაგვარებას ზემო ჩამოთვლილ ხერხებით და ამ ხან-გრძლივ დროს განმავლობაში მათი ბარბაროზული ცდა უნაყოფოდ დარჩა, როგორც აღელვებული ზღვის ტალღის ცემა უძრავ კლდეზე.....

III.

აქ, ქ. ი. ბათომში და მისს ოლქში, დღესაც იგივე ენაა მისის მდიდარის ძალით დაცული, მცხოვრებელთ იგივე ტან-აგებულება და

ჩვეულებანი აქვთ, რაც თავისუფლების დროსვე ჰქონდათ, მხოლოდ, რასაკვირველია, ყველა ესენი იმდენადაა შეცვლილი, რამდენადაც დროთა სვლას მოუთხოვია თანახმად ბუნების კანონისა. მხოლოდ რჯული აქვთ მათ შეცვლილი, და ეს ცვლილება გვაჩვენებს ქართველის ერთს კარგს თვისებას კიდევ, ე. ი. იმას, რომ ქართველი სარწმუნოებას უყურებს საკუთმვლიანის გონების თანახმად, როგორც მეორე მნიშვნელობიანს საგანს, და ხალხოსნობას უფრო აფასებს, ვიდრე სარწმუნოებას... ეს ბათომის ოლქი, როგორც მოგეხსენებათ, შემოგვიერთდა ჩვენ შარშან 1878 წ. ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილობის თანახმად. უნდა გავტყდეთ, რომ მის მცხოვრებლებთ არ ეჭაშნიკათ თავიანთ მდგომარეობის ამ რიგად გამოცვლა, და ჩვენთან ერთადერთის უღელის წევა. არ გეგონოსთ რომ ეს იყო მათგან ჩვენდამი უსიყვარულობისაგან და ძმურის თანაგრძნობის უქონველობისაგან... არა, მიზეზი სულ სხვაა... უღელი იმ რიგი რამაა, რომ ძმური სიყვარულიც ვერ მიგიზიდავს მასთან, ნამეტურ მაშინ, როცა ამ უღელის აცდენის იმედი, რომლის შესრულება უეჭველი გგონიათ, თვალ-წინ თუ გებლანდებათ... ბათომის ოლქის ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ რომ ოსმალნი დასუსტებულნი არიან და რუსეთი ევროპის თანაგრძნობის მოკლებულნიო, და რადგანაც იგინი ერთის ხელიდამ მეორესთან უნდა გადასულიყვნენ, მოინდომეს სრული თავისუფლების მოგება. იგინი გაცხარებით შეუდგნენ სამზადისს; ხელად მოაგროვეს ათი ათასი რჩეული ვაჟ-კაცები ახალის სისტემის თოფებით შეიარაღებულნი, ცოლ-შვილნი დახიზნეს, ინგლისის მმართებლობას ადრესი გაუგზავნეს, ვითომ და „შენი ქვეშევრდომობა გვინდა და დაგვეხმარე ოსმალ-რუსებისგან თავი დავიხსნათო", და დაიწყეს ორი ინგლისის გაზეთების კორრესპონდენტებთან მოლაპარაკება, რომელნიც მათ დესპანებად მიიღეს... ინგლისის მმართებლობა ჯერ-ხანად ყუნჩობდა, კორრესპონდენტებმა კი ურჩიეს რომ, რადგანც ინგლისის მმართებლობა აშკარად ვერ დაეხმარება მათ წადილის ასრულებაში, სჯობს ისევ ევროპის საზოგადოებას (ხალხს) მიჰმართონ ნივთიერის საშუალებისა დახმარების თხოვნით.

ამ დროს, ბათომიდამ ფრანგულის გაზეთის „Le Tempes“-ის კორრესპონდენტს შემდეგი აზრი მოჰყავდა ამ გაზეთში *)... რადგანც, ამბობს ეს კორრესპონდენტი, აქაურ ქართველებს სძულთ რუსები და ეჯავრებათ ოსმალნი, ვჰგონებ ევროპა ძალიან კარგად მოიქცევოდა რომ ბათომის ოლქიდამ, რომელიც, როგორც ვიცით, ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილობის წყალობით, ერგო რუსებს, შეადგენდნენ დამოუკიდებელ სამთავროს ევროპის მფარველობის ქვეშე, იმ სისხლის ღვრის ასაშორებლად, რომელიც აუცილებლად მოხდება, თუ ეს ოლქი კონგრესისგან განაჩენს ხვედრს მიანებებს...“

თუმც ევროპამ ეს აზრი მოიწონა, მაგრამ მისს ასასრულებლად ხელი არ მიუყვია და ამ რიგად ეს საქმე ინგლისის ანაბარად მიაგდო... ინგლისმა რაღაც მოსაზრებების გამო დახმარების უარი უთხრა ბათომის ოლქის ქართველებს და ურჩია კონგრესის განაჩენს დაჰმორჩილებოდნენ...

25 აგვ. 1878 წ. გადვიდა უწინდელი ჩოლოქის საზღვარზე ბათომის ოლქის დასაპყრობლად... იქაურ მცხოვრებლებმა რა დაინახეს მაშინ რომ მათის სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო, თავი მოიხარეს, იმ ანდაზის თანახმად რომელიც ამბობს: „დათვი რომ მოგერიოს, ბაბუა დაუძახეო“. მაგრამ ქვეყნისთვის რომ ეჩვენებინათ თუ რაში მდგომარეობდა მათი სურვილი, ტყვიებით მისცეს სალამი რუსებს და რამოდენიმე სალდათი დასჭრეს და მოჰკლეს. ეს ნიშნავდა მათგან კანონიერ საჩივარის გამოცხადებას... რუსნი ხომ ასე მიიღეს, ახლა ვნახოთ თუ როგორ გაისტუმრეს ოსმალოები. ოსმალოებმა თავიანთთ წასვლის დროს ამ ოლქიდამ დაუწყეს ხალხს ჩაგონება რომ ჩვენ წამოგვყევითო, გზის ფული, ახლად დასახლების ფასი და ერთის წლის ხარჯი ჩვენგან მოგეცემათო. ამ დაპირების წყალობით ორასი მოსახლე მოატყუეს და წაიყვანეს და როდესაც დანარჩენებმა უარი უთხრეს, მაშინ ოსმალებმა დაიწყეს ყოველ გვარი სიმხეცე და სივერაგობა,

*) ეს წერილი რუსულ ტფილისელ გაზეთს „Кавказ“-შიაც იყო მოყვანილი.

კორრ.

სწორედ იმის მსგავსად, როგორც მე-XVII საუკ. მოქმედებდნენ, როცა პირველად დაპატრონდნენ ამ მხარეს... ამ დროს ადგილობრივ მცხოვრებლებს და ოსმალებს შუა რამოდენიმე ალაგას მოხდა შეტაკება და სისხლის ღვრა. აქ მოვიყვან ერთს მაგალითს რომლის სიტყვითი სიტყვამდე სიმართლეში შემიძლია დაგარწმუნოთ...

23-ს აგვისტოს სოფ. ჭახათში მოვიდნენ 24 ნიზამი სამასი ჩალვადრის ცხენებით და ოსმალოს მმართებლობის ბრძანებისა მებრ ურჩევდნენ მცხოვრებლებს გადასახლებულ იყვნენ ოსმალეთში იმ პირობების ასრულების დაპირებით, რომელნიც ზემოხსენებულია... მცხოვრებლებმა გარდაწყვეტილი უარი გამოუცხადეს. მაშინ ნიზამებმა განიზრახეს ძალის დატანება, მაგრამ ჭახათელები, ერთ გავლენიანის კაცის გულო-ალა კაიკაციშვილის რჩევით ეცნენ ოსმალებს და მუშტი-კრივით იგერიეს წინ, მოკლეს სამი ცხენი და ნიზამთ წაართვეს ოთხი თოფი, ახალის სისტემისა. რადგანაც ჭახათელები უმრავლესი იყვნენ ნიზამებზე და ამიტომაც კაცის სისხლი არ დაღვრილა. მაგიერად, აჭარაში და მაჭახელში ამ გვარ შემთხვევის წყალობით რამდენჯერმე მოხდა სისხლის ღვრა, რომლის გამო ბარე ორ ოსმალო გამოემშვიდობა სააქაოს... ამ რიგად როგორც რუსებს შეეყარნენ სიძულვილით ისე ოსმალებიც გაისტუმრეს... ამით აშკარად დამტკიცდა „Tempes"-ის კორრესპონდენტის სიტყვები.

IV

ასე თუ ისე, ბათომის ოლქი რუსებს ერგო, რომლითაც აქ უნდა დაედგინათ მმართველობა და შემოეღოთ შესაფერი წესები.

ყველა მმართებლობისთვის ძნელია უცხო ხალხის გულის მოგება თავისკენ და ნამეტურ იმისთანა ხალხისა, როგორიც ბათომის ოლქის ქართველებია. ამ რიგი ხალხის გულის მოგება უცხო მმართებლობისთვის მაშინც ძნელია თუ მას განაგებს ყოვლისფრით ღირსეული მოხელეობა, და თუ ესეც არ არის მაშინ კი [illegible] და გაიარეოხრომ იტყვიან ისე მოხდება ხოლმე...

როდესაც გერმანიამ დაიპყრო ელზას ლოტარინგია, ამ მხარის გამგებლად მან გაგზავნა თავისი უკეთესნი მოხელენი, იმ ადვილად ასახსნელ მიზეზის გამო, რომ გონება გახსნილ მოხელეობას ბევრი ღონისძიებანი აქვს ხალხის გულის მოსაგებლად. მაშინ, როდესაც, გონება დახშულ მოხელეობას ადვილად შეუძლია ეს ღონის ძიებანი საბოროტოდ მოიხმაროს, და ისეც მოიხმაროს, რომ კანონის ფორმა მთლად დაცული იქმნება.

ამ მიზეზებისვე გამო სწორედ ასე მოიქცა რუსეთის მთავრობაც ახლად შემოერთებულ საქართველოის შესახებ. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იყო ერთი გარემოება, რომელსაც გერმანიას და ელზას-ლოტარინგიას შორის არ ჰქონია ადგილი. ჩვენ ვამბობთ ენაზე. ელზას-ლოტარინგია გერმანიის ტომის ხალხით დასახლებული, გერმანიულ ენაზე მოსაუბრე, უწინ დაიპყრო საფრანგეთმა, რომელმაც თუმცა ძალიან მიიზიდა მისი გული და კიდეც გაავრცელა თავისი ფრანგული ენა, მაგრამ ხალხის გერმანიული ენა მაინც ხალხის ენად დარჩა, ასე რომ გერმანიას ამ პროვინციების დაპყრობის შემდეგ ენის მხრით არაფერი უშლიდა, რომ თავის მოხელეები გაეგზავნა. რუსების და ქართველების შორის კი, გვარ-ტომობის და ენის გამო ჰდევს უფსკრული განსხვავებისა. ამიტომაც საჭირო იყო რომ ბათომის ოლქში დანიშნულ იყო ქართველი მოხელეები. ასეც მოხდა. თითქმის მთელს ოლქში, გარდა ორიოდესი და გარდა თვით გუბერნატორისა, ყველა მოხელეები ქართველები არიან, მაგრამ... ორთავე მხარის, ესე იგი, მთავრობის და ხალხის საუბედუროდ ერთობ აჩქარებით მოხდა აქ მოხელეების დანიშვნა, რასგამოც ეს მოხელეები სრულიად არ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებასა, რომელნიც მათ მოეთხოვებათ... უფრო სიმართლე რომ ვსთქვათ, აქ დანიშვნა მოხელეთა არ ყოფილა იმ აზრით, რა აზრითაც იგი საზოგადოდაა მიღებული. მმართებლობა მხოლოდ ამტკიცებდა იმ პირთა იმა ალაგებზე, რომელთაც იგენი თხოულობდნენ და ზოგს კი უთხოვდნენ იმათი მწე-პატრონები... მერმე, ვინ არ თხოულობდა აქ ალაგს! ძველად სამოქალაქო

სამსახურიდამ კაიკაცობისთვის გამოგდებული „ჩინოვნიკი“, კაიკაცობისთვის გაკრეჭილი დვდელი, აფიცერი რომელსაც ენა ისე აქვს გაწავული ერთ-რიგის ლოცვა-კურთხევით, რომ უამისოდ მისი მობრუნება არ შეუძლია, იუნკერი, ნამუსიან ქალების ერთ ნაირის „ზავედენიის“ ზედამხედველი, აქტიორი ამხანაგობიდამ გაძარული, ვაჭარი და თითქმის ყველა ამათ მიეცათ ადგილები! ამ ადგილების გამოისობით იგინი შეიქმნენ ხალხის მწყემსებად, ხალხის წყლულის მოსარჩენად, ხალხის უძლურების განსაკურნებლად! ვაშა, ღმერთო შენდამი!!...

რასაკვირველია რომ მმართებლობა ამ ცოტა ხანში იმათ ნელნელა გაისტუმრებს — იქითკენ საიდამაც მოსულან, და მათ ადგილზე უფრო ღირსეულებს დანიშნავს.

სასურველია რომ აგრეთვე გარდაყვანილ იქნებოდეს აქედამ აქაური მომრიგებელი მსაჯული, რომელსაც ინჩიც არ ესმის ქართულში და როგორი მსაჯული უნდა იყოს იგი, ვისაც მომჩივანის ენა არ ესმის, ეს „ივერიაში“ (N 2, შინაური მიმოხილვა) უკვე იყო გარკვეულად აღხსნილი...

V

სანამ ზემო მოხსენებული მოხელეები გამოიცვლებიან, მართლაც რომ შესაბრალისია ბათომის ოლქის მცხოვრებელთ მდგომარეობა. იმათ, როგორც რომ ომისაგან დაღატაკებულებს, სახლ-კარ გადამწვარებს და ერთის იმპერიის ქვეშევრდომობიდამ მეორეს ქვეშევრდომობაში გადასრულებს ჩვენზე უფრო აჭირვებათ მსწრაფლად მომქმედი პოლიცია და მალი და რაც შეიძლება განმარტივებული მოსამართლეობა. ორივეს ამას მოკლებულნი არიან აქაურები. სასწრაფის მაგიერად აქაურ მმართველობის ყოველ ნაირ ინსტანციაში ჰსუფევს ჩვეულებრივად სახელ-განთქმული ფორმალობა, რომელიც აქ უმაღლეს მიჯნამდეა მიღწეული იმავე მოხელეების წყალობით...

ასე არ იყო ოსმალოს მმართებლობის დროს. მაშინ, თუ ვინმეს ჰქონდა რამე საჩივარი, რომელიც მას უაღრესად მიაჩნდა, იგი

პირდაპირ მუტესარიფთან (გუბერნატორთან) მიდიოდა, სალამს აძლევდა და შემდეგ, ყოვლის უარზოდ ატყობინებდა თავის საჩივარს, მუტესარიფი, თვითონ, იმ წამშივე დადგენილ განჩინებით აკმაყოფილებდა მომჩივანს. ახლა კი, არა თუ გუბერნატორთან არამედ წილადის უფროსთანაც (УЧАСТКОВЫЙ НАЧ.) არ აქვს მომჩივანს ნება, თუ იგი ღარიბთაგანია, პირდაპირ საჩივარი მოახსენოს, თუ არა დაწერილის არზით და ზედ დაკრულ მარკებით. ამას ისიც დავუმატეთ რომ არზის დამწერსაც ფული უნდა...

რასაკვირველია რომ ამისთანა ფორმალობას იმისთანა ხალხი, როგორიც ბათომის ოლქის ქართველებია, ჭირის დღესავით ჰგმობს და აშორებს თავს, იმას უფრო ეხელთება თავისებურად, ესე იგი, იარაღით გაასამართლოს თავის საქმე, ვიდრე ამ რიგ. „ჩვენს“ სასამართლოში. და ამ მათებურ განსამართლებას „ჩვენი“ მოხელეობა უყურებს როგორც რუსეთის კანონების დარღვევას და ხდომულობს გამართლებულის და დამარცხებულის (თუ კი ცოცხალია) დაჭერას. იგინი რ თანხმდებიან: თუ მოხელეობა ძალას იხმარს, მაშინ დასაჭერა კაცებს მეგობრობა ეხმარება და არ ანებებს; მხდალი და მსუნაგი მოხელეობა რომელიც ბუზსა მთად გადააქცევენ ხოლმე, ამ ხანდისხან ხულ უსისხლოდ ჩავლილ კინწლაობას იმდენად გააზვიადებენ, რომ გამოიყვანენ ხოლმე მთელს „აჯანყებასა“...

საბედად, ბათომის მაზრის უფროსად არის იმ რიგი კაცი, რომელსაც მთელი ბათომის ოლქის ქართველი, ოსმალოს საქართველო თავის მფარველ ანგელოზსავით შესცქერის, და რომლის ერთს სიტყვას მათზე, სხვის მთელ მოძღვრების წაკითხვაზე უფროსი გავლენა აქვს. ეს კაცი გახლავთ თ. გრ. დ. გურიელი, რომელზედაც სხომის მოგელაპარაკებით

ი—ა ი.—ძი.

სხვა და სხვა ამბავი

— ცდომილი მარსი. სახელოვანმა ასტრონომმა მილანისამ სკიაპარელლიმ დაასეჭდინა ახლახან ცდომილის მარსის რუკა (კარტა) დაფუძნებული ბეჯითად გამოკვლეულ სამეცნიერო საბუთებზედ. ამ რუკის მიხედვით მარსის ზედა-პირს იმისთანავე სანახაობა აქვს როგორც ჩვენს დედა-მიწას. როგორც ჩვენს დედა-მიწაზედ ისე მარსზედ არის თურმე ჩრდილოეთის და სამხრეთის პოლიუსები ყინულეულებითა. ყინულის დნობა და განდიდება მარსზედ დამტკიცებულია სრულიად და უეჭველად. მარსზედაც როგორც დედა-მიწაზედ არის ხმელეთი და ოკეანები. რუკაზედ ნაჩვენებნი არიან მდინარენიცა, რომელთ ოკეანესთან შესართავნი თურმე ცხადად ჩანან.

— წყალით გათბობა და განათება. ამერიკის ქალაქს მიჩიგანში მუსკეგონს ადგილას გამართულია თურმე ერთი რაღაც ქარხანას მაგვარი, საიდამაც ყოველი სახლი თბება და ნათდება წყლის მეოხებითა. ერთი ჭასხრავის მობრუნებაა თურმე საჭირო, რომ თქვენს სახლში მაშინვე სითბოც შემოვიდეს, სინათლეც და წყალიცა.

— სიჭირო წამალი. ერთს ევროპიულს გაზეთში „Pester Lloyd“ სწერია: „ჩვენა გვაქვს თვალწინ ერთი დიდი განძი, რომელიც მარტივია, როგორც ყოველივე აღმოჩენა, როგორც ყოველივე კეთილი მოგონილება. წარსულ-საუკუნეში მკურნალობა აქნობამდე ცეცხლითა და რკინით იბრძოდა, რომ ხელი შეუშრუნოს და შეაკავოს ის სენი, რომელსაც ამოდენა მსხვერპლი მიაქვს ყოველ წლივ და რომელსაც „ყვავილს“ ეძახიან მაგრამ ამ ბრძოლამ თითქმის ამაოდ ჩაიარა, სხვა და სხვა წამლები უვარგისი გამოდგნენ. ეხლა გამოჩნდა, რომ ამ სენს შიგნიდამ კი არ უნდა წამლობა, არამედ გარედამა.

დოკტორმა შრიმერმა მიჭმართა კარბოლის სიმჟავეს (корболовая кислота), პროვანსიის ზეთში გაჭხსნა და მაგ ნარევით შეზილა მელი. მერმე ტილოს ნიღაბი (მასკა) გამოჭსჭრა, თვალისა, ცხვირისა და პირის ადგილი გაუკეთა; იმ ნიღაბზედ მალამოსავით გაგლისა ზე-მოხსენებული შეზელილი მელი და დადო პირის სახეზედ ყვავილით სნეულს, რომელსაც ყვავილი სახეზედ საშინლად ეყარა. სნეულმა მა-შინვე სასიამოვნო შვება იგრძნო. გავიდა ერთი კვირა, ნიღაბი ახსნეს, სახიდამ თეთრი ფერფლი ჩამოჭსცვივდა და გამოჩნდა პირის სახის კანი უზადოდ ასე რომ არავითარი ნიშანი ყვავილისა არ ემჩნეოდა. ამ რიგად ერთს კვირაზედ ფეხზედ წამოდგა სნეული სრულებით საღი და სახეზედ ის უსიამოვნო შავი ლაქების ნიშანიც არსად იყო, რო-მელნიც ყვავილის სნეულს პირველ ხანებში დააჩნდება ხოლმე."

— რძის განმაცოცხლებელი თვისება. ინგლისის ჟურნალს „Freemans Journal“-ში ჭსწერია, რომ დუბლინის ერთს სამკურნა-ლოში ამ ცოტას ხანში ერთი ღონისძიება ჭსცადესო მომაკვდავის გა-მოსაბრუნებლადაო. ეგ ღონისძიება იმაში მდგომარეობდა, რომ სი-სუსტით სასიკვდილოდ მიღეულს კაცს სისხლში რძე ჩაასწურესო სნე-ული, რომელზედაც ყველანი იმედ გადაწყვეტილნი იყვნენო, გამობ-რუნდა ამის შემდეგაო. სისხლში ჩაუმატეს თურმე ნახევარ შტოფი აუდუღარი ხელდახელ მოწველილი რძე.

— ციების წამალი. უნდა აიღოთ მზეუმჭვრიტას ღერო, სიგა-ნეზედ დასჭრათ რამოდენათაც შეიძლება წმინდად და პტულად, მზე-ზედ გაახმოთ; მერე ჩაყაროთ ბოთლში, ზედ დაასხათ მაგარი არაყი და ისე დადგათ ბოთლი მზეზედ რამდენსამე დღეს. ამის შემდეგ შეიძლება იხმაროს იგი წამლად. იმ დღეს, როცა ციების ვადა არ არის, დღეში სამჯერ უნდა მიიღოს სნეულმა ეს წამალი თითო ჯერზედ ნახევარ რუმკა.

ივერია

გამოდის თვეში ერთხელ, თითო წიგნად.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის ქვემოდამ, და აგრეთვე თვით რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4; ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ფ ა ს ი:

ტფილისში მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 11 მან.
ექვსის თვით — 5 მ. და 50 კ.

გარეშე მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 12 მან.
ექვსის თვით — 6 მ. და 50 კ.

ი 383
1879

ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი **ი.** გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური. **თუ** რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა. ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. **ე**გზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული იყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეშვიდე გამოცემა, ფასი ორი შაური. **ი**სყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან, ბაღის პირ-და-პირ. —

საყმაწვილო კონა, პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

რედაქტორი და გამომცემი ილია ჭავჭავაძე.